

9 772298 1095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი


საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ს რ ი ლ ი

თბილისი 2017

1434 / 2
2017

12



2017/თველი
7 (261)
გიორგი კაკაძე
წერილი ლეონი
და პეპეჩაძე

სარჩევი



პოეზია	1	გიორგი კეკელიძე წერილი ღმერთს და მამაჩემს
	5	ნატო ინგოროყვა
	8	ნუციკო დეკანოზიშვილი
	10	ია ჯინჭარაძე
	14	თემურ ჩხეტიანი
თარგმანი	17	ჰილარი მანტელი ინგლისურის კურსები ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	27	პოლ-ჰენრი კემპბელის გულის მუსიკა გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ბელა ჩეკურიშვილმა
	32	სემუელ ბეკეტი ხელმოცარულობანი ფრანგულიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ
ნიგნის ნადიმები	38	მალხაზ ხარბედია პეტრონიუსი, „ტრიმალქიონის ნადიმი“
რეცენზია	42	ჯაბა ზარქუა ერთი იატაკი ასკრონიანები
ხელოვნება	45	გიორგი შალიკაშვილი ცოტა რამ სახვითობის პრობლემის შესახებ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "AriLi"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდვილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით




ქართული ენციკლოპედია



გიორგი კეკელიძე

წერილი ღმერთს და მამაჩემს




32434

239

სალამი ღმერთო. ორი წლის წინ კაცი მოვიდა,
 აცვია ჩემი გამოცვლილი თხელი შარვალი,
 თეთრი პერანგი. არ მოსულა კაცი შორიდან
 და დაღლის ვერვინ შენიშნავდა ამ კაცს ნაკვალევს.
 როცა მოვიდა, შეიძლება ვერც დაინახეს,
 მორცხვი კაცია და სხვის მზერას ფიქრებს უმაღავს,
 დედამ რომ ნაჭრით დაუფარა ნატანჯი სახე,
 იმ ჭრელ ცხვირსახოცს წაიკრავდა თვალზე უმაღვე.
 და ჩემი თხოვნის ასრულებას თუკი აპირებ -
 ჩრდილს ნახავთ, უცხო სიმორცხვისგან ცხრაფერად მოხრილს;
 მანდვე იქნება, სამოთხეში, ტყის განაპირას
 თხილის ძირებში ამოწვერილ ბალახებს თოხნის.
 ეგ კაცი ღამით, როცა იდგა ავი ზამთარი,
 როცა ამ ზამთრის გასაძლომად ვზოგავდით შეშას,
 წებოდა ადრე და ლოგინი იყო გამთბარი
 და ზღაპრებიდან ყველა ჭინკა ერთად აეშვა.
 სალამი ღმერთო. მამაჩემი ახლა მანდ არის.
 ადვილად იცნობ, შენ, რომელიც თვალს იტევ ულევს;
 როგორც ვითხარი, ძირს უთოხნის თხილს ან მანდარინს
 და მინდა მისთვის სამი რამე რომ ამისრულო.
 მამამ ოდესღაც დაანება თავი სიგარეტს,
 ფული ჭირდა და დაანება, ჩვევას უგანა,
 ჩამქონდა, ვითომ უარობდა და მერე გარეთ,
 ძველ საბძლის უკან ეწეოდა და ვინმეს განა,
 იმ საბძლის უკან საკუთარ თავს ემალებოდა.

და დაე ჰქონდეს სიგარეტი - "პაპიროზს დაღვეს"-
 ვერვინ შეამჩნევს, შეუძლია ჩაყლაპოს ლოდად
 და ფილტვის ქაში გამოკეტოს მომწარო კვამლი,
 მეორე თხოვნა: წელი ტკივა და ფეხიც ურევს -
 ამ საშინელ თოხს მოარიდე და მრუდე ნამგალს,
 და ერთხელ მაინც გაასინჯე ისეთი პური
 რომ საკუთარი ოფლის სუნი არ ახლდეს ნამკალს.
 მესამე თხოვნა: ეთამაშოს ჭადრაკი ვინმეს,
 მას ხომ უნდოდა რომ მსოფლიო დაეპყრო ამით
 და ერთხელ რობერტ ფიშერისთვის მოაგებინე,
 რომ მართლა სულად გადაექცეს ეგ სული-გვამი.
 სალამი ღმერთო, ეგ სამოთხე მამაჩემს ყოფნის
 მაგ სამი რამით, შენ სამოთხეს სამოთხედ უქცევ -
 რომ ჩამომხრჩვალა ოცნებების საყელო თოკი
 ცაში აშვებულ ფრანის ძაფად დაუნნა უცებ.
 სალამი, მამა, მე ღმერთს უკვე მივწერე შენზე,
 ღმერთი დიდია და სურვილებს ასრულებს ღმერთი,
 და ახლა შენ გწერ, თუმც სხვა ქარი მაძალებს ბენზინს,
 ბენზინს, მანქანას, სამსახურებს, გზებს - რომ გავერთო.
 გზა გადაბრუნდა და ურემი ისე გამოჩნდა.
 ურემზე ჩემი მკვდარი იწვა და ვერ ვტიროდი,
 რადგან ტირილი არ მასწავლეს და ამ გამოცდას
 ვერ ჩავაბარებ, მეზობლებთანც შევრცხვები, ჰოდა
 შენ მაინც თბილად დაუძახებ შემომწყრალ დედას:
 გაჩერდი ქალო, დაანებე თავი ბალანას!
 რაც უნდა ის ქნას! უძინარი სახე აქვს, ხედავ!?
 ისედაც ბევრი საქმე აქვს და აღარ დაღალაო!
 რადგან სანოლის ქვეშ დამალულ ჭუჭყიან ჭინკებს
 სულ შენ მიფრთხობდი, როგორც ღამის უცხო მნახველებს
 და იქვე სამი კალოში და ორი ვალინკა,
 ტალახს იშრობდა და ვეძებდით ქართულ სახელებს,
 კალოშების და ვალინკების, ხანაც შპილკების
 ქართულ სახელებს ვიხსენებდით, სადღაც გაგონილს,
 და სანამ პოვნას ვახერხებდით, ნაცნობი ქმენით
 ძილის რელსებზე მოდიოდა სიზმრის ვაგონი.
 თუმც ეს სიზმრები თვალის ზურგზე ისე მკანწავდნენ,
 რომ ნაკანრიდან ძილში ცხელი ცხადი მოწვეთავს
 და ცხადი ამბობს: გამარჯობა და უკაცრავად,
 ცოტა დრო ისევ დაგრჩენია ცოცხლების მზესთან
 რომ უნდა ავდეგე და ჩაეიცვა, რომ სინამდვილემ
 ყველა ტკივილი გადაადნოს გულგრილ საგნებად,
 რომ მხოლოდ ძილში შეგვიძლია ასე ადვილად
 ჩვენ სიკვდილიდან სიცოცხლისკენ გზების გაგნება.



წითელი პარასკევი ანუ მეორე წერილი ღმერთს მამაზე

„ემსგავსე შენ ქრისტეს“
 წმინდა გიორგის დაუჯდომელი

რადგან ტკივილი ნიშნავს სულის შიგნიდან კაკუნს,
 როცა წასვლა გსურს და შენ სული გიჭირავს კბილით
 სულის ნაფლეთად კბილებში ცრი სიტყვების უკუნს,
 და მზეს იღამებ, თვალებს ღრუბელს ახურავ დილის.
 სალამი ღმერთო, შენ ტკივილი ისწავლე მაშინ,
 როცა ცოტა ხნით ჩვენად ყოფნა დაიზეპირე -

ჩვენ კი თხრობითაც გვიჭირს შენი მოყოლა ცაში, როცა მოაფრენს სამსჯავროზე სულელებს ზეფირი. შენ იცი - რადგან ხმას კი არა, ჩვენს თვალებს უსმენ, და იცნობ - რადგან ასე მინად ყოფნის წესია - ადამიანის თვალებიდან წამოსულ ლურსმნებს, რომ ეს ლურსმნები ჯვრის ლურსმნებზე უარესია. თუმცა შენ იცი, ხანაც სადღაც, თხილის ჩეროდან დახრილი ჩრდილი უნებურად გაგიმეორებს - იმაზე უფრო, ოქრო-ვერცხლით ვინც გიმღეროდა და კრიალოსანს აწვალებდნენ ხელეში მდორედ. სალამი ღმერთო, მამაჩემი შენ არ გიცნობდა, ბევრ ნათესავზე უფრო გგავდა თუმცა უფალო - შენს გზებს ბაძავდა უნებურად და მცირედ ცოდვილს, მინდა სხეული შეუმოსო და დაუფარო.

ის თვალს მიხელდა, ბრმას მიმხელდა სხვა მზერას თითქოს, როცა ცხოვრების მასწავლიდა დახუჭობანას, რომ ფეხის ადგმის სასწაულის მსგავსებას ითხოვს, დღე, როცა ბლიდან ჩამოვარდნილს სისხლი მომბანა. რომ მას შეეძლო ლამფანაკულულ, უვახშმო ღამით პურის ნატეხის ხორბლის უღვევ ყანებად ქცევა - როცა ზღაპრებით მივაპობდით უძილო ყამირს, და მთებს მინდვრებად ან ვაქცევდით უძირო ხევად. პო, მას შეეძლო თბილი წყალი ჩაესხა ტაშტში და გაყინული დაეთბილა ჩემთვის ფეხები, ხომ უბრალოა, მაგრამ მზისსწორ სასწაულს ვადრი - წყალზე გავლას ჰგავს ვარცლზე ცივი ფეხის შეხება. ოფლად იშრობდა ჭიანჭველის დახოცილ მოდგმას, შემთხვევით ქუსლით რომ გასრისა და სულ ნანობდა და ტოტებს, როგორც უნებლიედ გამოსხმულ ცოდვეებს ასხებდა ხეებს ბნელ დილიდან ღრმა სალამომდე.

როცა ცხოვრებამ მოულოდნელ ჯვარზე გააკრა დაღვრის მაგიერ, მას სხეულში სისხლი გაუშრა, და ვერ ნახავდი სადმე ჯვარზე გაკრულ ავაზაკს, ავაზაკები იქვე ისხდნენ ლოგინთან ურცხვად. სალამი ღმერთო, აქ მრავალი ჯვარი ასვია, ჩვენც ვიმეორებთ ჩვენს საკუთარ წითელ პარასკევს იცი, ეს კაცთა დაყოლილი ბედი და სვეა - ჯვარზე გავაკრათ, სანამ ჩვენვე ჯვარზე გაგვაკრეს. და ისიც იცი, აღსადგომად რა ცოტა გვეყოფნის, და გთხოვ, მამაჩემს, შენ გბაძავდა ვინაც, იესო, რომ დაუბრუნო მკლავში სისხლი და მკლავზე ოფლი, მიეცი თოხი, ოთხი ძირი თხილი მიეცი.

რომ იშვიათად, მიღმა დაღლის გასულმა რიდით, მოხრილმა ჩრდილმა, გაპარულმა თხილის ჩეროდან მეც გადმოხედოს რომელიმე მეთაე ციდან - ღრუბელზე იჯდეს, იღიმოდეს და გიმღეროდეს.

უკანასკნელი, მესამე წერილი მამას

ასეც თენდება: ხან მზის ნაცვლად, სული ამოგვდის - დღე ცარიელი სხეულისთვის უფრო ახლოა - უფრო ადვილი, რომ გავუძლოთ ტანჯვას ამოდენს შთამომავლობის არარსებულ სამოსახლოებს. პირში სიჩუმე დავიგუბებთ და მალე დაღპა, ყელში გვიწვეთავს და დუმილი გვწამლავს ნელ-ნელა - ვიცით, ვერასდროს დავიქუხებთ მომავლის ზალპად,

რადგან ჩირალდნებს უცებ ცეცხლიც შემოებნელათ.
 ჩვენი ცხოვრება უკუღმართად წვრთნიდა ანდაზებს:
 ქარი დავთესეთ და მაგიერ ცხელ მზეებს ვიმკით,
 თუმცა ქარიშხლებს მოველოდით მტერის აქანდაზად,
 ნაცვლად უდაბნოს აქლემებით გვესტუმრა ცირკი.
 სალაში მამა, შენ მორცხვი ხარ, მანდ წოლა გიჭირს,
 სასაფლაოზე გასაძლებზე მეტი ხალხია,
 ახალ მეზობლებს დაუმალე ოცნების ნიჭი -
 ალბათ უთქმელა ზურიკელას თუ გეძახიან.
 მარტო გინდოდა და ათასთა შორის აღმოჩნდი,
 მანდ, მიწისქვეშა ოთახებში ერთად რომ წევხართ -
 ჩუმად ენევი ალბათ მაქაც, შენ წილ სამოთხეს
 ღერ სიგარეტში ცვლი და ჩუმად ენევი ხესთან.
 გაზაფხულია, სათხილეში ბალახებს უკვირთ,
 რომ არ ახვედი, არ მოცვლე - უკვირთ ბალახებს,
 კვირის საგზალი არ ათრიე აღმართზე ზურგით
 და დახეთქილი ხელი ბუხარს არ დაანახე.
 მაშინც, სოფელში საწვიმარი გეხურა ძველი,
 თევზის კონსერვით სავსე იყო ის ჩემოდანი -
 და ველარც ვფიქრობ, ავადმყოფმა როგორ შეძელი
 ამდენი თხილის მოგროვება და ჩამოტანა.
 სალაში მამა. ჯერ ის თხილი არ გაყიდულა,
 და რომ გავყიდო, მე არ ვიცი, იმ ფულს რა ვუყო,
 რაში გავფანტო ტკივილები - ამ თხილის სულად,
 თხელ ტომრებში რომ მოქცეულა შენსავით უხმოდ.
 იმსიმძიმე ფულს ვერც უძალო გლახაკზე გავცემ,
 თუნდაც ათასი ხელის ძალა გაუძლებს განა?
 ყველაზე დიდ და უწონო ფულს დედამინაზე -
 ყველაზე დიდ და საშინელ ფულს ამქვეყნად მამა.
 შენ ოცნებობდი, სხვა ქვეყნები გასურდა გენახა,
 მაგრამ შენი გზა ორ ავტობუსს ვერაფრით გაცდა,
 ვიღაცამ ეზო დაგისაზღვრა ცხრა ძირ ვენახად
 და შენს თვალებში უსივრცობის დათესა განცდა.
 და ამიტომაც, მე დღეიდან, ყველგან ნავილებ
 შენს ფოტოს, სადაც სხვა ოცნებებს ითხოვს თვალები,
 და გადავირბენთ უმდინარო, დაწყველილ ხიდებს
 და მერე ყველა საზღვრის წყველას დავემალებით.
 და ამ ფოტოთი შეგახედებ სოფლებს, ქალაქებს
 ზღვებს, ღრუბლებს, ღრუბლის მოღლილ ჩრდილში მძინარ მსოფლიოს
 და იმ ზღაპრებში გამოკეტილ მთებს დაგანახებ,
 შენ რომ გეგონა, იგონებდი, მტვრით გაოფლილო.
 განა არ ვიცი, ახლა უცებ მეტყვიან სხვები:
 “თავს ნუ იტყუებ, ის ვერაფერს ვერ დაინახავს,
 ვერაფერს იგრძნობს - ყველაფერი უკვალოდ ქრება
 რასაც სხეული მოეხვია მიწაზე სახლად”.
 ვიცი, თუმცა განცდა მე ცოდნაზე მეტი მგონია,
 და ცოდნა ხანაც მე განცდაზე მგონია მდორე
 და თუ სიმართლის დავამარცხებთ ფიქრში გოლიათს -
 ისე იქნება, როგორადაც გამოვიგონებთ.
 ჰოდა, მე ახლა სხვა ცხოვრების დავანთე ცეცხლი,
 ვიცი გციოდა და შენს დამზრალ ხელებს ეამათ -
 შენ ცოცხალი ხარ, ამ სურათში მინდა და ცოცხლობ -
 თან გამომყევი, ახალ გზებზე ნავიდეთ, მამა!



ნათო ინგოროყვა

სამშობლო და სხვა

ასე იყო.

მოვიდა მამაჩემი და მითხრა:

- ნუ ელი, რომ სამშობლო შეგიყვარებს.

მოვიდა და მითხრა:

- ნუ აედევნები თვითმფრინავებს,
რომლებზეც ყველა ბილეთი გაყიდულია.

მითხრა:

- თვითმფრინავი, რომლის მგ ზავრიც ხარ,
უშენოდ არ აფრინდება.

რადგან

ყოველ საღამოს
მიდის მასთან სტუმრად ღმერთი და
ხმამალა უკითხავს ჩემს ლექსებს.

სირცხვილი

აი ასე,

მარტივია ყველაფერი.

მწერალი რომ არ ვიყო:

დაწერდი კაცზე,
რომელსაც შველი ეგონა მგელი და მოკლა
და იმაზე, როგორ მინდა, მკვლელს ხელი მოაჭრან.

დაწერდი მათზე,
ვისი დაღლილი ოცნება
ცეცხლის გამჩენმა ერთ ღამეში დაანახშირა
და როგორ მინდა, რომ სამართალს ჩემი ხელით ვაჭამო პური.

დაწერდი მათზე, ვინც ტკივილის დასამარცხებლად
აქვეყნებს ანგარიშის ნომერს,
მე კი თვალს ვარიდებ.

და ვწერ:

იმაზე - როგორ შემომიძვრა საბნის ქვეშ,
როგორ შემამცივნა, წელში მომხარა,
წამნამებს შორის გზა გაიკვლია,
გამაღვიდა და მითხრა -


სიკვდილი გაგვათანაბრებს.

სტამბული. გალაკტიონი.

ირაკლის

მას შემდეგ, რაც შენ სტამბულში გადასახლდი,
მეც ვიყავი სტამბულში.

გალათას გზაზე



მოლიმარმა თურქის ბიჭმა
ნაცრისფერი პირბასრი დანით
ორად გამიჭრა
გარეთ ატლასი, შიგნით ათასი,
ჩემი და შენი მეგობრობა
და ენის წვერზე შემატოვა
ბრონეულის ტკბილ-მწარე გემო.

გალათას გზაზე
მოლიმარმა თურქის ბიჭმა
გამომინოდა ნაკვერჩხალზე დაბრანული
ორთქლავარდნილი ნაბლი,
რომელმაც პირი გადახსნა და
წამაქეზა საიდუმლოს გამხელისაკენ.

გალათას გზაზე
ლამის ცაზე პოეტის ფრთებით
ვარსკვლავებად მიხატული სამწერტილები
დაბრუნების ნიშანს მაძლევენ.

სოციალური ქსელის მოქალაქე

უნდა წაგშალოთ მეგობრებიდან,
ჩემო რეალურო და არარეალურო „ფრენდებო“.
წაგშალოთ უნდა!

დამთრგუნველია თქვენი სრულფასოვანება,
სასტიკი.

გამოგიტყდებით,
მახარებდა თქვენი აღმატებულობა.
ვფიქრობდი,
ყველაფერი იციან - გლობალურიც და ლოკალურიც.
თან არავინ მოსწონთ,
არაფერი მოსწონთ,
მე კი - დამიმეგობრდნენ.

მაინც უნდა წაგშალოთ,
თავის გადასარჩენად.

როგორი სიძულვილი იცით,
მიმდევრებიც გყავთ,
მადლობას გიხდებიან არსებობისთვის,
უხარიათ, რომ აქეთ უფლება
მოსწონდეთ თქვენი ყოვლისმცოდნეობა.

გადავიფიქრე:

მე მექნება უპირატესობა,
არ მომწონდეთ
და ეს გითხრათ.
„დაგაჰაიდებთ“,
დაგემალავთ ან დაგემალებით,
თუ მომინდება,
ისევე მე გამხელთ.

ხმამალლა

ჩემო კარგო ქვეყანავ,
დათვალები ყელგამოჭრილი,
ყურმოჭრილი,
მოკლული ცოლები.



დათვალე სისასტიკე
როგორც ამომრჩეველი და
დანაზოგი, საბანკო ანგარიშზე.

უთხარი მრევლს პატრიარქო,
რომ ღმერთს უყვარს ქალი,

თორემ

ჩვენ ვჭამთ სირცხვილს,
როგორც პურს არსობისა
და მშიერს ვტოვებთ სამართალს!

თევზების არჩივი

ბებიჩემი
არ ჭამდა თევზს,
რადგან ეგონა –
ბაბუა, რომელიც სიკვდილს და
მდინარე ოდერის დინებას დანებდა -
თევზების ვახშამი გახდა.

მას,
აღარ ჩაუცვამს შუმი აბრეშუმი –
რადგან მზითვად მოყოლილი საკაბეები
პურზე გადაცვალა
ობოლი შვილიშვილების დასაპურებლად.

მე,
მემკვიდრეობით მიღებული შიშების გამო,
მხოლოდ სიზმარში ვისმენ ძვირფასი კაბების შრიალს

და ცხადში,

მაგიდასთან, რომელსაც
დგომისა და ლოდინისაგან ფეხები დაუნვრილდა,
ფრთხილად შევექცევი თევზს,
რომ შემთხვევით ფხამ ყელი არ გამიკანროს.

არშეხვედრების

*ქალები კლავენ გველებს, თქვა მან და ვაშლის ხე დარგო.
მომავალი შეხვედრების პოეზიიდან*

„შეხვედრა გაიმართება...“ - წაიკითხავ და მონიშნავ,
თუმცა არასდროს მიდიხარ, რადგან

ჩვენ

ვასრულებთ ზრდას,
ვიხრებით წელში
და თანაგრძნობით ვუყურებთ

მათ,
ვინც ისწავლა გულგრილობა,
რიტუალებით გაიადვილა ცხოვრება,
გაუგო ნივთებს, რომლებიც უსარგებლოა

და


ვერ გაიგო
რატომ ჭამენ თავგები წიგნებს.



ნუციკო დეკანოზიშვილი

ალუბლების ყვავილობა

თავს მიხედე, -
 გეტყვიან, და
 მოიყვანენ უშეღავათო სიშავეს
 და აღარ გინდა, იყო,
 როგორც ქუჩაში დაგდებული მკვდარი ძაღლი,
 ცელოფანით რომ მიათრევენ გზისპირისკენ,
 ბორბლების ანაბეჭდებდად რომ გასდევს სიკვდილი
 და ყმუილიც უკვე შეუძლებელია.
 არ მოინყინოო, -
 და გტოვებენ,
 არა როგორც ლირს,
 არამედ გასვამენ მონყენის ისეთ დიდ ბეჭედს,
 ველარ გადააგორებ,
 ველარ ამოძვრები მისი სიმძიმიდან.
 არის კიდევ ასეთი სიტყვა - დაიკიდე,
 და დაუნანებლად ჩაგკიდებენ თვალუნვდენელ უფსკრულში,
 თავით - ქვევით, ფეხებს ალუბლის წვრილ ტოტებზე დაგიბამენ.
 არის ასეთი სიტყვებიც:
 დროებით, შეხვედრამდე, ნახვამდის...
 და დგახარ მატარებლის ბაქანზე,
 ხელსაც ვერ უქნევ მათ და
 გულისდანყვეტა სულაც არაფერია:
 ყველამ სათითაოდ გაზიდა შენი ნივთები,
 ყველა სათითაოდ არ დააბრუნებს,
 ყველა წავიდა.
 და კიდევ ერთი, მეგობრებო:
 აბა, შენ იცი!
 აბა, რა ვიცი,
 როგორ გაუნყოთ,
 რომ არც ერთხელ არ მომსვლია თქვენგან წერილი,
 რომ ისევ ვდგავარ ბაქანზე და მატარებლებს თვალით ვაცილებ,
 რომ ისევ ისე, ცელოფანი მეკრობა ტანზე, როცა მიმათრევთ
 და მონყენილობის ბეჭდის ქვეშიდან ხელებსაც ველარ გიქნევთ.
 აბა, მე რა ვიცი,
 აბა, მე რა ვიცი,
 როგორ ყვავიან ალუბლები დედამინაზე.



ამ მთებზე მეტად მხოლოდ ეს მთები მიყვარს,
 და მთები ისევ მშვიდად ისმენენ ამას.
 პირველად იყო და ახლაც არის სიტყვა,
 რომელიც მთებთან ხელებგაშლილი წავა.
 რომელიც მთებთან, შენთან ვნახე და მიყვარს,
 მიყვარს ეს სიტყვა, ყველა სიტყვაზე მეტად,
 უყურებ მთებს და შენთვის, უბრალოდ, ზიხარ,
 ზიხარ - უბრალო, აღარ დაითვლი სეტებს -
 როგორ არ იყო ის, ვინც ფეხდაფეხ გდევდა,
 როგორ მირბოდი სადღაც, ათასგზის მკვდარი,
 როგორ გაჩნდა და როგორ აგორდა სევდა,
 და როგორ წვიმდა, როცა იყავი გარეთ.
 და მოდიოდნენ მთები - დახრილი მხრებით,
 დახრილი მხრები, ჰაერს რომ მზისკენ ხრიდა,
 და ერთი სიტყვა, რომელიც მახსოვს დღემდე,
 და ერთი სიტყვა, რომელიც დღემდე მინდა,

და დღემდე მიყვარს, თუმცა მიყვარდნენ მთები.
ამ მთებზე მეტად მხოლოდ ეს მთები მიყვარს.
როგორმე უნდა დღე მოვიტანო დღემდე,
როგორმე უნდა მთებთან ავზიდო სიტყვა.


თუ მინდა, შეუჩერებლად მიყვარდე,
შენ ხანდახან უნდა იყო შორს და თვალახვეული,
შენ სულ უნდა იყო შორს და უმოქმედო,
შენ სულ უნდა იყო..
არ დაგინახოს ჩემმა თვალებმაც!
რადგან მე უნდა ვუყურებდე
ჩემს გაუსაძლის სიყვარულს,
რომელიც ფეხშველა ბავშვივით
მოხანცალებს წვეტიან ქვებზე,
რომელიც დასისხლულფეხებიანი ბავშვივით
მოხანცალებს კოკისპირულ წვიმაში -
წვეტიან ქვებზე და
სიყვარულისგან და ტკივილისგან
თვალები ნითელი სიხარულით უელავს.

მამაჩემის ხანდაზმული მეგობრები

ამას წინათ, ერთი მათგანი შემხვდა -
თეთრი, დიდი წვერი გაზრდოდა,
სათვალეებიდან ძლივს მოუჩადა ჭროლა თვალები,
იდგა ხანდაზმული,
გაზაფხულის შხაპუნა წვიმას დიდი ხის ქვეშ ემალებოდა.
მეორეც ხანდაზმული მოდიოდა -
მოხრილი, თვალებდახრილი,
მინის გარდა ვერაფერს ხედავდა - სამსახურში მიიჩქაროდა.
მესამე მათგანი სასაფლაოზე შემხვდა,
აღდგომის მომდევნო დღეს,
უზადო, შავი კოსტუმით, ღირსების გრძნობით აღსავსე,
გაჭიმული დადიოდა საფლავებს შორის
და ვერ ამჩნევდა,
როგორი თანაგრძნობით უყურებდნენ, საფლავის ქვებიდან,
ნაადრევად გარდაცვლილი მისი კბილა ბიჭები.
ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეოთხეც შემხვდა -
მას უშველებელი ღიმილი ჰქონდა,
მეხუთეც იყო - ჩასისხლიანებული თვალებით და
გაგლეჯილი გულით.
მეექვსე - შვილმკვდარი - მოვიკითხე, -
როგორა ხართ, გიორგი ბიძია - მეთქი.
მხრები აიჩეჩა, - რა ვიცო.

რამდენიმე მათგანი შორიდანვე მომესალმა:
გამარჯობა, შვილო!

და მე ხელს ვიფარებდი,
ხან თვალებზე, ხან ყურებზე,
რომ არ დამენახა,
რომ არ გამეგო, რატომ მოკვდა მამაჩემი -
მან, უბრალოდ, ვერ შეძლო, ასეთი გამხდარიყო,
რადგან ვერაფერი მოუხერხა
ბავშვივით გაფართოებულ თვალებსა და
სიცოცხლით შეუკავებელ ღიმილს.



ია ჭინჭარაძე

აგრილდა.
 ბავშვები გარეთ გაცვივდნენ,
 ჩემს ტვინში კი
 მატარებელი დაგრიალებს
 და მოჰყავს ნაცნობ-უცნობი.
 სკამს მოაჩოჩებენ,
 პულს მისინჯავენ,
 კარგად იქნები! - მპირდებიან.
 მე კი ვუყვები მდინარეზე,
 კალაპოტი რომ დაეკარგა
 და უგზო-უკვლოდ მიედინება,
 ქალაქის ცაზე ბრინჯივით
 მიმოფანტულ წეროებზე
 და ბრინჯაოს ანგელოზებზე.
 რომ გაიზარდნენ ჩემი თევზები,
 პირს აღებენ და გასაქცევს ეძებენ,
 რომ აქედან ყველაზე ადვილია დაბრუნება:
 თოვლის დერეფანი
 და უკვე სახლში ხარ,
 მერე რა, რომ ეს არ არის
 ნამდვილი იგლუ,
 ჩემი დარდიც არ არის ნამდვილი,
 მზისაგან წაღებულ სახლებზე.
 რომ შეეძლებ და
 უდაბნოს ამ უცხო ყვავილს
 მოვიშინაურებ და დავარქმევ
 ჰაერივით გამჭვირვალე
 სახელს - ალცჰაიმერს
 და დავივიწყებ,
 კრიალა გზებივით,
 ცა რომ ირეკლება
 და ცაში არეკლილი მდინარე,
 ერთხელ ჩემთანაც რომ შემოიხეტა.




როგორ გახუნდა,
 როგორც შალი დიდედაჩემის,
 ან გობელენზე ამოსული
 წყლის შროშანები,
 მაინც ჩემია, მაინც ვჩემობ,
 ისე ვით მწერი,
 ოქროს წვეთში გაქვავებული.
 ჭკნება წარსული -
 ყვავილები თიხის ლარნაკში,
 მე კი წყალს ვუსხამ
 წამება რომ გავუხანგრძლივო
 და დღეც ზოგჯერ ისე ვიწროვდება,
 ვეჭვობ, რომ გავალწევ

მის ღრისოდან.
ესაა ჩვენი უმისამართო ბავშვობა -
თოვლში მგლის ნაკვალევს
მიყვებით და გვიყვარს
ეს მგელი, ეს თოვლი, ეს ზამთარი.
და ისე უბრალოდ,
როგორც ბრმა ფურცლებს
ვჩუქნით სინათლეს,
ან ვით კაქტუსი წამოიყვირებს
კაშკაშა ყვავილს
და ისე ფრთხილად, უხმაუროდ
როგორც მზე ჩადის -
ბრუნდებიან ხეები, ხმები.

დაბრუნება

ცა, დასერილი თოლიებით...
ვათვლიერებ -
მოხუც მებადურს, ზღვით გამომშრალს,
ვერ მოატყუებ,
ოქროს თევზი ცრუ არის, იცის.
ვიღაცას ეძებს მისი მზერა გაორებული,
მშვიდად იცილებს
გრძნობებს, შეგრძნებებს, მოგონებებს
და იმეორებს:
ცივია წყალი და მძიმეა ჩემი სხეული,
ცივია წყალი და მძიმეა ჩემი სხეული.
ვფურცლავ -
მგზავრია, მობარბაცე ქარივით, მღერის:
არაფერია შენს მინაზე თბილი და ბნელი,
სამშობლოვ ჩემო, მე ლალატი არ მიფიქრია,
მაშინ, როდესაც მზეს თაკარას
ვარჩიე ჩრდილი,
მაშინ, როდესაც გემს გავყევი ჩრდილოეთისკენ.
სამშობლოვ ჩემო, მე ლალატი არ მიფიქრია,
ხელს რომ ვუქნევდი ეშაფოტზე ჩამოკიდებულ
გემებს და ხეებს, ჩემს თვალწინ რომ ანაფოტებდნენ.
ვფურცლავ -
წყვილები, მარტოობა, წყლული, სიცივე,
ძირდამხობილნი ლოცულობენ, იწყევლებიან.
დატოვა სულმა სხეული და წყნარად ციმციმებს,
მინა კი მიწას ემატება და მტვრით ივსება
თვალების ბუდე.
იქნებ შენ იცი ის ნაპირი, სად ვუბრუნდებით
ჩვენ, ჩვენს სიყვარულს და ბავშვობას
და ვიბადებით.



ალეპო
ხმებით სავსე ჩემს ქალაქში,
ზოგჯერ ცისკენაც ვიხედები.
ცივი და ბასრი ხმა მუეძინის
ჰაერს ორად კვეთს...


ნურაფერს მეტყვით სიკეთეზე,
 ნიჟარები ვართ -
 ზღვის ხმა დამშრალი,
 თუ კეთროვნები.
 მხოლოდ ქარი, ერთადერთი,
 სახეს არ მალავს
 და ყველაფერს ყველა ალაღად,
 ჩამოქცეულ შენობებს შორის,
 თუ ნანგრევებში მოყოლილი.
 ვინ უშველოს ბავშვებს - ჩიტისძვლებას,
 გასაფრენად რომ ემზადებიან,
 ან უცაბედად ჩაძინებულ ადამიანებს?
 ხმებით სავსე ჩემს ქალაქში,
 ზოგჯერ ცისკენაც ვიხედები,
 მომწყდარ ვარსკვლავებს,
 სურვილები რომ მივანყველო.

თენდება დილა,
 ჩამონგრეულ სანგართან ვდგებით,
 მოკლულები და დაჭრილები,
 როგორ ვუშველო?!
 და შენი მხრები,
 შვილო, შენი მოხრილი მხრები,
 ნელა იშლება, იმართები,
 დროა მოვშორდეთ - ამ წყეულ მიწას,
 ამ დამშეულ, თეთრ მდინარეებს,
 თუმცა მათზე ფიქრს
 მე ვერასდროს ვერ მოვიცილებ,
 როგორც სიცივეს,
 ჩემს ტანში რომ გაიდგა ფესვი
 და ველარ შველის გადამდები შენი სიცილი.
 არის ტკივილი, რაზეც გინდა ილაპარაკო
 დაუსრულებლად -
 სიყვარულზე... სიკვდილზე... ძმაზე...
 გზებზე, რომლებიც უფსკრულებთან წყდებიან, გზებზე,
 რომლებიც გაბრუნებენ
 სიმარტოვეში, ბავშვობაში, შენიანებთან.
 ერთ დღესაც ადგნენ და წავიდნენ ჩემგან ხეები,
 გაჰყვა ჩიტების მონკრიალე და ლალი ხმები,
 ვარწვედი დილას ძალმილეულს გათენებამდე,
 ვარწვედი დილას, ვით ავადმყოფ ბავშვს მიძინებულს.
 არის ტკივილი, რაზეც გინდა ილაპარაკო
 დაუსრულებლად...
 თითქოს ყინულს ამტვრევ კბილებით,
 თითქოს თოვლია, სიცივისგან რომ ვერ გიფარავს,
 გადაიხარე ყვაილივით ჩუმად მიწისკენ.
 მინდა ცა იყოს, ვით უდაბნო მიტოვებული,
 ლურჯ ბილიკებზე არ დარბოდნენ ცელქი ბიჭები,
 მინდა ბიჭები მდინარეში თევზებს იჭერდნენ,
 ციციანათელებს ღამეებში, გუბეში მთვარეს.
 არის ტკივილი, რაც ქვად გაქცევს
 და გაქცევს თევზად.



14

როცა სიმღერა უბრალოა და არ უმღერის
დიდ გამარჯვებებს,
ქალაქებში ზეიმით შესვლას,
როცა სიმღერა უბრალოა და არ უმღერის
გზებს ხმაურიანს
და ამ გზებზე მოსიარულე
მგზავრებს, სიმღერა უბრალოა – ჰაერი, ცეცხლი
და გეშინია ნაცრად ქცევის, ცაზე დაცემის
და შენი მზერა მზეს წვდება და უდაბნოს ერწყმის
და სიზმრების წინ თმებს ივარცხნი – წყალმცენარეებს.
გატყდა უღრანი – სავარცხელი და ჯადოც გაქრა,
გამოქვაბული გადაიქცა უბრალო ღრიჭოდ,
სადაც ქარივით შეძვრები და ამოისუნთქავ
შენს შიშს, თუ ეჭვებს და ხავსივით მოეჭიდები
სათქმელს, რომელიც სულ არ არის შენი ნაპირი
და არც ფსკერია, რომ იჯდე და დუმილს ამბობდე.
ასეა, როცა ერთმანეთი აღარ გვჭირდება,
ასეა, როცა ეშორდებით და აღარ ვაპირებთ,
უკან დავბრუნდეთ და ნავშალოთ ჩვენივე ხელით
მიწაზე კვალი და წყალივით უკვალოდ, დაღმა.
როცა სიმღერა უბრალოა და არ უმღერის
წყალსა და თოვლში დაღამებულთ...
წყალსა და თოვლში.



თემურ ჩხეტიანს

უწინ მეგონა,
წიგნიდან გადმოსული მახარებლები
ისეთი მალღები იყვნენ,
ქაბას ქვასავით
ყოველი მხრიდან
შეიძლებოდა მათი დანახვა.
და არა ასე -
შენიღბული სინათლე.
სიტყვებს რომ ახარებს ყვავილებივით
და ბალახის საშიში სიმალლიდან
დაჰყურებს ქვეყნიერებას.



თემურ ჩხეთიანი

რა ძნელია საკუთარ თავთან დაბრუნება

„რა ვქნისა ციხე...“ და მისი კარისა ხომ ყველამ ვიცით...
კარზე ერთი-ორი ლექსი მეც დამინერია
და ამის შესახებ ერთხელ ნუციკომ ესეც კი დაბეჭდა
შოთას ჟურნალში.

მე კი, ადრე თუ გვიან,
ლამის ყველა ლექსი უნდა ამიხდეს:
ავად თუ კარგად -
ან შემაცბუნებლად,
ან ლიმისიმომგვრელად...

ჰოდა, რამდენიმე თვის წინ წასული,
ნაადგომევეს სახლში რომ დავბრუნდი,
ეზოშიც ჩვეულებრივ შევედი,
მარანშიც შევიხედე,
სხვა ოთახებიც დავიარე,
მაგრამ ერთი ოთახის გასაღები ველარ ვიპოვე,
ჩემი ოთახის გასაღები ველარ ვიპოვე -
ჩემი „რა ვქნისა ციხე“ ველარ გავაღე!..
ვეჯაჯგურე,
ვაკაკუნე კიდეც,
„სეზამ, გაიღე“-ც წამომცდა, მაგრამ არა და არა...
ვდგავარ ჩემს კართან და მეცინება -
ველარ მცნობს, არ მიშვებს...

მეტი რა გზაა? - ამაღამ დივანზე უნდა დავიძინო,-
ძველ, გაქუცულ დივანზე;
დივანზე, ამდენ სტუმარს რომ მოსწრებია და შეჰგებებია -
ზოგი, მხოლოდ ჩამომჯდარა,
ზოგი უბრალოდ, წამონოლიდა,
ზოგს კი ტკბილადაც სძინებია.
მათგან კი ახლა
რატომღაც გია როინიშვილი მახსენდება,
ამასწინათ, ნოემბრის ბოლოს რომ მესტუმრა
და კარგად ნასვამს,
და ამ დივანზე მძინარეს,
ორი საბანი ეფარა,
რომ არ შესცივროდა.

მფარველი ანგელოზი

დაიღალა ჩემი მფარველი ანგელოზი -
წავიდა, ცის ტოტზე ჩამოჯდა და ფრთები დაკეცა;
გაირინდა და ნალვლიანად გადმოხედა:
- რა ვქნა? რა გიყო? რა გიმეველოო?..
თავი დავზარე, შემრცხვა და ისიც შემეცოდა.
მერე ძალა მოვიკრიბე,
ავფრინდი და მეც ცის ტოტზე -
მის გვერდით ჩამოვჯექი.
ერთად ვისხედით მე და ჩემი მფარველი ანგელოზი
და ხმას არ ვიღებდით,
მხოლოდ ვუცქერდით და ვაყურადებდით,
მაგრამ ქვემოთ
გარკვევით არც არავინ ჩანდა
და იქიდან არც არაფერი ისმოდა.
ვისხედით ერთად მე და ჩემი ანგელოზი
სადღაც ცის ტოტზე,
ვისხედით ერთად,
თუმცა, ვინ იცის?.. ვიყავით კი?




იქნებ უბრალოდ,
იქაც მხოლოდ და მხოლოდ
ვიგულისხმებოდით ?..

წიგნები

მიდი კარდასთან,
გასწიე მინა,
გადმოიღე რომელიმე წიგნი,
გადაფურცლე, ჩახედე, მალევე დახურე და ადგილზე დააბრუნე;
გადმოიღე მეორე წიგნი,
გადაფურცლე, ჩახედე, ისევ გადაფურცლე,
დახურე და ესეც უკან დააბრუნე;
თვალი გააყოლე წიგნების წყებას,
გადმოიღე მესამე წიგნი,
გადაფურცლე, გადაფურცლე, გადაფურცლე...
ესეც დახურე და უკან დააბრუნე.
ან აღარ გესმის არაფერი,
ან აღარ გინდა.
სიგარეტის კვამლიც არაფერს ხატავს ისეთს,
რომ რაიმეს მიამსგავსო -
ჩუმად მიდის ოთახის ჭერისკენ,
თუმცა მზერას
ოდნავ მაინც აბუნდოვანებს.

ფულუროს ექო

ირაკლი ლომოურს
ყველა ხმა მისი ხმის გამოძახილია,
მისი ექო:
ღრუბელთა გრგვინვაც, ჩიტის სტვენაც, ბავშვის ჭყლოპინიც;
იმ ხმის ექო მუსიკის ხმა,
გარინდებულ დარბაზში რომ იღვრება
და ისიც - მქუხარე ტაში,
ცრემლები, „ბრავო!“
იმ ხმის ექო ნაბიჯების ხმა, როდესაც გვტოვებენ
და ჩვენი ამოოხვრაც,
და ხმა იატაკზე საგნის დაცემის...
შენ მკითხე:
- რა ხმას გამოსცემს ციყვი?
- არ ვიცი,
მგონი, არასდროს გამიგონია.
ხან და ხან კი მესმოდა ხმა რაღაც ფხაჭუნის,
თუ რაღაც წრიპინის,
მაგრამ ესეც ექო იყო,
ფულუროს ექო.



ორი საუკუნის მოქალაქე

მე-20 საუკუნეში
სიგარეტს ვტენიდი მუნდმტუკში.
21-ე საუკუნეში
ფილტრს ვტენი სიგარეტში.

აპრილის ქარიზმა

ნახევრად სავსე ჭიქა,
ნახევრად ცარიელი მე
ვუსმენთ ქარის ხმას.

რომ გაზაფხულდა,
ამას უფრო შენ გიჯერებ, ჩემო კრაზანავ,
ღია ფანჯრიდან რომ
შემომიბზულილდი.

ოფოფი

რამდენჯერმე მოვკარი თვალი -
 აქ, ეზოში.
 ხან ერთი, ხან მეორე ხის ტოტზე
 იჯდა და ოდნავ ქანაობდა -
 რალაცნაირად გაფუყული
 და ჭრელი,
 ჭრელი...
 სანამ მე მობილურს მოვიმარჯვებდი
 სურათის გადასაღებად,
 ფრინდებოდა
 და მზერიდან მეკარგებოდა -
 ერთხელაც ვერ ჩავუჩხაკუნე.
 არადა, ნამდვილი იყო,
 არ ვიგონებ -
 არც ფოტო-კამერიდან
 და არც ჩემი თავიდან
 არ გამოფრენილა.

ორნითოლოგია

დილაადრიან
 ეზოში გავედი პირის დასაბანად.
 წყლის ონკანი გალავანთანაა.
 გალავნის რკინის ხვეულებს მიღმა კი საუბნო გზაა,
 ახლა უკვე განკეპილი და საამოდ სავალი.
 შოდა, ისიც იმ წუთას ჩამოფრინდა გზისპირის ბალახში -
 ბოლოქანქარა, კობტა და ცქვიტი -
 ლამაზი ჩიტი ბელურასებრთა ოჯახიდან.
 მიმოდიოდა, თან რალაცას უნისკარტებდა,
 მერე გაჩერდა, მე ვუყურებდი...
 ერთხელ მითხრეს:
 მაგ ჩიტს „ქვატყანისაც“ ეძახიანო.
 მაშინ დავიჯღანე და გავაპროტესტე,
 ახლა კი უბრალოდ გამეცინა -
 ის ერთხანს იჯდა
 და თითქოს მართლად
 ქვას უქაქუნებდა.

* * *

წუხანდელ სიზმარში
 ომი და კომუნარი,
 ამ დილით კი
 ლოკოკინების ალღუმი
 ნანვიმარ ბილიკზე.

* * *

ბებერი მსხლის ხე ეზოში
 სახლის ჩრდილს
 თავისკენ ექაჩება...

* * *

უცქირე ღრუბელს და ღრუბელს,
 თან ლუდი წრუპე და წრუპე...
 მარტო ხარ, ვერავინ განგსჯით
 ვერც შენ, ვერც ცრემლიან უპეს.






ქართული
ინტელიჯენცია

პილარი მანტელი

ინგლისურის კურსები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



- ახლა კი, მას შემდეგ, რაც მთელი სახლი დავათვალიერეთ, მის ძალზე უჩვეულო ნაწილს გიჩვენებთ. - თქვა მისტერ მედოქსმა და რამდენიმე წამით იყუჩა. ქალს უნდა გაეაზრებინა, რაოდენ უზომო სიამოვნება ელოდა.

- მითხარით, მის მარსელა, იყო თუ არა ასეთი თავშესაფარი იმ სახლში, სადაც უნინ მუშაობდით? მარსელამ თავშესაფარს თვალი შეავლო.

- ოჰ, რა საოცრებაა! მითხარით, აქ ოჯახის წევრები თითო-თითოდ ჩამოდიან ხოლმე თუ ერთად? - თუკი (ღმერთმა ნუ ქნას) ამის საჭიროება შეიქმნება, აქ მთელი ოჯახი დაეტევა, - თქვა მისტერ მედოქსმა.

- ღმერთმა ნუ ქნას, - გაიმეორა მარსელამ. - და წარმოიდგინა შიში, რომელიც, შესაძლოა, მოიცავს კაცობრიობას... ნეტავ, როგორ იწყება და როგორ ვრცელდება შიში? მშობლებისგან ბავშვებს, ბავშვებისგან კი მშობლებს გადაეცემა ხოლმე?

- ექიმო არ დასჭირდებათ? - იკითხა მან. - ხომ არსებობს აბები შიშის წინააღმდეგ? ამბობენ, შიშს ქალაქის პაკეტში სუნთქვაც შევლისო. მართლაც

შველის, თუმცა, არ ვიცი, რატომ.

მისტერ მედოქსმა, რომელიც ამ სახლში მსახურთუფროსის მოვალეობებს ასრულებდა, მარსელას თვალი თვალში გაუყარა. ქალმა იგრძნო, რომ შეცდომა დაუშვა. შესაძლოა, ზედმეტად შინაურული კილოთი მიმართა მისტერ მედოქსს, ან, იქნებ, მისი ნათქვამი არასწორად გაიგო; ალბათ, ასე იყო.

- მაშასადამე, - იკითხა მარსელამ გაუბედავად, - საშისპოვნის შემთხვევაში ამ ოთახს აფარებთ ხოლმე თავს?

- ეს, უბრალოდ, ოთახი კი არაა, - თქვა მისტერ მედოქსმა. - არამედ ერთგვარი სათავსოა. მომყევით და გიჩვენებთ.

და უეცრად შემოტრიალდა:

- თუ ხუმრობის განწყობაზე ხართ, იმედი უნდა გაგიცრუოთ. ისევე, როგორც ყველას, მეც მიყვარს ხუმრობა, მაგრამ სენტ-ჯონს-ვუდში აჯობებს, ენას კბილი დააჭიროთ. ახლა კი გამომყევით, მის მარსელა.

კარი, რომელშიც გავიდნენ, კედელზე თითქმის არ ჩანდა. მისი გაღებისთანავე სინათლე თავისით



აინთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს იყო სახლის ფარული ნაწილი, რომლის შესახებ მხოლოდ ოჯახის ნევრებმა და მსახურთუფროსმა იცოდნენ.

- მისტერ მედოქს, - ჰკითხა მარსელამ, - აქაურობა უნდა დაევალო ხოლმე?

- ყოველ კვირას, - მიუგო მისტერ მედოქსმა, - მტვერსასრუტით და ფხვნილებით. საპირფარეშოც უნდა გააკრიიალოთ, იმისდა მიუხედავად, სარგებლობს თუ არა ვინმე მისით.

- ღმერთმა ნუ ქნას, - თქვა მარსელამ და თავშესაფარი შეათვალიერა. მისტერ მედოქსმა მას აჩვენა წყლის დიდი კონტეინერები და სურსათის + ოთახში იდგა დივანი და ორი სავარძელი, რომლებზეც რუხი ქსოვილი იყო გადაკრული. ბალიშები არსად ჩანდა. საპირფარეშოში საპნის მომცრო ნაჭერი იდო - სუპერმარკეტში ნაყიდი საპონი, რომელიც გაცილებით უხარისხო იყო, ვიდრე სახლის სხვა ნაწილებში ნაწახის საპნები. ნეტავ, რატომო, გაუკვირდა მარსელას.

შორეულ კედელთან ლითონის მიღებისგან აწყობილი საწოლი იდგა. მასზე გახამებული თეთრი ზენრები ეფარა და დაკეცილი მუქი ლურჯი საბანი იდო.

- აქ მხოლოდ ერთ ადამიანს სძინავს ხოლმე? - იკითხა მარსელამ.

- ეს საწოლი ძილისთვის კი არაა განკუთვნილი, - თქვა მისტერ მედოქსმა, - არამედ იმისთვის, რომ დაეწვინოთ ვინმე, სანამ პოლიცია და დაცვის სამსახურის მუშაკები მოვლენ. მოკლედ, აქ დაჭრილს ან უბედურის შემთხვევის მსხვერპლს დაეწვენენ.

- უკაცრავად, - თქვა მარსელამ, - არ ვიცი, რას ნიშნავს "მსხვერპლი".

მისტერ მედოქსი გაღიზიანდა.

- მეგონა, რომ აქ ფირმა "ლედიმ" გამოგზავნათ. და რომ ინგლისური გეცოდინებოდით,

- "ლედის" არ გამოგუგზავნივარ, - შეეპასუხა მარსელა. - მასში განცხადება ამოვიკითხე. ინგლისური ენის გამოცემა კი ჩაბარებული მაქვს. ჩანთაში სერტიფიკატიც მიდევს.

- თქვენი სერტიფიკატი რა ჯანდაბად მჭირდება, - შეუღრინა მისტერ მედოქსმა. - ვიცი, რომ მას არ გამოუგზავნიხართ. მაგრამ "ლედის" ნაკითხვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ინგლისური კარგად იცის.

- არა, ასე არაა.

მარსელამ იგრძნო, რომ დაილაღა. ფიქრობდა, ნეტავ შემძლოს, თავშესაფრის საწოლზე წამოვწვეო. უარესი საწოლებიც ენახა. მაგალითად, ნოტინგ-ჰილში.

- "ლედი" ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც შინამოსამსახურის ადგილს ეძებს. - უთხრა მან მისტერ მედოქსს. - ის მხოლოდ ჟურნალია. ლორდ ტენისონის ლექსები ან შელოცვათა წიგნი როდია.

- ნუ თავხედობთ. - თქვა მსახურთუფროსმა. - ნუთუ სამსახურის დაკარგვა გინდათ? ვერც გვიჩივლებთ. მისი უდიდებულესობის სასამართლო თქვენნიარ ადამიანებს არ უთანაგრძნობს. თუ სამუშაო დაკარგეთ, ის ვერ გიშველით. გაფრთხილებთ!

მარსელას თავშესაფრის ცივ იატაკზე ფეხები გაეყინა. დაპირებული ხელფასი არც ისე დიდი იყო,

მაგრამ საკუთარი საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდა. აქ კი აღუთქვეს, რომ ცალკე ოთახს გამოუყოფდნენ. სახლის მეპატრონეებს სჭირდებოდათ ძაღლების მოყვარული და რეცხვაში განაფული შინამოსამსახურე, რომელიც მწვეელი არ იქნებოდა. აქედან კარგა შორს, ჩრდილოეთით, ქათმის ხორცი მალაზიის თავზე მარსელას ზოგიერთი თანამემამულე ქალი "ლედის" ხელიდან ხელში გადასცემდა. მათთვის მიუწვდომელი იყო ინტერნეტი, არ შეეძლოთ ნოუთბუქის ან ნებისმიერი პორტატიული აპარატის გამოყენება - ქურდებისა ემინოდათ. ამიტომ ჟურნალი "ლედი", რომელსაც ამდენი ადამიანს ხელში გაეკვლო, დაფლეთილი და ბინძური გახლდათ; სამუშაო ადგილები ჟურნალში მონიშნული იყო ნითელი წრეებით, მწვანე ჯვრებითა და ლურჯი ვარსკვლავებით. ქათმის ხორცის მალაზიის თავზე განლაგებულ ოთახში ქვეყანაში არაღვაღაღურად შემოსულ ნებისმიერ იმიგრანტ ან ძებნილ ქალს შეეძლო სხვადასხვა ჯურის მოხვედრისა და პოლიციის დამალვოდა და აქ დარჩენილიყო ერთ ღამის ან მეტი დროის განმავლობაში, თუ ღამის გასათევი ადგილი არსად ეგულებოდა. ზოგჯერ ქალები ძაღლზე დიდხანს ცხოვრობდნენ აქ. საძილე ტომრებში ან საბნებში გახვეულთ ეძინათ, უსიცოცხლო, გაცრეცილი სახეები ჰქონდათ და გაღვიძებისას ზოგჯერ საკუთარი სახელებიც კი არ ახსოვდათ.

ამიტომ იყო, რომ მარსელა თვინიერი გამომეტყველებით უსმენდა მისტერ მედოქსს.

- მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობა ვიკითხე. სამომავლოდ ლექსიკონს შევიძენ. - თავი გაიმართლა მან.

- არა უშავს, ჯერ ახალგაზრდა ხართ, - გულმოულობა მსახურთუფროსს. - ყველაფერს ისწავლით. "მსხვერპლი" არის დაზარალებული ადამიანი, მაგალითად, ტყვეით დაჭრილი.

მარსელამ იცოდა, რომ დაჭრილი ადამიანი აუცილებლად უნდა დაეწვინათ.

- ვინ დაჭრის?

- ვინ დაჭრის. ტერორისტი. სამართალდამრღვევი ყაჩაღი. თავზეხელაღებული ადამიანი.

- საფრთხე ყველგანაა, - ჩაიჩურჩულა მარსელამ.

- ეს თავშესაფარი ტყვიაგაუმტარია, - განმარტა მსახურთუფროსმა. - ჩამონტაჟებული ფილტრი ჰაერს წმენდს და ბიოლოგიური პრეპარატებისა და ქიმიური ნივთიერებების უმრავლესობას ანეიტრალებს. ისიც უნდა იცოდეთ, რომ დაცვის თანამშრომლებისა და პოლიციის გამოსაძახებლად აქ დასახლის ყველა ოთახში საგანგაშო ლილაკებია.

- ნითელი ლილაკები?

- ნითელი? რატომ უნდა იყოს ნითელი?

- მაშ, როგორ უნდა ვიცნო? ხომ შეიძლება, მტერის განმწმენდისას უნებლიეთ თითი დავაჭირო, მაშინ, როდესაც ტერორიზმის საშიშროება არ იქნება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთივე ეფექტი, როგორიც მოჰყვა ბიჭის ყვირილს, "მგელი, მგელი".

მსახურთუფრესი მარსელას ჩაამტვრდა. ქალი ფიქრობდა, რომ თუმცა მსახურთუფრესი მაღალფარდოვნად მტყვევლებდა (მასთან შედარებით),

მაგრამ მაინც ღარიბი ლექსიკა ჰქონდა.

- რა თქმა უნდა, ლილაკები წითელი ფერისა არაა, - თქვა მისტერ მედოქსმა. - დამალულია, რათა ჩვენმა მუშაკებმა მათზე თითი შეუმჩნეველად დააჭირონ ხოლმე.

- გასაგებია, მაგრამ ხომ უნდა გადავწმინდო. - თქვა მარსელამ. - სულ ერთია, დამალულია ისინი თუ არა. ნოტინგ-ჰილში სამსახურიდან იმის გამო გამათავისუფლეს, რომ სკამების ფეხები დამტვერილი იყო.

- ეს თქვენი ერთადერთი დანაშაული არ იქნებოდა, - შენიშნა მისტერ მედოქსმა.

მის ხმაში ეჭვი ისმოდა.

- რა თქმა უნდა, კენსინგტონში ასე მოხდებოდა. პოლანდ-პარკშიც. მაგრამ ნოტინგ-ჰილში? არა მგონია. ჯობს, სიმართლე მითხრათ. რა შეგემთხვავათ იქ? ან, უფრო ზუსტად, რას მალავთ?

- არ ვაპაუპატიურებს, - აღიარა მარსელამ. - ყველაფერი ჩემი ნებით მოხდა.

* * *

ყველაფერი ასე მოხდა. იქ, ნოტინგ-ჰილში, ოჯახი, სადაც მარსელა მუშაობდა, თხილამურებზე სასრილოდ გაემგზავრა. პატარა ჯონკვილი თან წაიყვანეს, ხოლო თხუთმეტი წლის ჯოშუა შინ დატოვეს - იმის გამო, რომ დასვენებას არ იმსახურებდა, ან იმიტომ, რომ წელს გამოცდები უნდა ჩაებარებინა. ჯოშუა სამზარეულოში იჯდა და იატაკზე ხორბლის მარცვლებს ყრიდა. მარსელას ეს იმიტომ დაამახსოვრდა, რომ უსაყვედურეს, მარცვლებზე ფეხები ეადგამო. ბოლოს დედამ ჯოშუას უთხრა, რომ ისინი დასასვენებლად და თხილამურებზე სასრილოდ გაემგზავრებოდნენ, თუნდაც ჯოშუას მთელი იატაკი მარცვლებით დაეფარა; რომ ბიჭის ქცევა არაფრად ენაღვლებოდა - მარსელა ყველაფერს დაასუფთავებდა; რომ ჯოშუა, შესაძლოა, მომავალ წელს წაეყვანათ, ოთუკი დაიმსახურებდა.

მოგვიანებით, როდესაც მარსელა თავის ოთახში ადიოდა, დაინახა ჯოშუა, რომელიც კიბის საფეხურზე იჯდა და ტიროდა. მაღალი, ტანსრული ბიჭი იყო და როდესაც ხვნიშობდა, თითქოს მთელ ჰაერს ისრუტავდა. ფართო სახე ცრემლებისგან დასველებოდა. მარსელას ოთახში ამავალ კიბეზე იჯდა, თუმცა, არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ იქ ყოფილიყო; მისი ოთახი ქვემოთ იყო, პირველ სართულზე.

- არ შეშხედო, - თქვა ჯოშუამ.

მარსელა მიხვდა, რომ ჯოშუას თავისი ცრემლებისა რცხვენოდა, რადგან უკვე დიდი ბიჭი იყო, მაგრამ რატომ მოვიდა აქ, თუ არ სურდა, რომ მარსელას მისი ნამტირალევი სახე ეხილა?

მარსელამ უთხრა:

- ნუ ზღუქუნებ, ჯოშუა.

ალერსიანად უთხრა, მაგრამ შეამჩნია, რომ ბიჭი დაიძაბა. იქნებ, სხვა გამოთქმა უნდა ეხმარა?

- მინდოდა მეთქვა, ნუ ქვითინებ-მეთქი. გეყო. სხვა დროს გაემგზავრები თხილამურებით სასრილოდ.

- ჩემი ბრალი არაა, რომ დედაჩემი აქედან წავიდა და მასთან დამტოვა, - წაილულულა ბიჭმა. დე-

დინაცვალთან დამტოვაო, გულისხმობდა - რატომ მსჯიან ყოველთვის სწორედ მე? რატომ?

ჯოშუა არ ელოდა, რომ მარსელა პასუხს გაცემდა. თუმცა, მაინც ელოდა.

- ყოველთვის იმიტომ კი არ გსჯიან, რომ შენ ხარ ცუდი. ხშირად ეს იმიტომ ხდება, რომ შენ შესახებ სხვებს არასწორი წარმოდგენა აქვთ. - დაუყვავა მარსელამ და გაჩუმდა. ჯოშუა არც ისე საზრიანი ბიჭი გახლდათ და მარსელას სიტყვების საზრისს მისივე ვერ მიხვდებოდა.

- რაც უფრო მალე გაიაზრებ ამას, მით უკეთესი იქნება შენთვის, - თქვა მარსელამ. - თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, იოლი არ არის.

- რა არ არის იოლი? - მიაჩერდა ბიჭი.

- არ არის... - მარსელა გალიზიანებას ვერ იკავებდა. პირი თითქოს შეუშუშდა. ცდილობდა, სიბრალული ეგრძნო ჯოშუას მიმართ. შესაძლოა, ბიჭი ასეთი ზორბა ან ასეთი ბინძური რომ არ ყოფილიყო...

- მინდოდა მეთქვა, რომ ეს უსამართლობაა... ახლა იჩქარე. მამაშენი გელოდება, რომ კვლავ სკოლაში წაგიყვანოს. ამხანაგებს როცა ნახავ, ეს განცდები მალე დაგავიწყდება.

ჯოშუა თავისი უზარმაზარი სხეულით წამოიმართა.

- რატომ მეუბნები ამ სისულელეს?

- შენი ჩანთა ავტომატქანაშია. შიგ შოკოლადიანი ქიშმიშის პაკეტები ჩავდე. ექვსი პაკეტი. კბილების გახეხვა არ დაგავიწყდეს. ხომ იცი, ტკბილეული კბილებს აზიანებს.

ბიჭმა ზემოდან დახედა მარსელას.

- მივდივარ.

ყველაფერს ვეტყვიო, გაიფიქრა ქალმა.

- ჯოშუა, სიმართლე გითხრა, ვერც კი შეგიგნია, როგორ ოჯახში დაიბადე. დედ-მამას უყვარხარ. ისინი ზრუნავენ შენს ჯანმრთელობასა და განათლებაზე, თბილ ტანსაცმელსა და საცვლებზე. საკვები და ჯიბის ფული არ გაკლია. არავითარი მოვალეობა არა გაქვს, გარდა იმისა, რომ დროდადრო ფეხსაცმელი გაიმშინო, თუმცა, ამით თავს არ ინუხებ. მხოლოდ პატარა ბავშვები ტირიან იმის გამო, რომ თხილამურებზე სასრილოდ არ მიჰყავთ. შენ კი, ჯოშუა, უკვე მამაკაცი ხარ და შესაბამისად უნდა მოიქცე.

ჯოშუას ცხვირსახოცები არასოდეს ჰქონდა თან, მიუხედავად იმისა, რომ მარსელა ყოველთვის ურცხავდა და და უშუთებდა. როდესაც ცხვირსახოცი სჭირდებოდა, ცხვირს სახელოთი იწმენდა. ბიჭმა მარსელას ზურგზე მუჯღუგუნე გაარტყა, ისე, რომ არ შეუხედავს, და საფეხურებზე ბავშავით დაეშვა.

კარგია, რომ გავაფრთხილე, გაიფიქრა მარსელამ. მაგრამ მდიდრების პრივილეგია სწორედ ესაა - თავს უფლებას ჰძლევენ, იზღუქუნონ უდროოდ, უცხო ადამიანის წინაშე.

იმ დღეს, როდესაც მარსელა დარწმუნდა, რომ ოჯახის წევრები გაფრინდნენ და უკან არ დაბრუნდებოდნენ, ის სამზარეულოში ჩავიდა და ყავის დაღვევა დააპირა. ერთხანს პაკეტებიან კოლოფს ხელში ატრიალებდა, თითქოს ირჩევდა, რომელიც პა-



კეტი აელო. შემდეგ ერთი მათგანი გახსნა და ფხვნილი ფინჯანში ჩაყარა. ყავის მომწარო გემო არ მოეწონა, მაგრამ სიამოვნებდა, რომ თავისუფალი დრო ჰქონდა და დასვენება შეეძლო. ყავის პაკეტი მაგიდაზე ისე პრიალებდა, როგორც - საფირონი გრანტიზე.

მარსელამ ჩამოწერა ყველა საკითხი, რომლებიც უნდა მოეგვარებინა, სანამ მოთხილამურეები შინ დაბრუნდებოდნენ. ორი გვერდი გაავსო, მაგრამ მომდევნო ექვსი დღის განმავლობაში საკუთარი საქმეების მიგვარებასაც მოასწრებდა. სახლის მეპატრონეთა გამგზავრებიდან ერთი საათის განმავლობაში ოთახებში თითქოს მათი ხმების ექო ისმოდა, შემდეგ კი ოთახებში სიჩუმემ დაისადგურა. მარსელა თავის მანსარდაში ავიდა და კარი მიიხურა.

მანსარდაში მზის შუქი მაღლა გაჭრილი ვიწრო კობტა სარკმლიდან შემოდოდა. ამ ოჯახში მუშაობის პირველსავე დღეს მარსელა სკამზე დადგა და გარეთ გაიხედა. წვიმდა. ფანჯარაში მხოლოდ ნოტივ-პილის მოლაპლაპე სახურავები მოჩანდა. ოთახში იდგა კუბოსავით ვიწრო კარადა, რომელშიც სარკე იყო ჩასმული. თუ კარადაში ერთ ლაბადას, ერთ ჟაკეტს, ორ სამუშაო ფორმას (ლურჯ ნინსაფარს) და შესაძლოა, კიდევ სამ კაბას მჭიდროდ დაკიდებდით, იქ სხვა არაფერი დაეტეოდა. მარსელა ნუხდა - იქნებ, სახლის მეპატრონეები ფიქრობდნენ, რომ შინამოსამსახურე აქ დიდხანს არ იმუშავებდა და ამიტომ არ დაუდგეს უფრო ხალვათი კარადა, სადაც ბევრ ტანსაცმელს დაჰკიდებდა? თვით მარსელა იმედოვნებდა, რომ აქ დიდხანს დარჩებოდა; ქათმის ხორცის მაღაზიის თავზე განლაგებული ოთახი გამქირავებელმა დაიბრუნა და მარსელას თანამემამულე ქალებს ბრალად დადო, აქ საროსკიპო მოგინწყიათო. ასე რომ, სამუშაოს დაკარგვის

შემთხვევაში მარსელას ღამის გასათევი ადგილი არ ექნებოდა. ამიტომ საკმარისი იყო დამქირავებლის კაპრიზი, ან კიდევ ძიძის და სადღეღამისო შევიცარის მტრობა, რომ მარსელა ქცეულიყო ერთ-ერთ უბედურ ქალად, რომელთაც თვალყურს ადევნებდნენ სუპერმარკეტების მცველები და რომელთაც მოპარულ ჩანთებში უწყვიათ ხოლმე საბუთები, ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატები და სამანკეობიანი ვადაგასული სანდვიჩები... ზოგჯერ, თუკი ერთ-ერთი მათგანი ავად ხდებოდა და ვერ მუშაობდა, მას სხვა ენაცვლებოდა, რეცხავდა იატაკებს და სააბაზანო ოთახებს; დამქირავებლებისთვის კი ისინი მხოლოდ უპიროვნო არსებები იყვნენ, რომლებსაც ცოცხი ან ვედრო ეჭირათ და პირმოთენდ ილიმებოდნენ.

უცხო ოჯახში მუშაობისას შინამოსამსახურეებისმიერ საცხოვრებელ პირობებს უნდა შეგუებოდა; კარადა იმდენად ვიწრო იყო, რომ მარსელას ისლა დარჩენოდა, თავისი ჟაკეტი დაეკეცა და უჯრაში შეენახა. მის ოთახში იდგა ოთხუჯრიანი სკივრი და კომოდი, რომელიც კომოდი არ იყო. სინამდვილეში ეს იყო ყუთი, რომელშიც სანოლი იდგა. სკივრი გორგოლაჭებზე ტრიალებდა და ცალი ხელით ღონივრად უნდა დაგეჭირათ, სანამ მეორე ხელით სანოლს გამოათრევდით. წინააღმდეგ შემთხვევაში სკივრი, სანოლიანად, იატაკზე გაგორდებოდა.

ახლა, ცარიელ სახლში - როდესაც მისი მკვიდრი თხილამურებზე სრიალებდნენ - მარსელას სურდა, თავისუფლება იმით აღენიშნა, რომ წამოწოლიყო. აქამდე დღისით არასოდეს გამოუთრევია თავისი სანოლი. წარმოიდგინა, როგორ დაწვებოდა ზოლიან ლეიბზე, მაგრამ ერჩივნა, ზენრებიან სანოლზე დაწოლილიყო და დალიანდაგებული საბანი დაეხურა. გამოლვიძების შემდეგ ყველაფერი უნდა

აელაგებინა? თუ ქვეშაგები თავის ადგილას დაეტოვებინა?

მარსელამ კიბის მეორე ბაქანი ჩაიარა და თავისი ბატონისა და ქალბატონის საწოლი ოთახისკენ გაემართა. ქალბატონი თითქოს ჯერ კიდევ აქ იმყოფებოდა, მისი უჩვეულო სურნელი კვლავ ტრიალებდა ჰაერში. ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ამ ოთახში მამაკაცს ეძინა ხოლმე. ორადგილიან საწოლზე თხელი საბანი ეფარა. თეთრ ფონზე ყავისფერი ორნამენტები ეხატა. ბევრჯერ განარეცხს ჰგავდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. თვით მარსელას არაერთხელ მოუტანია ეს საბანი ქიმშიმენდიდან, როდესაც ქალბატონი მასზე ყავას ღვრიდა ან პატარა ჯონკვილი მშობლების საწოლზე აცოცებისას ზედ ხილის წვეცს ასხამდა.

ამაზე ვერ დავნებები, ვაითუ დავსვაროო, გაიფიქრა მარსელამ, ოთახიდან გავიდა და კარი მიიხურა, რომ შიგ ვარდისა და ლიმონის სურნელი დარჩენილიყო. პატარა ჯონკვილის საძინებელში შევიდა და ბავშვის პატარა საწოლზე წამოწვა. საწოლთან გობელენი ეკიდა, რომელზეც მწვანე მინდორი და ჭრელი ხბოები იყო გამოსახული..

კართან ხმაური გაისმა. მარსელა შეკრთა და გაეღვიძა. შიშისგან პირი გაუშრა და თავდაპირველად ვერც კი იაზრა, სად იმყოფებოდა. ქალი წამოდგა. ქურდებისგან უნდა დაეცვა ბატონის კაბინეტი ჩაშენებული ავეჯით, რომლის გასანმენდად აეროზოლის გამოყენება არ შეიძლებოდა, მხოლოდ ცვილით უნდა გაეპრილებინა; უნდა დაეცვა კედლის სეფი, აპარატურა, კომპიუტერის პროგრამები: უნდა დაეცვა მინდორში გაფანტული ხბოები და ყავისფერორნამენტებიანი საბანი. როდესაც კიბესთან მიიღბინა, ჯოშუა დაინახა.

- ჯოშუა? შენ ხარ? მეგონა, სკოლაში იყავი. ბიჭმა თვალები დაუბრიალა.
- სკოლაში რა მესაქმება, შე უტივინო.

ჯოშუას შარვალი თეძოებზე ჩაჩაჩოდა და უზარმაზარ კედლებზე ეფინებოდა; ეს მოდაში აღარ იყო, მაგრამ ჯოშუა და მისი თანაკლასელები კვლავ ამგვარ შარვლებს ატარებდნენ, რადგან მიყრუებულ უილტშირში ცხოვრობდნენ და ახალი მოდეის შესახებ არაფერი სმენოდათ. სამზარეულოში სხედბოდნენ, ენაოდნენ, ფერფლს პირდაპირ იატაკზე ყრიდნენ და იცინოდნენ, მარსელას კაბაზე ფეხებს უცაცუნებდნენ და ისეთ გამომეტყველებას იღებდნენ, თითქოს ეს შემთხვევით ხდებოდა, როდესაც ქალი სამზარეულოს იატაკს ცოცხით ხვეტდა.

- მარტო ხარ? -ჰკითხა მარსელამ. - სკოლაში იციან, სადაც ხარ?

და ქალი უეცრად მიხვდა, რომ ჯოშუას და მისი თანაკლასელები შეეძლოთ დაეტყვირათ პანანა ხბოები, თავები წაეცალათ და გაუტყავებლად შეენვათ. წარმოუდგენელი იყო, რომ ამ ბიჭის ბავშვური ხელები ოდესმე მიფერებოდა დახატული ფერმის კონტურებს ან რომ ის ბავშვური მზერით ელამუნებოდა ლურჯ ფრინველებსა და ჭრიჭინებს.

მარსელამ შეხედა ბიჭს, რომელიც კიბეზე იდგა. მაისურზე ნომერი 69 ეწერა და კაპიუშონიდან გოჭვით ღაჟღაჟა სახე უჩანდა.

- არ გენყინოს, ჯოშუა, - უთხრა მარსელამ. -

გაინტერესებდა, რატომ დაგსაჯეს. მე გიპასუხებ, - საჭმელი მომიზადე, - უთხრა ბიჭმა..

- ძალიან კარგი, მოგიზადებ. რა გირჩევინა?
- "სერ" მიწოდე.
- არა.
- "სერ" მიწოდე.

- ეს სწორი არ იქნება, ჯოშუა. მამამენიც კი, რომელსაც დედოფალმა ლორდის ტიტული უბოძა, მეუბნება, უბრალოდ, "მაიკი" მიწოდეო.

- არ მაინტერესებს, როგორ მიმართავ მაგ ნაგავს, - თქვა ბიჭმა. - მე კი "სერ" მიწოდე, თორემ ინანებ.

- ყველა შემთხვევაში ვინანებ, - უთხრა მარსელამ. - ჩვეულებრივ, ასე ხდება ხოლმე.

* * *

იმ ღამეს მარსელას ქვემოდან ღრიანცელისა და მინის მსხვრევის ხმა ესმოდა. ესმოდა შიშისმომგვრელი რიტმული ბრახაბრუხი მუსიკისა, რომელსაც უღმობლად მოაცილეს დედა, სახელად მელოდია. რა უნდა ექნა მარსელას? ჯოშუამ პასუხი არ გასცა მის აღმფთვებულ კითხვებს, თითქოს არც გაუგია ისინი. იდაყვიც გაჰკურა. მარსელა ფიქრობდა, ნეტავ, ჯოშუამ განზრახ გამარტყა თუ არაო. ფიქრობდა, რით გაემართლებინა თავი სერ მაიკლთან. თქვენმა შვილმა მოულოდნელად მოიყვანა თავისი მეგობრები და როდესაც ვუსაყვედურე, უხეშად გამკრა იდაყვი. რა უნდა მექნა? სერ მაიკ, თქვენ არ გითქვამთ, "მეგობრები არ მოიყვანოსო". რომ გაგეფრთხილებინეთ, გეტყოდით, ამხელა ყმანვილ ზედამხედველმა როგორ გაგუწიო-მეთქი.

მარსელას მობილური ტელეფონი ჰქონდა და შეეძლო დაერეკა სერ მაიკთან და ქალბატონთან, მაგრამ მისი ტელეფონი ქვემოთ იყო, ჩანთაში, რომელიც ქალს სამზარეულოში დარჩა. ეს იყო ხელოვნური ტყავის შავი ჩანთა; მარსელას ხშირად ენახა ამგვარი ნივთები - ის იმ ქვეყნიდან იყო, სადაც უამრავ ყალბ ლოგოტიპსა და პასპორტებს ამზადებდნენ იმ ადამიანებისთვის, რომელთაც საზღვარგარეთ წასვლა სურდათ. უკვირდა, რატომ არ აპკურებდნენ ჩანთებს ნამდვილის ტყავის სურნელს. სხვა არაფერი იყო საჭირო, რომ მყიდველებს ტყავის იმიტაცია ნამდვილ ტყავად მიეჩნიათ. მარსელას ჩანთა ისეთი რბილი და ელასტიური გახლდათ, თითქოს საუკეთესო ტყავისგან იყო დამზადებული. ჩანთაში ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი იდო - მისი დანაზოგი. ფულის დაზოგვა მხოლოდ ამ ოჯახში მუშაობის დროს შეძლო. ალბათ, ჯოშუას სტუმრებმა ჩემი ჩანთა უკვე გახსნეს და ფული მოიპარესო, ფიქრობდა ქალი.

შუალამისას მარსელამ ივარაუდა, რომ ჯოშუა, მისი მეგობრებითურთ, ალბათ, ახლა სარდაფში ჩავიდოდა პორნოფილმების საყურებლად და ის ჩანთის აღებას შეძლებდა, მაგრამ შუალამისას სტუმრების რაოდენობა გაიზარდა. ღრიანცელი კიდევ უფრო გაძლიერდა. მუსიკა გრგვინავდა. ყოველ ხუთ წუთში ბალიდან ახალ-ახალი სტუმრების ყვირილი გაისმოდა. მეზობელი სახლების ბაღებში საგანგაშო ნათურები ანთო. მას შემდეგ, რაც სადამოს ათ საათზე პირველი სტუმრები მოვიდნენ და ჯოშუამ



მარსელას იდაყვი გაჰკრა, ქალი ზევით, თავისი ოთახის კართან იდგა. ახლა ორის ნახევარი იყო. ქალი ფიქრობდა, შესაძლოა, ზოგიერთი ყმანვილი დაღლილობისგან ძირს დაეცესო. არც ის გაუკვირდებოდა, რომ რომელიმე დაჭრილი ახალგაზრდის სამველადა ან ხელოვნური სუნთქვის ჩასატარებლად მისთვის მიემართათ - მარსელას ხომ სათანადო სერტიფიკატიც ჰქონდა. ეჩვენებოდა, რომ თუკი ვინმეს სიცოცხლეს იხსნიდა, მაშინ მოვალეობების დარღვევას აბატიებდნენ, ყმანვილის მშობლები კი აუცილებლად დააჯილდოებდნენ. შესაძლოა, მათი ნყალობით სამუშაოც ეშოვა - ისეთი, სადაც ნორმალური სანოლი ექნებოდა და ყოველ მეორე კვირას სამდღიანი დასვენების უფლებას მისცემდნენ.

ქალი კვლავ კიბის ბაქანზე იდგა. მზად იყო, ფეხის ხმის გაგონებისთანავე უკან დაეხია და კარი ჩაერაზა. გაფაციცებით აყურადებდა ყოველგვარ ხმაურს, რაც მუსიკის რიტმული ხმები არ გახლდათ. ამ დილას ოთხ საათზე ადგა, რათა ოჯახის წევრების ნივთები შეეფუთა. ამგვარად, უკვე თითქმის 22 საათის განმავლობაში ფიზიკობდა. ხმაურის მიუხედავად, როგორც ჩანს, ზეზეულად ჩათვლიდა. როდესაც პოლიციის მანქანის სიგნალი გაისმა, შეკრთა და გაიხედა ვინრო ფანჯარაში, საიდანაც ქუჩის ნაწილი მოჩანდა; დაინახა მათ სახლთან შეჩერებული სასწრაფო დახმარების ფურგონი, რომელთანაც ვიღაც ყმანვილი მიიყვანეს. თავით ფეხებამდე ვერცხლისფერ საბანში გაეხვიათ, თითქოს ეს უჩინმანიის ქუდი იყო, რომელიც ჯადოსგან დაიხსნიდა.

ეს ჯოშუა არ იყო. ჯოშუა რომ ყოფილიყო, მარსელა, ალბათ, გაბედავდა ქვემოთ ჩასვლას და იატაკზე მწოლარე ახალგაზრდებს შორის გზას გაიკვლევდა. ის სტუმრები, რომლებიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგნენ, ალბათ, ყურადღებას არ მიაქცევდნენ ან ვერც კი შეამჩნევდნენ. მაგრამ სანამ ჯოშუა სახლში იმყოფებოდა, მარსელა ძირს ჩასვლას ვერ ბედავდა. ახლა უკვე სჯეროდა, რომ ჯოშუამ განზრახ გაართყა იდაყვი. მკერდში შეუნელებელ ტკივილს გრძნობდა. ძუძუებიც კი სტიკოდა.

როდესაც პოლიცია და სასწრაფო დახმარების მანქანა თვალს მიეფარნენ, სახლი სიმშვიდემ მოიცვა, თუმცა, მას დროდადრო არღვევდა უეცარი წამოძახილები და კარების ჯახუნი. მარსელა უსმენდა და ფიქრობდა, რომ ეს უფრო საშიში იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ხმაური და მუსიკის მგრგვინავი ხმები. რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო. დავიძინებ და არაფერზე ვიფიქრობო, გადაწყვიტა ქალმა, კომოდის ზედა ნაწილს ხელი ჩასჭიდა და დააპირა თავისი სანოლი გამოეთრია.

ასეთი სანოლით ადგილის დაზოგვა შეიძლებოდა, თქვა ლედი სოფიმ პირველ დღეს, როდესაც მარსელას მისი ოთახი აჩვენა. მარსელამ თავი შეიკავა და არ უპასუხა, ეს ჩემი სივრცეა, ვამჯობინებდი, ადგილი არ დამეზოგა და ჩვეულებრივი სანოლი მქონოდაო.

- ვიმედოვნებ, სანოლი მოგეწონებათ. - და ქალბატონმა მარსელას ისე შეხედა, თითქოს არ მონონონდა, რასაც ხედავდა. - უკანასკნელი ფილიპინელი მსახური ტანთხელი იყო.

- ფილიპინელი არ ვარ, - თქვა მარსელამ.
- რა თქმა უნდა, თუ არ მოგეწონებათ, უნდა მითხრათ.

- არა უშავს, შევეჩვევი. - მიუგო მარსელამ. ქალბატონს სწორედ ასეთი პასუხის მოსმენა სურდა.

* * *

მოუსვენრად ეძინა. როდესაც გაიღვიძა, ცხრსაათი იყო. სხვა ქვეყანაში, დილის ვერცხლისფერ შუქზე, მოთხილამურეები თოვლში დასრიალებდნენ აქ კი წვიმდა. მთელი ამ დღის განმავლობაში მარსელა ძირს არ ჩასულა. ჩასვლისას ნარწყვეის (შესაძლოა, სისხლისაც) მოსუფთავება და მინის ნახსვრეების აკრეფა მოუხდებოდა. ჩვეულებრივ მარსელა გამუდმებით აყურადებდა ყოველგვარ ხმაურს - ფიზიკობდა იყო, რომ ბატონისა და ქალბატონის პირად, კერძო ცხოვრებაში შემთხვევით არ ჩარეულიყო. როდესაც საპირფარეოებს რეცხავდა ხედებოდა, რომ ოჯახს რამდენიმე ახალგაზრდა სტუმრობდა. ახლა, ამ ვითარებაში, იმას, რომ სახლში ბევრი სტუმარი იმყოფებოდა, შეიძლებოდა დაცვა ის ჯოშუასგან; მაგრამ, შესაძლოა, მთვრალმა ნარკოტიკებისგან გაბრუებულ ახალგაზრდებთან შეხვედრა არანაკლებ საშიში იყო.

მაღე უიკენდი დასრულდება. ბიჭები უნდა დაუბრუნდნენ მშობლებს, სკოლას. და მაშინ მარსელა შეძლებდა ძირს ჩასვლას და ყველაფერს მიაღაგებდ მარგამ ახლა მას საკვები სჭირდება.

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ფინჯანი ყავა ჰქონდა დალეული. მინის ქილიდა "კანსტუჩის" ამოღება ვერ გაბედა, ახლა კი ნუშისა და ფორთოხლის ქერქის წარმოდგენისას მუცლის გვრემბა ეწყებოდა. მარსელას ოთახში პურის ნამცეცხვაც კი ვერ იპოვიდა. როდესაც ის პირველად მოვიდა ამ სახლში, თან მოიტანა შვრიის ნამცეცხარი, მაგრამ სურმაიკმა იპოვა ისინი, როდესაც მარსელას არყოფნისას მისი ოთახი გაჩხრიკა. ბატონმა ბოდიში მოიხადა ჩხრეკის გამო, მაგრამ აუხსნა მარსელას, რომ უკანასკნელი ფილიპინელი მსახური, ჯოშუა თხოვნი, აქ ნარკოტიკებს ინახავდა. ამიტომ მშობლებს საჭიროდ მიიჩნევდნენ, ეს ოთახი რამდენიმე დღემთველ გაეჩხრიკათ.

- ნარკოტიკებს არასოდეს შევიინახავ, - თქვა მარსელამ.

ლედი სოფიმ უთხრა:

- უკანასკნელი მსახური ჯოშუამ, უბრალოდ აიძულა, რომ ნარკოტიკები აქ შეენახა.

და სერ მაიკს მიუბრუნდა:

- შენი შვილი ზოგჯერ ძალზე ჯიუტია.


- მისი შვილი? - იკითხა მარსელამ. - ქალბატონო, ჯოშუა თქვენი ვაჟიშვილი არ არის?

- ღმერთო ჩემო, როგორ ფიქრობთ, რამდენი წლისა ვარ?

- ორმოცისა, - გულწრფელად თქვა მარსელამ.

- ის ქალი - ჯოშუას ღვიძლი დედა - ვანკუვერში გადასახლდა! - წამოიყვირა ქალბატონმა, - და შვილი მიატოვა. შვილს ვერ იტანდა, მე კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი ატანა მომიხებდა.

მარსელა დაიბნა. ნუთუ შესაძლებელია, ქალმა მიატოვოს შვილი და არა ქმარი? ნუთუ მშობლები



გაურბიან საკუთარ შვილებს? სანამ ამ ოჯახში მოვიდოდა, ეს წარმოდგენილად მიაჩნდა.

ის მიუბრუნდა სერ მაიკს, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სერ მაიკმა დაასწრო:

- მარსელა, თუ სანინა აღმდეგო არაფერი გაქვთ - კი არ გტუქსავთ, არამედ ბოდიშს გიხდით ამ თხოვნისთვის - იქნებ თქვენს ოთახში ეს ნუშის ნამცხვრები არ შეინახოთ? მწერები დაესევია.

- და კიდევ, - შეაწყვეტინა ქალბატონმა. - შეგიძლიათ "სოფი" დამიძახოთ, ამის სანინა აღმდეგო არაფერი მაქვს, ან - "ლედის სოფი", ან, თუ ასე გირჩევენიათ, "თქვენო მონყალუბავ", მაგრამ, უბრალოდ, "ლედის" ნუ მინოდებთ - ეს... უზრდელობაა.

ის კარისკენ მიბრუნდა და ცივი ხმით დასძინა:

- უამრავი ტკბილეული იყიდება. ერთი შეხედვით, ის ჯანმრთელობას არ ვნებს, მაგრამ ამგვარ პროდუქტებზე დაკრული ეტიკეტები ნავიკითხავთ?

შიმშილის შემდეგ, უფრო ზუსტად კი, შიმშილთან ერთად, მარსელას მოწყენილობა დაეუფლა. ოთახში რადიო ჰქონდა, მაგრამ მის ჩართვას ვერ ბედავდა; იმედოვნებდა, რომ ჯოშუას აღარ ახსოვდა მარსელას არსებობა და არ სურდა შეეხსენებინა, რომ აქ, ამ სახლში იმყოფებოდა. ის უყურებდა თეთრ კედელს, მოყვითალო კომოდს, რომელიც კომოდი არ იყო, და - ნაფხაჭს, რომელიც უკანასკნელი ფილიპინელი მსახურის ჩემოდანს დაეჩნა კარდაზე; კითხულობდა "ივინგ სტანდარდის" სამი დღის წინანდელ ნომერს; ფიქრობდა "ლედის" შესახებ; იხსენებდა ქათმის ხორცის მაღაზიის თავზე განლაგებულ ოთახს და თავის თანამემამულეებს, ნივრითა და ჯანჯაფილით რომ ყარდნენ, აგრეთვე - ნითელ წრეებს, მწვანე ჯვრებსა და ლურჯ ვარსკვლავებს; კითხულობდა ვაკანსიების შესახებ, მაგრამ არაფერი ესმოდა.

შემდეგ მარსელის ბუშტმა შეახსენა თავი. მარსელამ ყვევილების ცარიელი ქოთანის ნახევრამდე გაავსო, შემდეგ სკამზე ფრთხილად ავიდა და სხვენის სარკმელი გააღო.. სახურავზე მჯდარ თოლიას ან ხელოსანს, რომელიც წყალსადენ მილს არემონტებდა, შეეძლოთ დაენახათ ყვითელი წვრილი ხელი, ოდნავ დახრილი ქოთანის და ნაკადი, რომელიც კრამიტებზე მიწანწკარებდა.

შემდეგ მარსელა სკამზე დაჯდა და დალია წყალი ჭიქიდან, რომელიც, საბედნიეროდ, სანოლთან როდესაც მარსელა მას თითით შეეხო, ბუზი ქვემოთ ჩაცურდა. ბოლოს მარსელამ ის შემთხვევით მიაჭყლიტა ჭიქის კედელს. მწერის ამპაზრუნი შიგნული ახლა წყალში იყო, მაგრამ მარსელამ მაინც დალია. ექვსი ყლუპი მოსვა. იმედოვნებდა, რომ სანამ შიმშილისგან ქანცი გაეღებოდა, სანამ კუჭ-ნაწლავი აუჯანყდებოდა, ჯოშუა სახლიდან გაქრებოდა (ისე, როგორც ქრება ხოლმე დამპყრობელი, რომელიც უკან ტოვებს გაპარტახებულ ქვეყანას) და დაბრუნდებოდა უილტმირში, სადაც თავის მეგობრებთან თავს მოიხონებდა იმით, რომ მშობლები მოატყუა და მსახურს ხელი გაართვა.

მაგრამ დღის ბოლოს ჯოშუა კიბეზე ავიდა და მარსელას ოთახის კარზე დააკაკუნა.

* * *

- მეგონა, შეუძლოდ იყო, - უთხრა მარსელამ მისტერ მედოქსს. - ან, უბრალოდ, დაავინყდა, რომ იქ ვიყავი. მაგრამ ვცდებოდი. კარს მოადგა. ვიცოდი, რომ რაზა დიდხანს ვერ გაუძლებდა. თუმცა, ჯიქურ შემოსვლა არ უცდია.

მას შემდეგ, რაც მარსელამ სიტყვა "გაუპატიურება" წარმოთქვა, მსახურთუფროსი დაძაბული ყურადღებით უსმენდა ქალს. მარსელამ თვალები დახუჭა, თავშესაფრის კედელს მიეყრდნო და იგრძნო, როგორ მოუთმენლად ელოდა მისტერ მედოქსი იმის შეტყობას, თუ როგორ დამთავრდა ყველაფერი.

- დასახმარებლად ვერავის მოუხმეთ? - ჰკითხა მან მარსელას.

ქალმა თავი გააქნია. ქუჩაში უამრავი სახლი იყო, მაგრამ ნოტინგ-ჰილში ვინ გაიგონებდა ქალის ხმას, სხვენის სარკმლიდან რომ გაისმოდა? გარდა ამისა, რა სახის დახმარება უნდა ეთხოვა მას?

- მსხვერპლი არ ვიყავი, - ფრთხილად შენიშნა მარსელამ. - იარაღით არავინ დამმუქრებია. ჩემს თავშესაფარში ვიმყოფებოდი.

მსახურთუფროსმა გაუღიმა:

- მარსელა, შეგიძლიათ მენდოთ. რატომ არ მიწოდებთ "დესმონდს"?

- იმიტომ, რომ თქვენდამი პატივისცემის გრძნობა ამის უფლებას არ მაძლევს.

- მიზეზს კი არ გეკითხებით, - თქვა მისტერ დესმონდმა, - არამედ გთავაზობთ, ნათლობის სახელით მომმართოთ. - მას ებრალებოდა ქალი, - როგორც ვხედავ, თქვენი ინგლისურის კურსები ისეთი კარგი არ ყოფილა, როგორც გგონიათ. ძალზე თვალსაჩინო ამბები არ გესმით. მოარული იდიომების აზრს ვერ სწვდებით. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ვცდებოდი, როდესაც გისაყვედურეთ იმის გამო, რომ არ იცით სიტყვა "მსხვერპლის" მნიშვნელობა.

დესმონდმა ხელი გაიწვინა და კედელს ისეთი გამომეტყველებით მიეყრდნო, თითქოს ამბის დასასრულისადმი მძაფრი ინტერესის გამო საცაა გული წაუვიდოდა. მარსელა შუკანიალების მიმართ ანტიპათიურად არ იყო განწყობილი, მაგრამ ახლა ეგონა, რომ მსახურთუფროსის შავი ხელი კედელზე თითების ანაბეჭდებს დატოვებდა. დესმონდმა ამოიოხრა და ქალს მიმართა:

- მიაბზეთ თქვენი ისტორია, მარსელა... მოკლედ შევაჯამოთ: საღამოვდება. ნოტინგ-ჰილში, სხვენზე იმყოფებით. გშიათ. უძინარი და აღგზნებული ხართ. დასახმარებლად ვერავის დაუძახებთ და არ იცით, რა სახის დახმარება უნდა ითხოვოთ. გვიანაა. ჯოშუა კარზე აკაკუნებს. თქვენ ფიქრობთ, რომ რადგან ბიჭს უთხარით, ნუ ზღუქუნებო, მან გულში წყენა ჩაიდო. ყვითელ უკვე მოგაყენათ ტკივილი, როდესაც იღავთ გაგკარათ. შემდეგ რა მოხდა?

- არაფერი. - მიუგო მარსელამ.

- არა, მარსელა, - თქვა მისტერ მედოქსმა. - მენდეთ, გთხოვთ. - და ნეკნებზე ხელი დაიტყაპუნა, - თქვენს საიდუმლოს აქ ჩავიმარხავ. მაგრამ არ მჯერა, რომ ჯოშუა ხმისამოუღებლად გაბრუნდა უკან. ამგვარი ისტორიები ასე არ მთავრდება.

* * *

ჯოშუა კარზე მხოლოდ იმიტომ აკაკუნებდა, რომ მარსელასთვის დაეცინა, - ქალმა ეს კარგად იცოდა,

- სერ, - დაიძახა მარსელამ. - კარი ჩარაზული მაქვს. ვისვენებ.

- კარი გააღე, - თქვა ჯოშუამ - ქვევით ჩადი და რამე საჭმელი მომიზადე. შემდეგ სახლი უნდა მი-
ალაგო.

ჯოშუა ამას ამბობდა და თან რაზას აწვალე-
და, შემდეგ ნიხლი ჰკრა და გატეხა. ახლა უკვე
ზღურბლზე იდგა.

- მშობლებისგან რა ისმის? - ჰკითხა მარსელამ.
- კარგად ისვენებენ?

მარსელას ხმაში სასონარკვეთილება ისმოდა და
ამას თვითონაც გრძნობდა. ინგლისური ენის კურ-
სებზე ამგვარ შეკითხვებს არ სვამდნენ.

- შენ გამო კარი გავტეხე, - ჩაიქირქილა ჯოშუ-
ამ. - ხელფასიდან დავიკვითავთ.

- შენი მშობლები არასოდეს დაიჯერებენ, რომ
კარი მე გავტეხე. - უთხრა მარსელამ

- ვეტყვი, რომ მე გავტეხე. - ჯოშუამ ცხვირი
სახელოთი გაინმინდა. - ვეტყვი, რომ იძულებული
ვიყავი, კარი გამეტეხა, იმიტომ, რომ აქ ზანგი ნარ-

კომანები მოიყვანე. ვეტყვი, რომ შენმა მეგობრებ-
მა მთელი სახლი გადააქოთეს.

- რა გინდა? - ჰკითხა მარსელამ.

- ჩემი დანაზოგი ხომ უკვე აიღე.

- რა დანაზოგი? - ნარბები შეიკრა ბიჭმა.

- ის, რომელიც ჩანთაში მედო.

- რაში მჭირდება შენი ქეციანი ჩანთა?

- იქ ორმოცდაათი გირვანქა იდო. - თქვა მარსე-
ლამ. - ჩანთაში.

ჯოშუას გაეცინა:

- ორმოცდაათი გირვანქა არაფერია. - და თი-
თები გაატკაცუნა. - ორიოდ პიცა. თორმეტი ბოთ-
ლი ლუდი.


- ჩემთვის ეს მთელი სიმდიდრეა.

- "ო, როგორ მატკინე გული"! - წაიმღერა ბიჭმა
გუშინდელი ტანსაცმელი ეცვა.

- ნუ იზამ ამას, - უთხრა მარსელამ ხმადაბლა. -
თორემ თვითონვე მოგიხდება აქაურობის მილაგება.

- შეხე, როგორ მელაპარაკება! - თქვა ბიჭმა. შე-
ურაცხყოფილი ჩანდა, თითქოს მარსელას მიუძლო-
და ბრალი იმაში, რაც ამ სახლში ხდებოდა უკანას-
კნელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

- გამატარე. - უთხრა ქალმა. - გამატარე, ჯო-
შუა. ერბოკვერცხს მოგიმზადებ. ძეხვსაც. კარტო



ფილსაც შევინვა.

შემშლილი შთაგონებას ჰგავს: მარსელას თავბრუ დაეხვა.

- რას გარგებს, თუ შემშლილი მოგვცდები?
- შენ, მარსელა... - ჯოშუამ ქალის სახელი ისე წარმოთქვა, თითქოს მასზე ფეხებს ინმენდდა. - სისულელეებს რომავ. ეს ყველაფერი საშინლად მომბეზრდა.

- რძიან შოკოლადს მოგიხარშავ და არავის არაფერს ვეცევი.

- ხან მტვერს წმენდ. ხან საპნიან წყალს ვედროებით დაათრევ ზემოთ-ქვემოთ. გულს მირევ.

ბიჭი თვალებს აცეცებდა. მზერას ვერაფერზე აჩერებდა.

- შენი სანოლი სადაა?

- ამ კომოდში.

- რაო? - გაიკვირვა ბიჭმა?

დაე, თვითონ მიხვდესო, გაიფიქრა მარსელამ. ჯოშუამ დანიხა ქვეშაგები, რომლებიც ოთახის კუთხეში ეწყო. და თითქმის დაუჯერა მარსელას.

- მიჩვენე. - თქვა ბიჭმა. - შემდეგ მოთმინება არ ეყო, რომ თავისი მიზანი დაემალა და დაიყვირა: - უნდა გავაუპატიურო.

- არა, თქვა მარსელამ, - ამას არ იზამ.

ჯოშუამ კარი მიაჯახუნა. ერთი ფართო ნაბიჯი გადადგა და ოთახის ცენტრში აღმოჩნდა.

- ხომ მითხარი, მამაკაცი უნდა იყოო. თუ იტყვი, არ მითქვამსო, მატყუარა ყოფილხარ.

მარსელას ახლა მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა. ჯოშუამ ხელი დაარტყა კომოდს, რომელშიც საწოლი იდგა. კომოდი გადაიხსნა და ბიჭი წამით შეცბა. მან შეათვალიერა საწოლი და ზედ დაახტა. გორგოლაჭებიანი კომოდი აწრიპინდა.

- ოჰ, - წამოიძახა ბიჭმა.

მან ხელი მომუჭა და მარსელას კვლავ ატკივდა მკერდი.

- არავითარი იდიოტური საწოლი არ მჭირდება, - წამოიყვირა ჯოშუამა. - კედელთან მიგაყენებ. არ იყვირო.

- არ ვიყვირებ, - უთხრა მარსელამ.

ბიჭი მიანჩერდა მას.

- რას სულელობ? უნდა იყვირო. ხომ გითხარი, რას ვაპირებ?

- დიახ, სერ. - უთხრა მარსელამ - მაგრამ ამას ვერ იზამთ. გაუპატიურება ძალმომრეობაა. არ ვაპირებ გექცდით, რადგან მშვიერი და დასუსტებული ვარ. მშვიერიც რომ არ ვიყო, მაინც მომერევით. ამიტომ შევეცდები, ფიზიკური ტრავმები ავიცილო. ტანსაცმელს ნუ დამიხვეთ, რადგან მისი შეძენის საშუალება არა მაქვს. თუ გინდათ, გავიხდი, ან, თუ ჩქარობთ, უბრალოდ, კაბას ავიწვევ, რომ შეძლოთ თქვენი სურვილის ასრულება - თუკი, რა თქმა უნდა, იცით, როგორ უნდა იმოქმედოთ. პორნოფილმებში ყველაფერი სწრაფად ხდება, სინამდვილეში კი ყოველივე ამას დრო დასჭირდება და ისევე ძნელია, როგორც - საწოლის გამოთრევა კომოდიდან.

* * *

მისტერ მედოქსმა მოისმინა მარსელას მოხატობი და შენიშნა:

- სიმართლე რომ გითხრათ, ბიჭი დაწინაურებული მაგრამ ნაწილობრივ თქვენც მიგიძღვით ბრალი.

- რატომ? - ჰკითხა მარსელამ.

- ვფიქრობ, თქვენ იცით, რატომაც. დასცინოდით მას. როდესაც შოკოლადიანი რძისა და შემწვარი კარტოფილის მომზადებას სთავაზობდით, იგულისხმებოდით, რომ ჯოშუა უმწეო ბავშვი იყო.

- და უნდოდა, რომ მამაკაცად ეგრძნო თავი. - თქვა მარსელამ. - არ დავცინოდი, რადგანაც კარგად ვიცნობდი. თუკი - სკოლაში მიმავალს - ჩანთაში ქიშმიშის პაკეტებს არ ჩაფუნებოდი, უილტშირიდან რეკავდა და ჩხუბობდა. გულწრფელად რომ ვთქვა, არ მსურს ცხოვრება სამყაროში, სადაც ქალს არ შეუძლია შესთავაზოს ბავშვს საჭმელი ისე, რომ ამ უკანასკნელმა თავი დამცილებულად არ იგრძნოს.

- ჩვენ ვერ ავირჩევთ, რომელ სამყაროში უნდა ვიცხოვროთ, - თქვა დესმონდ მედოქსმა. - თუმცა, შეგვიძლია ავირჩიოთ ინგლისური გამოთქმები. ზღუქუნი, ქვითინი: შეგვძლოთ, სხვა სიტყვები გეთქვათ.

- მე თვითონ დამადანაშაულეს იმაში, რომ ნუშის ნამცხვარი მქონდა. უსამართლობა იყო. მაგრამ არავინ დამიზარალებია.

- ერთი კითხვა მაქვს. - თქვა მსახურთუფროსმა. - ვინ მოგცათ რეკომენდაციები? სერ მაიკმა? მისი ბლანკები ხომ არ მოგიპარავთ?

მარსელა თავშესაფრის კარადაში შენახულ პროდუქტებს ათვალიერებდა.

- ეს ვადაგასულია, - შენიშნა მან.

- ო, თხილი, - თქვა დესმონდმა. - არა უშავს, გამოდგება. თუ გინდათ, შეგიძლიათ აილოთ.

- შეიძლება დაობებული იყოს. - თქვა მარსელამ - მაგრამ გავრისკავ.

ქალმა თხილიანი პაკეტი ჩანთაში ჩაიღო. მისი ძველი ჩანთა იყო, რომელშიც დანაზოგი აღარ იდო. როდესაც ლედი სოფი შინ დაბრუნდა, ეს ჩანთა ბალში იპოვა.

- მივხვდი, რომ თქვენი ჩანთა იქნებოდა. - უთხრა მან მარსელას, როდესაც ჩანთას უბრუნებდა.

- ოდესღაც შეფ-მზარეული გყავდა, რომელმაც ხელმოწერა გააყალბა. - თქვა დესმონდმა. - სამსახურიდან მყისვე გაათავისუფლეს. ასეთი რამეები სწრაფად მულავნდება ხოლმე.

- ნეტავ, რა შემთხვა, - თქვა მარსელამ, - არა მგონია, რომ იგივე შემთხვეოდა, რაც - მე.

- შორიასხლოს ვიმუშავებ, - თქვა დესმონდმა. - რიჯენტს-პარკის ვიზლობლად. ეს ნებისმიერი მსახურთუფროსის ოცნებაა. თქვენ კი სენტ-ჯონს-ვუდში შემენაცვლებით, მარსელა.

- ვინ იცის, იქნებ, დავმეგობრდეთ კიდეც. სახლის მეპატრონეების თანხმობა უკვე მიიღეთ?

- ჯერჯერობით არა, ასე რომ, არავის არაფერი უთხრათ.

მარსელამ მკერდზე ხელი მიიღო.

- თქვენს საიდუმლოს აქ შევინახავ.

- განცხადება მეც "ლედიში" ვიპოვე, - თქვა დესმონდმა. - ღირსეული ოჯახია. არასოდეს ცხოვრობენ აქ წელიწადში ერთ, ორ, სამ კვირაზე მეტ ხანს. თავიანთი მსახურები და შეფ-მზარეული ჰყავთ. ინგლისური პროდუქტებით არ იკვებებიან. ასე რომ, მათ სახლში მუშაობა ძნელი არ იქნება. და, რა თქმა

უნდა, წელიწადში ცხრა თვის განმავლობაში დაცვა ემსახურებათ.

დესმონდმა კედელს ხელი მოაცილა. მარსელა დიდხანს აკვირდებოდა კედელს, მაგრამ ვერავითარი ანაბეჭდები ვერ შენიშნა. და მაინც, ეძებდა. არ სურდა, რომ მუშაობის პირველსავე კვირას დაუდევრობა დაებრალეზინათ. მან იკითხა:

- იქ, სადაც იმუშავეთ, თავშესაფარი არის?

- ამ სახლებს ქვემოთ უზარმაზარი თავშესაფრებია. - თქვა მსახურთუფროსმა. - მთელი ღონდონი რომ გაცამტყვერდეს, ისინი გადარჩებიან. საყინულეებში უამრავი პროდუქტი ინახება. არის სამხაპეები, სამზარეულოებში ჩაშენებული ყავის მოსახარში აპარატები, ყინულის გენერატორები, ღვინის შესანახი კარადები, ჰაერის ფილტრები. ისეთი კედლები აქვთ, რომ ბურთულის ბომბის აფეთქებას გაუძლონ.

- ბირთვული, - თქვა მარსელამ.

მისტერ მედოქსმა ისე გადახედა მარსელას, თითქოს ეუბნებოდა, როგორ მიბედავ, ყვითელკანიანო ძუქნაო, მაგრამ მაშინვე განურჩეველი გამომეტყველება მიიღო. მაგრამ მარსელამ ყველაფერი შეამჩინა და ვეღარ დაივიწყა. ყველაფერი ახსოვდა, გარდა იმისა, რაც მოჰყვა პირველ დარტყმას. ირგვლივ წყვდიადი იყო, წყვდიადი, რომელიც მდინარესავით მიედინებოდა. წყვდიადი, რომელიც ტბასავით გროვდებოდა; შემდეგ, გარკვეული დროის შემდეგ - მარსელამ არ იცოდა, რამდენი ხნის შემდეგ - სინათლის სხივმა გაიელვა. მან ხმები გაიგონა და ტკივილი იგრძნო. როდესაც თვალები გაახილა, დაინახა გოცბეული და შეშინებული პატარა ჯონკვილი, რომელიც პატარა თითებით ნაზად ეფერებოდა. ქალი მიხვდა, რომ მისი სანოლის ნაცვლად ჯოშუას თავისი დის სანოლი გამოეყენებინა, მაგრამ არაფერი ახსოვდა; ძალიან სტიკიოდა ზურგი, რადგან ჯოშუას გულნასული ქალი კიბის საფეხურებზე ჩაეთრია. გობელენზე დახატული მაღალი ბალახი ხბოებს მუხლებამდე სწვდებოდათ. მავთულებზე ჩამოსხდარი ლურჯი ფრინველები ისე თრთოდნენ, თითქოს ქარი ქროდა.

* * *

მომდევნო დღეებში, როდესაც მარსელა შეეგუა თავის ახალ სამყოფელს, ის მსახურთუფროსსა და მის ახალ დამქირავებლებზე ფიქრობდა. თუ ისინი ღონდონში წელიწადში მხოლოდ ერთ, ორ ან სამ კვირას ატარებენ, შესაძლოა, არასოდეს ჩასულიყვნენ თავშესაფარში, მაგრამ თუ კი ამის საჭიროება გაჩნდებოდა და მინისქვეშ აღმოჩნდებოდნენ, როგორ მოიქცეოდნენ? Lმოიცავდა თუ არა მათ შიში, რომელსაც განვიცდით ხოლმე, როდესაც მშობლიურ ნაპირებს, ჩვენი მშობლების სახლებს ვტოვებთ? როგორ გაატარებდნენ დღეებს, როდესაც ღონდონი დაინგრეოდა, გავრეულებული ძაღლები ქუჩებში დაინყებდნენ ძუნძულს, ჰაერის ფილტრები და ბინძურდებოდა და საყინულე კამერაში შენახული საკვები გამოილეოდა? ექნებოდათ თუ არა წიგნები, რომ ეკითხათ? კროსკორდების შევსებით შეიქცევდნენ თავს? მარსელამ წარმოიდგინა ახლო აღ-

მოსავლეთიდან ინგლისში გადმოსახლებული დარბაისელი ჯენტლმენები, რომელთაც თეთრი ხალათებიდან გაბანჯკვლული ფეხები და შავი წინდები უჩანთ ხოლმე, მათ შვეთმიან ცოლებს კი ყოველთითზე უამრავი ბეჭედი აქვთ ასხმული. გაახსენდა გაზეთი "ინინგ სტანდარდი", რომლის წყალობითაც ინარჩუნებდა სულიერ წონასწორობას იმ საზარელი საათების განმავლობაში ნოტინგ-ჰილში. "გვეჭირდება შინამოსამსახურე, - ნათქვამი იყო ერთ-ერთ განცხადებაში, - რომელიც დათანხმდება დახმულ სივრცეში მუშაობაზე".

სამუშაო ყოველთვის არის. ყოველთვის ესაჭიროებათ ქიმშიმენდის სპეციალისტები და დურგლები, ლიანდაგების დარაჯები, მრანდავები და მენარდეები, მექანიკოსები და მეხათქაშეები. როდესაც მარსელა საავადმყოფოდან გამოწერეს, ის სააგენტოს ეწვია და აღიარა, რომ არაფერი იცოდა ამ პროფესიათა შესახებ. სააგენტოს თანამშრომლებმა შესთავაზეს, ემუშავა იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც მის სარეკომენდაციო წერილში იყო ჩამოთვლილი. "მაგრამ, - უთხრეს მას, - გარეგნობა არ გივარგათ".


მარსელა არ უარყოფდა ამას. იმ ინციდენტის დროს კბილები ჩაემსოფდა. მაგრამ ადრე თუ გვიან ყველანი ვკარგავთ კბილებს. ეს უთხრა მან სააგენტოს თანამშრომელ ქალს, რომელმაც მისი განცხადება დაიტოვა. გავიდა ერთი კვირა და - არაფერი მიუხედავად იმისა, რომ მარსელა სააგენტოში ყოველდღე რეკავდა.

ყოველდღე ათვალეირებდა "ინინგ სტანდარდს". იყო მოთხოვნა შემდუღებლებზე, მღებავებსა და მემონტაჟებზე. შემდეგ მარსელამ "ლედი" გადაათვალეირა და იქ მოძებნა თავისი ახლანდელი სამსახური სენტ-ჯონს-ვუდში. როდესაც გასაუბრებისთვის გამოიძახეს, დესმონდმა, უბრალოდ, უთხრა, მისტერ მედოქსი ვარ, მსახურთუფროსიო, და შეათვალეირა; მან მარსელას კომბინეზონი მისცა, სახლი აჩვენა და დაათვალეირებინა თავშესაფარი - პირველი თავშესაფარი, რომელიც კი მარსელა ოდესმე ენახა.

ზოგჯერ სენტ-ჯონ-ვუდში მარსელას ესიზმრებოდა წინა სამუშაო და ის, რითაც ეს სამუშაო დამთავრდა: კინკლაობა, წყვდიადი, უგრძობლობა. დარწმუნებული არ იყო, რომ ყველაფერი ზუსტად უამბო მსახურთუფროსს. გავიდა დრო. ამბობენ, დრო მართლაც შესანიშნავი მკურნალიაო. შესაძლოა, იქ, ნოტინგ-ჰილში, მარსელა სულიერ ტკივილს გრძნობდა და არა ფიზიკურს. შესაძლოა, ეს ამბავი მას კი არ შეემთხვა, არამედ - მის რომელიმე მეგობარს; ეს ქალები ერთმანეთს ენაცვლებიან ხოლმე სამუშაოზე. მათი ისტორიები ერთნაირია. ჯოშუას გაასამართლებენ. იტყვის, არ ვიცი, რატომ მოვიქციე ასეო. კამერა აჩვენებს მას სასამართლოს კიბეზე, სანდვირით ხელში. სამხილთა არარსებობის გამო სარსქებს შეწყვეტენ. აქ, სენტ-ჯონ-ვუდში, მარსელა ან იქნება დაცული, ან - არა. დროდადრო წარმოუდგება ალპური მზის კაშკაშა სხივები და პატარა ჯონკვილი, რომელიც მარსელას დასისხლიანებულ სახეს უცქერდა და ტიროდა.

პოლ-ჰენრი კემპბელის გულის მუსიკა

გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ბელა ჩეკურიშვილმა



ამერიკული წარმოშობის გერმანულენოვანი ავტორი პოლ-ჰენრი კემპბელის კრებული “ნარკოზების შემდეგ” რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა გერმანიაში და ლიტერატურული პრესა აალაპარაკა. როგორ აღარ მონათლეს მისი ლექსები – “დაზიანებული ცხოვრების საგალობელი”, “პოეზია გულის გარეშე”, “გულის კამერული მუსიკა”, “ცხოვრებას გამოგლეჯილი ლექსები”... და მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა იმაზე მსჯელობა, რა შეიძლება იქცეს პოეზიის საგნად და რა არა, ახალგაზრდა ავტორმა მოახერხა, გერმანული ლიტერატურული სცენა გაეკვირვებინა ლექსების თემატიკით და ზოგადად, არჩეული თემისადმი დამოკიდებულებით: კემპბელი გულის დეფექტით დაიბადა, ამის გამო ხელოვნური აპარატი ჩაუდგეს, რაც გულის ფუნქციას ასრულებს. აპარატი დროდადრო საჭიროებს შეცვლას, ანუ მორიგ ოპერაციას. ბოლო ოპერაცია ორი წლის წინ ჩატარდა, წიგნის იდეაც მას შემდეგ გაჩნდა: გული, როგორც სიცოცხლის, სიყვარულის კლასიკური მეტაფორა, ავტორმა შეცვალა ახალი კონცეპტით: ფიზიკურად ავადმყოფი გული, როგორც მარგინალი, სადაც სასიყვარულო ექსპერიმენტები სამედიცინომ ჩაანაცვლა, და მისი აჩქარება, ფორიაქი თუ დამუნჯება აპარატის ტექნიკურ მუშაობაზეა დამოკიდებული. სუბიექტის სამყაროსთან კონფლიქტიც აქედან იწყება: ლირიკის მიმართვის ობიექტი ხდება ტექნიკა და ცივილიზაციის ტექნიკური ძლევამოსილება.

პოლ-ჰენრი კემპბელის ლექსებში მეოცე საუკუნის დასაწყისის “სიმახინჯის ესთეტიკის” კვალიც იგრძნობა, თუმცა ამ ფონზე ახალგაზრდა ავტორი სხვადასხვა საზოგადოებრივ, მორალურ თუ კულტურულ საკითხებს წამოჭრის და თანამედროვე ადამიანის პასუხისმგებლობის დისკურსში საკუთარი, ორიგინალური წერის მანერით ერთვება.

მინოტავრის ფლოქვები

“ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანი ჭეშმარიტებას
არასდროს დაეძებს, არამედ თავის არიადნას.
ფრიდრიხ ნიცშე

ეს მერამდენედ გადაგთელა მინოტავრმა
ჭენებით
უფიქრელად და გულგრილად გადაგიარა
დაოთხილი გამოიჭრნენ მძიმე ფლოქვები
მისი ლაბირინთის ვიწრო გულიდან
შენ კი ამ მოულოდნელობას უნამლოდ შერჩი ეს მერამდენედ

ლოკოკინა იძინებს ყურში და რადიოს
ხმაში, მიღება რომ არ აქვს საერთოდ


მისი შიშინი
ყლაპავს მინას

მის სიშავეს ასფალტის სიმძიმეს შენ მიდიხარ
გადარეცხილი ქუჩები შავად ბზინავენ
მინოტავრო შენს ქალაქში ძაფიც არ გდია
ქალაქის ცენტრი პატარაა ჩახლართული
გუგუნის ჭვარტლი შხუილი სიმძიმე
და არ მცირდება განვება ვარდება
ამ შუალედში ამ დროს

ის შემოდის შენს ყურში
ლოკოკინას სძინავს გნკმეტს
მისი თქარუნი ქვევით და ქვევით
ფლოქვებით გივლის
და როდის როდის როდის როდის

გელვიძება

გარშემო სითეთრე შენ სისხლიანი თავი
დაჩეჩქვილი ნითელი სველი გამსკდარი
სითეთრე სადაც სადაც შენს ნითელს
ნდომა აქვს ძაფის და ნაკერზე აშლია ვნება



ქირურგი

როგორც ნაჯახი როგორც გამჭოლი როგორც გულმკერდი
როგორც ცივი სველი ტიკვილი როგორც უხამსობა
როგორც გავლიძება როგორც მის გარეშე როგორც მასთან ერთად როგორც ღამესთან გადაკვეთის ხაზი
როგორც დანყება როგორც ის ნაკერი არის ღამის ხაზი
სკალპელის კვალი ასეთია

სხეული ტივტივებს სიზმარში ძილი
გაუნძრეველი და შემდეგ გამოღვიძება ცხადი
გამოღვიძება როგორც სიფხიზლე გა-მო-ფხიზლება
და მერე ის ვიღაც ის
ghoul, ghoul

chewer of corpses
corpsechewer

როგორც მხლებლები თავადის სანოლთან
როგორც ვინმე დიდებულთან შეკრებილან შენ გარშემო რუხები რუხები
ერთად დასცქერიან ნამოქმედარს გაჭრილს
შენში შენსაში ცხოვრებაში ჩონჩხში
და იგი ხედავს

კარგად ყოფილა

მისი ნითელი ნორმანული წვერი სქელი სქელი
როგორც ბამბა როგორც საფენი ქაჩავს ფრთხილად
პულსის შეგრძნებით რატომ იგრძნობა

გარშემო ირგვლივ ეკრანებზე ყველგან ეს პულის
მაგრამ ის მერეც გრძნობს მაინც და
ქირურგის ხელი გეჩვენება
ისეთი უხეში მან უნდა გაკვეთოს გაკვეთოს
სათუთი ხორცი რომ უნდა გაკვეთოს თქვი მშვიდად სათუთი სათუთი
სათუთი ხორცის გავლით უხეში ხელები შენი სულის სუნთქვასთან ერთად
სისხლის მდუმარე მიმოქცევაში შედიან
და გამოსვლისას კვლავ ამო-სუნთქვა
და გშორდება ნორმალური წითელი წვერი სქელი სქელი
ეს სკალპელის თანამეწყვილე ასე საჯაროდ
შენს გულში რომ შემოიხედა

ქირურგი #2

ლოკოკინის ბრჭყვიალა ნაკვალევი მილიმეტრმიყოლებით
ჭადრის ქერქზე ნაპირისკენ გადაბრეცილი
ხარ შენ შენი საჩვენებელი ჩხირი სამართებელი აღწევს
ჩემში მიძინარეში

არც ერთხელ რომ არ ჩაუსუნთქავს
გარედან შიგნით სინათლის ქვეშ როცა
ხერხის ზუზუნში კავით მიხსნიდი
გულმკერდს
კვირების შემდეგ გამომიტყდები
რომ ყოველ ჯერზე ძრწოლა გიპყრობს
როცა უცქერ

გახსნილ ფუტლიარს
თორმეტ ნეკნს რომ უჭირავს
რომელიც უფრო მეტია ვიდრე მთრთოლავი გული
გახსნილი კი ნააგავს ქაობს
მცენარეებით გადაფარულს უფრო უღრანსაც
და ეს ქაობი გაჟღენთილია ადრეული შემოდგომის
წითელი ჭავლით

flach frozen

მოსრილებენ მარგალიტები და იღვრება
გატყორცნილი შემონმებული სითხეები
ჩაკეტილი როგორც ბუშტი ბუშტი ქვავდება
და ბნელადმოტორტმანე ზღვის გარშემო
ივინყებენ მათ ცივს ცივს
მათ სრიალს მარგალიტების ღვარს

კონსერვის სუსტ სისხლიან ჭურჭელში
ივინყებენ ყოველ ჯერზე როცა იღვიძებენ
ცისფერ შუქზე და საყვირის ხმაზე
შორეულ ძარღვებს სხეულებს გულებს
ყოველ ჯერზე ავინყდებათ საიდან არიან
როცა ჭრილობა პირს იკრავს
და მორიგი ტანჯვაც მთავრდება.



მარტოობის მეთხუთმეტე ღამე გულის მონიტორთან

შენი მკერდიდან სამი თეთრი ელექტროდი
ფოლადთან ერთად გრილად ყლაპავს ზედ მიმაგრებულ ღამეს
ღამეს მსჭვალავს იისფერი მრუდი

და სიმაძღრე პანანინა წითელი სხივი იქ თითთან
არ დაივინყო წვეთიდან ვარდება ფაფუკი ძილი
მთელი ღამე რომ ნელა-ნელა გაივლის გულზე

ოც მონიტორთან ისე ფხიზლობენ თითქოს სულელები არიანო
ამ დროს შენ მთელი სხეული გაქვს აჯანყებული
ცერად გაჰყურებ შენს აბრექილ იმპულსს ხელს მზად ხარ

და იმედოვნებ რომ განგაშით არავინ არ შემოვარდება
რადგან აქ ახლა სურვილი უფრო მძაფრია შენში ვიდრე ტკივილი

რენტგენის სურათი


როგორც სალამოს აქამდე
როგორც ხშირად როგორც
სრულებით სავსებით ბოლომდე
შენი ხერხემლის მალეები დაგორავდნენ
ჩემს ცერა თითებს შორის ვფიქრობდი
კანს აქვს უფლება ვფიქრობდი
ქერა ღინღლი ქვევითამდე ვფიქრობდი
რატომ თავბრუსხვევით
რომლიც ადრეულ ასაკში უნდა განიცადონ
შენი ზურგი ვფიქრობდი
შენი ღინღლი
სრულებით ვფიქრობდი ახლა
როცა ისინი ხელს მკიდებდნენ
მარეგისტრირებდნენ ხელს ვანერდი
თეთრცისფერი ტატუირება
და ჩვენ ორნი
კარდელოგი და მე
გამჭოლ შუქზე
ვათვალეირებთ რა შუაშია
ხერხემალი
ვფიქრობ მე როგორც მე
ვამჩნევ როგორი მოხრილია
ჩემი ზურგი
სურათზე მაგრამ შენ უფრო შუაში ხარ
უფრო ზუსტად გულია შუაში
ეს მოწყობილობაა შუაში
რომელიც ქვედა ნეკნის ქვეშ
დევს
მაგრამ აღარ მუშაობს
და იქ არაფერს ვგრძნობ
იმ კანქვეშა ნეკნების ძელოვანებაში
რომელსაც შენ ახსენებდი

უკან დაბრუნება

მას შემდეგ რაც კაკუნი მიწყდა
გაბლანტდა სისხლი
აღარ ჩქეფს მეტად
ისეა თითქოს
ათასობით მსხვერპლისგან წვეთდა
და შხამავს ახლა მის გონებას სხეულთა წყება.

მსუბუქი ჩხვლეტა სრიალა და პრიალა ნემსის
გაფითრებულ კანს გაკანრავს როცა
იმ ცხოველის ჩამოჰგავს კოცნას
ხრამუნა ნითელ ნაჭრებად რომ ჰქცევია ხორცი.


მხოლოდ ხანდახან იპყრობს შიში
შურდულიდან ნატყორცნ ქვასავით
პირდაპირ რომ მხეილით მოჰქრის
და წამებს რომ თვლის
უმძაფრესად დამუხტული ელექტრო ვნება
და გული ისევ ისევ ირთვება



თათებზე დახტომა

კატა ხარ, სიცოცხლის მერვე წრეს მიჰყვები
და ყოველ გამორჩენაზე ლობიდან იცინი
ერთხელ უბრალო ფისოდაც მოხვედი
მშობარაც გაგხადა მძიმე ორსულობამ
თავს მხოლოდ იმპერატორის
ნამგლის ქვეშ იდრეკდი

დედალს კი იარები უფლებებს ანიჭებს
ვთქვათ,
ლამე შამპანურის
რაკილა გაჩენდნენ და თანაც ღნაოდნენ
ან დღისით ზარმაცი თავვი რომ შესანსლოს
ველად იცუნცულოს და არვინ ალოკოს
და მაინც ფისუნია თავს იმტვრევს მიზეზებზე
ლექსად რომ სჩვევიათ მერე გადაქცევა



სერია## პლფ 7262735

როცა ჩემს გვერდით ლურჯი ყუთი აღმოვაჩინე
აი, ისეთი კლინიკაში პროდუქტები რომ გადააქვთ
სახურავის ქვეშ რალაც უკვე ნიკნიკებდა

წუთში ალბათ 70-ჯერ და რა თქმა უნდა
მისი გახსნა ლანჩის ყუთივით
არც არავის მოსვლია აზრად

არ იქნებოდა იქ არც პური არც ორცხობილა
არც გაფცქვნილი მანდარინები სამაგიეროდ
კეთილგანწყობილი იმპლანტანტი

ჰო, მაინც რა უცნაურია იყო ამგვარი საქონელის მომხმარებელი
ეკუთვნოდე ბაზარს სამყაროს რომელიც მას განაპირობებს
და ვალშიც იყო მის წინაშე მთელი ცხოვრება
უკან დახევის შანსის გარეშე

P.S. კრებულს “ნარკოზების შემდეგ” თან ახლავს ავტორის ბოლოსიტყვა, სადაც მოცემულია ლექსებში ნახსენები ოპერაციების რეალური დეტალები თუ საკუთრივ ავადმყოფობის ანამნეზები. ამგვარი ინდექსი დამახასიათებელია კონცეპტუალური ხელოვნების ყველა დარგისთვის. თუმცა პოლ-ჰენრი კემპბელი აქვე თანამედროვე სამყაროსთვის ძალიან მტკივნეულ პრობლემასაც ეხება. კერძოდ:



სელექცია

სადაც, დასავლეთ სამყაროში, ვთქვათ, ბოსტონში, ინვალიდი ბავშვი დაიბადა. პირველი ათი წლის განმავლობაში, მისი სიცოცხლის გადასარჩენად, სამედიცინო პროცედურებზე ორი მილიონი დოლარი იხარჯება. დაახლოებით. ამასობაში დამასკოელი დედა კონტრაბანდისტს ორიათას დოლარს უხდის, რომ მისი ჯანმრთელი შვილი იტალიურ კუნძულზე გადაიყვანონ. ნავი ყირავდება და ბავშვი იღუპება.
ყოველ წელს, ვიდრე ავადმყოფი ბავშვი ცოცხალია, მისი პირველადი დახმარება ორიათასი დოლარი ჯდება - და ასე იქნება მის სიკვდილამდე, რომც გაიზარდოს, ორმოც, ორმოცდაათ, ოთხმოც წელსაც რომ მიაღწიოს. ავადმყოფი ბავშვი მედიცინის სახეა, ის იდეალური პაციენტია და შესაბამისად, სამედიცინო სამსახურის იდეალური მომხმარებელი, რასაც მხოლოდ სიცოცხლის დასრულებისას შეწყვეტს. ასე დგას მედიცინა ავადმყოფი ბავშვის სამსახურში.
შედეგი: ბალიშების გარემოცვაში დარჩენილი ავადმყოფი ბავშვი წერს ლექსებს, მაშინ როცა სხვა, ჯანმრთელი, ქუჩაში პურის ნამცეცებს მათხოვრობს. ვინმეს უნდა მეტი?

სემუელ ბეკეტი

ხელმოცარულობანი

ფრანგულიდან თარგმნა ირაკლი ყოლბაიძე



ხელმოცარულობა 1

ის თავშიშველია, ფეხშიშველი, გამონყობილი მაისურსა და მისთვის მეტისმეტად მოკლე შარვალში, თავისმა ხელებმა უთხრეს ასე, ისევ და ისევ, და თავისმა ფეხებმა, რომ ედებოდნენ ერთმანეთს და თეძოებს რომ ეხახუნებოდნენ, წვივებისა და დიდი ძვლის გაყოლებაზე. ამ ცოტა არ იყოს საპატიმრო სამოსს ჯერაც არცერთი მისი მოგონება არ ეხმიანება, მაგრამ ყოველივე სიმძიმეა, ამ სფეროში, და სისავსე და სისქე. უშველებელი თავი, რომელშიც მისი სატანჯველი მიმდინარეობს, აღარაფერია სიცილის გარდა, ის კვლავ მიდის, კვლავ დაბრუნდება. ერთ დღეს ის საკუთარ თავს იხილავს, მთლიან წინა ნაწილს, მკერდით ფეხებამდე, და მკლავებს, და ბოლოს ხელებს, დიდხანს უყურებს, ხელისზურგებს და ხელისგულებს, თავდაპირველად გაშეშებული მხრის სიგრძეზე, მერე ახლოდან, კანკალით, თვალებთან ახლოს. ის ჩერდება, პირველად მას მერე, რაც იცის, რომ გზას ადგას, ერთი ფეხი მეორეზე წინ, რომელიც მაღლაა - სიბრტყეზე, რომელიც დაბლაა ფეხისწვერებზე, და გადანყვეტილებას ელის. მერე სვლას განაგრძობს. სიბნელის მიუხედავად, ის არ მიდის ხელის ცეცებით, წინ გაშვერილი მკლავებით, გაშლილი მხრებით, დაბიჯებამდე შეყოვნე-

ბული ფეხებით. ასე რომ სშირად, ანუ ყველა მოსახვევში, ასკდება კედლებს, რომლებიც გზას უღობავენ, მარცხენა კედელს, როცა ხელმარჯვნივ უხვევს, მარჯვენას, როცა ხელმარცხნივ უხვევს, ხანდახან ფეხით, ხანდახან თხემით, იმის გამო, რომ მოხრილია, აღმართის გამო, და იმის გამო, რომ ყოველთვის მოხრილია, ზურგმორკალული, კისრით წინ გადახრილი, თავჩაქინდრული. სისხლს კარგავს, მაგრამ მცირე რაოდენობით, მცირე იარებს დრო აქვთ, შეხორცდნენ, მანამ, სანამ კვლავ გაიხსნებიან, ისე წელია მისი ნაბიჯი. ზოგ ადგილას კედლები თითქმის ეხებიან ერთმანეთს, ჰოდა მაშინ სიმძიმე მის მხრებზე მოდის. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სვლა შეწყვიტოს და სულაც უკან გაბრუნდეს, სიტყვებით, აი აქ მთავრდება გასეირნება, ახლა უნდა დაებრუნდე მეორე ბოლოში და ხელახლა დავიწყო, რის ნაცვლადაც გვერდებით ეკვეხება ქრილში და ბოლოს და ბოლოს ახერხებს გაძრომას, სავალალოდ თავისი მუცლისა და ზურგისთვის. ხომ არ იწყებენ მისი თვალები, ამდენხინანი ზემოქმედების შემდეგ, სიბნელის გარღვევას? არა, და ესაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც უფრო და უფრო მეტად ხუჭავს მათ, უფრო და უფრო სშირად, უფრო და უფრო ხანგრძლივად რადგან არის მასში მარადზრდადი ზრუნვა, აიცილოს ყოველგვარი არასაჭირო დაღლილობა, რო-

გორიცაა, მაგალითად, იყურებოდნენ და სულაც გარშემო, საათებისა და დღეების მანძილზე, ისე რომ ვერასდროს ვერაფერს ხედავდნენ. ეს არაა შესაფერისი დრო საკუთარ შეცდომებზე სალაპარაკოდ, მაგრამ იქნებ მაინც შეცდა, რომ არ დაიფინა, თავის ძალისხმევებში, გაერღვია სიბნელე. რადგან შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, თავისი გაეტანა, გარკვეულწილად, და მაშინ მეტი მხიარულება იქნებოდა, სინათლის სხივი მაშინვე ყველაფერს ამხიარულებს. და კიდევ შეიძლება, ყველაფერი განათდეს, თვალის დახამხამებაში, თავიდან შეუგრძნობლად და შემდეგ, როგორ ვთქვა, მერე მეტად და მეტად, სანამ ყველაფერს არ დატბორავს სინათლე, გზას, მიწას, კედლებს, თაღსაც კი, სინათლით დატბორილი ეს ყოველივე, ისე, რომ მას არც კი ეცოდინება. შეიძლება მთავრე მოთავსდეს პერსპექტივის სიღრმეში, ცის ზენარი მეტნაკლებად განათებული მზით ან ვარაკვლავებით მოჭდილი, ისე, ის კი ვერც კი შეძლებს, გაიხაროს და ნახივს მოუმატოს, ანდა პირიქით, ნახევარწრე დაარტყას, სანამ ჯერ კიდევ დრო აქვს, და უკან გაბრუნდეს. სხვაგვარიც, ამაყად ყველაფერი რიგზეა, და ესაა მთავარი. განსაკუთრებით ფეხები. ფეხები, როგორც ჩანს, კარგ დღეში აქვს, ეს მნიშვნელოვანია, მერფის ჩინებული ფეხები ჰქონდა. თავი ჯერაც ოდნავ სუსტადაა, დრო სჭირდება მოსაყოჩაღებლად, მაგ ნაწილს. შეიძლება ასეც დარჩეს, შეიძლება მეტადაც დასუსტდეს, ისე, რომ ამას არაფერი მოჰყვეს. სიგიჟის კვალიც არ ჩანს, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ეს მნიშვნელოვანია. ტვირთი შეთხელებულია, მაგრამ კარგად განწონასწორებული. გული? გულს არა უშავს. იძვრის. დანარჩენი? არა უშავს. თავის საქმეს აკეთებს. მაგრამ აი, ახლა, მას მერე რაც, ვთქვათ, მარჯვნივ შეუხვია, იმის ნაცვლად, რომ, ოდნავ მოშორებით, მარცხნივ შეეხვია, ის ისევ ხელმარჯვნივ უხვევს. და აი, სულ რამდენიმე ნახიჯში, კვლავ, იმის ნაცვლად, რომ ბოლოს და ბოლოს, მარცხნივ შეუხვიოს, კიდევ ერთხელ უხვევს ხელმარჯვნივ. და ასე გრძელდება იმ მომენტამდე, სანამ, იმის ნაცვლად, რომ კიდევ ერთხელ შეუხვიოს ხელმარჯვნივ, როგორც მოელოდა, ბოლოს და ბოლოს მარცხნივ არ შეუხვევს. და ვარკვეული დროის მანძილზე მისი ზოგზაგები ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდებიან, მომთაბრეველ მას მარჯვნიდან მარცხნივ, ესე იგი წინ მიჰყავთ, ასე თუ ისე, მაგრამ გეზით, რომელიც აღარ ემთხვევა სანყისს, უფრო სწორად იმ მომენტისას, როდესაც ვააცნობიერა, რომ იძვროდა, ან იქნებ გეზი მაინც უცვლელია. რადგან თუკი არის ვრცელი პერიოდები, როდესაც მარჯვნივ მას მარცხნივ მიათრევს, არის აგრეთვე ისეთებიც, როდესაც მარცხნივ მიათრევს მარჯვნივ. რა მნიშვნელობა აქვს, ბოლოს და ბოლოს, რამდენადაც ცოცხლად მაინც განაგრძობს. მაგრამ აი, ოდნავ მოშორებით, ქანობი წყდება ისე უეცრად, მას უნდა უკან გახტეს, რათა არ დაეცეს. მამ სად ელის მას სიცოცხლე, სვლის სანყის წერტილთან მიმართებაში, ან, უკეთ, იმ წერტილთან, სადაც უეცრად


გააცნობიერა, რომ იძვროდა, ზემოთ თუ ქვემოთ, თუ, ბოლოს და ბოლოს, გაქარწყლებიან, გრძელი საამური აღმასვლები და მოკლე, უეცარი თავდაღმართები? მაინც არ აქვს დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც სწორ გზას ადგას, სწორ გზას კი ადგას, რადგან სხვა გზა არაა, თუ რა თქმა უნდა, ისე არ აუარა ყველა მათგანს გვერდი, ერთი მეორის მიყოლებით, რომ არც კი შეუმჩნევია. კედლები და ჭერი, თუ მთლად ქვის არა, არც სიმაგრე აკლიათ, თუ ხელს შეახებ, და არც სისველე. დროადრო ის ჩერდება, პირველთა სალოკად. ფაუნა, თუ არის ასეთი, მდუმარეა. ერთადერთი ხმა, გარდა მიმავალი სხეულის ხმისა, დაცემისაა. მსხვილი წვეთი, რომელიც ეცემა, ბოლოს და ბოლოს, ძალიან მალე დან, და სკდება, მძიმე წონა, რომელიც უეცრად ტოვებს თავის ადგილს და თავქვე მიექანება, მსუბუქი მატერიები, რომლებიც უფრო ნელა იხლიჩებიან. შედეგად ექო გასმის, თავდაპირველად იმდენადვე ძლიერი, რამდენადაც ხმაური, რომელმაც ის გამოაღვიძა, და ლამის ოცჯერ მეორდება, ყოველ ჯერზე ოდნავ უფრო სუსტი, არა, ხანდახან უფრო ძლიერი, ვიდრე წინა, სანამ არ მიყუჩდება. მერე კვლავ მდუმარება, დარღვეული მხოლოდ ხმით, სუსტი და ჩახლართული, რომელსაც გამოსცემს მოძრავი სხეული. მაგრამ ეს დაცემის ხმები არაა ხშირი, უმეტესწილად დუმილი მეფობს, დარღვეული მხოლოდ ხმით, რომელსაც მოძრავი სხეული გამოსცემს, და შიშველი ფეხების, ნოტიო მიწაზე, ოდნავ დაძაბული სუნთქვის, კედელზე მიწარცხებული ან ნაწრალში გაკვეთილი სხეულის, ტანსაცმლის, მაისოვისა და შარვლის, რომ მისდევინებს სხეულს და ეურჩებიან მას, რომ განეკვრიან დაცვარულ სხეულს სანამ ისევ მიეკრობიან, რომ ევლითებიან და დაფრიალებენ ადგილებს, ისედაც დაგლეჯილებს უეცარი აღელვებებისგან, იმავე წამს რომ წყნარდებიან, და, ბოლოს, იმ ხელების ხმით, რომ ევლებიან, აღმა-დაღმა, სხეულის იმ ნაწილებს, რომლებსაც დაქანცვის გარეშე მისწვდებიან. თავად ჯერ არ დაცემულა. ჰაერი ყარს. დროადრო ჩერდება და კედელს ეყუდება, მერე კედელზე ფეხებშიბჯინილი. მას უკვე აქვს რამდენიმე მოგონება, იმ მოგონებიდან მოყოლებული, რომელშიც უეცრად გააცნობიერა, რომ იქ იყო, იმავე გზაზე, რომელიც ჯერაც მიათრევს, ვიდრე უკანასკნელ მოგონებამდე, რომელშიც გაჩერდა, რათა კედელს მიყრდნობოდა, უკვე აქვს მცირეოდენი წარსული, ჩვევები ლამის. მაგრამ ყოველივე ეს ჯერაც არამყარია და ხშირად წაასწრებს ხოლმე საკუთარ თავს, სიარულისას ან სულის მოთქმისას, მაგრამ მეტწილად სიარულისას, რადგან სულს იშვიათად ითქვამს, ისევე მოკლებული ისტორიას, როგორც პირველ დღეს, ამავე გზაზე, რომელიც მისი დასაწყისია, დიდი მოგონების დღეებში. მაგრამ ახლა, უფრო ხშირად, გაივლის რა პირველი გაოცება, მას უბრუნდება მესსიერება და აბრუნებს, თუ ის ისურვებს, ბევრად უკან, ვიდრე იმ წამამდე, რომლის მიღმაც არაფერია, და რომელ წამსაც ის უკვე ბებერი იყო, ესე იგი სიკვდილთან ახ-

ლოს, და იცოდა, თუმცა ის არ ახსოვდა, თუკი იცხოვრა, რა არის სიბერე და სიკვდილი, სხვა მნიშვნელოვან რამეებთან ერთად. მაგრამ ყოველივე ეს ჯერაც არამყარია და ხშირად ის დაინყებს, მოხუცი, თავის შაბნელ მიმოკვლავებებში, და კარგა ხნის მანძილზე განაგრძობს თავისი პირველი ნაბიჯების გადადგმას, სანამ არ მიხვდება, რომ ეს ნაბიჯები მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელია, ანდა სულ ახლანდელი. ჰაერი ისე ყარს, რომ მხოლოდ ის თუ გადარჩება მასში, თითქოს, ვისაც არასდროს უსუნთქია სხვა, ნამდვილი, მაცოცხლებელი, ან მეტისმეტად დიდი ხნის მანძილზე არ უსუნთქია ასეთი. და ამგვარი ნამდვილი ჰაერი, უეცრად რომ ჩანაცვლებოდა ამ ადგილისას, უდავოდ მომაკვდინებელი იქნებოდა მისთვის, სულ ერთიორი ჩასუნთქვისთანავე. მაგრამ გადასვლა ერთიდან მეორე ჰაერზე, უდავოდ, მშვიდად, ნელ-ნელა ჩაივლის, საჭირო დროს, თანდათანობით, რამდენადაც კაცი მიუახლოვდება გასასვლელს. და იქნებ უკვე ჰაერი ნაკლებ მყარია, ვიდრე სიარულის დასაწყისში, ანუ როდესაც უეცრად გააცნობიერა, რომ მიდიოდა. ასე თუ ისე, მისი ისტორია ნელ-ნელა გრძელდება, გამოკვეთილი, კარგი და ცუდი დღეებით თუ არა, სულ მცირე გარკვეული შემთხვევებით მაინც, რომლებიც, მართებულად თუ მცდარად, მიეკუთვნებიან გამორჩეულის სფეროს, მაგალითად მეტისმეტად ვიწრო ჭრილი, მეტისმეტად ხმაურიანი დაცემა, ყველაზე ხანგრძლივი ჩამოშლა, ყველაზე გრძელი ექო, ყველაზე მძიმე შეჯახება, ყველაზე ძლიერი დაქანება, ერთი მიმართულებით განხორციელებული შეხვევების უდიდესი რიცხვი, უკიდურესი დაღლილობა, უგრძესი სულის მოთქმა, ყველაზე გრძელი ამნეზია, და ყველაზე ხანგრძლივი, თუ გამოვალკლებთ ხმებს, რომლებსაც სიარულისას გამოსცემს მისი სხეული, მდუმარება. ა, ჰო, კიდევ, ერთი მხრივ, ხელების, მეორე მხრივ, ცივი და ნოტიო ფეხების ყველაზე ნაყოფიერი გადაადგილება სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებსაც მისწვდებიან. და კედლის საუკეთესო ლოკვა. მოკლედ, ყველა მიღწევა. და მერე კიდევ დანარჩენი მიღწევები, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მაგალითად მინარცხება იმდენად მძლავრი, რომ თითქმის უმძლავრესს უტოლდებოდა. და კიდევ სხვა მიღწევებიც, თითქმის თანაბრად ღირსშესანიშნავი, მაგალითად კედლის იმდენად კარგი ალოკვა, რომ თითქმის აღემატებოდა იმას, რომელსაც საუკეთესოდ სულ ცოტა აკლდა. მერე სულ მცირე, თითქმის არაფერი, იოტისოდენა, ისინიც თანაბრად დაუფინყარი, დიდი მოგონების დღეებში, დაცემის ხმა იმდენად სუსტი, დაშორების გამო, ან წონის ნაკლებობის გამო, ან განვლილი მანძილის სიმცირის გამო, დაძვრიდან გაჩერებამდე, რომ შესაძლოა, სულაც, თვითონ წარმოიდგინა, ან კიდევ, სხვა მაგალითი, როდესაც ორად ორი შესახვევი სდევს ერთმანეთს, გინდა მარჯვნივ, გინდა მარცხნივ, მაგრამ ეგ ცუდი მაგალითია. კიდევ სხვა ღირსშესანიშნაობებით მას პირველი ჯერები ამარაგებდნენ, და სულაც მეორე ჯერები. პირველ-

მა ჭრილმა, მაგალითად, უდავოდ იმ მიზეზით, რომ არ მოელოდა, მასზე ნაკლებად არ იმოქმედა, ვიდრე ყველაზე ვიწრო ჭრილმა, ისევე, როგორც მეორე ჩამოშლამ, უდავოდ იმის გამო, რომ მას უკვე მოელოდა, ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, როგორც იმან, რომელმაც ყველაზე მცირე ხანს გასტანა. მოკლედ, რითაც არ უნდა იყოს, მისი ისტორია ამგვარად გრძელდება, იცვლება, სულაც, რამდენადაც ახალი უმაღლესი და უმაღლესი ნერტილები ჩრდილსა და დავიწყებაში მიგრეკებიან იმათ, რომლებსაც მანამდე ერგოთ პატივი, და როდესაც ახალი ელემენტები და მოტივები, როგორც, მაგალითად, ეს ძვლები, რომლებზეც უფრო დაწვრილებით სულ ძალე, და სიღრმისეულად, გამო მათი მნიშვნელობისა, ჩნდებიან მის გასამდიდრებლად.

ხელმოცარულობა 2

ჰორნი ღამით მოდიოდა. მე მას სიბნელეში ვიღებდი. ყველაფრის ატანა ვისწავლე, ოღონდ არ დავენახე. თავდაპირველად, ხუთი ან ექვსი წუთის მერე ვუშვებდი. მოგვიანებით თავისით ისწავლასწავლა, როგორც კი დრო გაუვიდოდა. თავის ჩანაწერებში ელექტრული ფანრის შუქზე იქექებოდა. მერე ჩააქრობდა და სიბნელეში ლაპარაკობდა. სინათლე დუმილი, სიბნელე მეტყველება. ხუთი ან ექვსი წელი იყო უკვე, რაც აღარავის დავენახე, ჩემივე თავით დანყებული. იმ სახეზე ვლაპარაკობ, რომელსაც ამდენი ველოლიავე, უნინა ახლა ცვდილობ, განვადგძო ეგ თვალთერევა, გაკვეთილად რომ წამადგეს. გადმოვალავე, ამდენი ხნის მერე, ჩემი სარკეები. იმდენს ვიზამ, ვინმე დამინახავს. გავძახებ, თუ კაკუნი მოისმება, მობრძანდი! მაგრამ ხუთი-ექვსი წლის წინანდელზე ვლაპარაკობ. ეს მინიშნებები ხანგრძლივობაზე, წარსულსა და მომავალზე, და სხვები, რომლებსაც ანი ვიტყვი, რათა შეგვექმნას დროის შეგრძნება. სხეული მეტ ტკივილს მანიჭებდა. მე მას ვნიღბავდი როგორც შემძლო, მაგრამ საწოლიდან რომ ვდგებოდი, მთელი ძალით მახსენებდა თავს. იმიტომ რომ ახლა მაშინ, თუ გნებავთ, ვინყებდი საწოლიდან წამოვდომას, კიდევ ერთხელ. მერე მისი ჭრილობები. ამას მაინც არაუშავს დიდად. მაგრამ სახეს ვერაფერს უზამ. ჰორნი, ესე იგი, ღამით. როდესაც თავისი ფანარი ავიწყებოდა, ასანთებს იყენებდა. ვკითხავდი, ვთქვათ, და მისი კაბა იმ დღეს? მაშინ გაუკიდებდა, გადაფურცლავდა, დაკვალანდებოდა, ჩააქრობდა და მომიგებდა, ვთქვათ, ყვითელი. მას არ უყვარდა, რომ ეჩრებოდნენ და, უნდა ვალიარო, იშვიათად მეძლეოდა შემთხვევა. ერთ ღამეს შევანყვითინე და ვთხოვე, თავისი სახე გაენათებინა. ასეც მოიქცა, ნაქარევადა, ჩააქრო და განავადო. კიდევ შევანყვითინე და ვთხოვე, ერთი წამით გაჩუმებულიყო. ამაზე შორს საქმე არ წასულა. მაგრამ მომდევნო დღეს, ან, შეიძლება, იმის მომდევნოს, შემოსვლისთანავე ვთხოვე, გაენათებინა თავისი სახე და ასე გაჩერებულიყო, სანამ ახალ ბრძანებას არ მიი-



ლებდა. სინათლე, თავდაპირველად საკმაოდ მძლავრი, თანდათან მინელდა, სანამ არ დარჩა მისგან მხოლოდ ყვითელი ნაპერწკალი, რომელიც, თავისმხრივ, ჩემდა გასაკვირად, დიდხანს შეყოვნდა. მერე, უეცრად, დაბნელდა და ჰორნი წავიდა, იმის გამო, უდავოდ, რომ ხუთი თუ ექვსი წუთი უკვე გასულიყო. მაგრამ აქ ორიდან ერთი რამეა, ან ჩაქრობა ბუნებრივად, ბედისწერის უცნაური ხრიკის წყალობით დაემთხვა სეანსის დასასრულს, ან კიდევ ჰორნმა, რადგან იცოდა რომ წასვლის დრო მოსულიყო, თვითონ მოსპო სინათლის წყაროს უკანასკნელი ნარჩენები. დღემდე, ხანდახან, ვხედავ ამ მიმქრალ სახეს, რომელშიც უფრო და უფრო ნათლად მესახებოდა, რაც მეტად ეუფლებოდა მას ჩრდილი, ის, რომელიც მესხიერებაში დამჩნია. ბოლოს, სანამ ის ასე აუხსნელად აგვიანებდა სრულებით გაქრობას, ჩემს თავს ვუთხარი, უდავოდ ისაა. გარე სივრცე, მეორეში არ ავუროთ, არის მსგავსი სახეების წარმოქმნის ადგილი. საკმარისია ხელი ავიფარო, ან თვალები დაეხუჭო, ან კიდევ სათვალეები მოვიხსნა, რომ ისინი გაქრნენ.

ეს უპირატესობაა. მაგრამ დიდი თავდაცვა არაა, როგორც მალე გამოჩნდება. ამიტომ ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, როცა ვდგები, ვუყურო იმგვარ ერთიან ზედაპირს, როგორსაც ჩემი სანოლიდან განვაგებ, ვგულისხმობ ჭერს. რადგან ხელახლა წამოვიწყე წამოდგომები. მჯეროდა, რომ განვვლე ჩემი ბოლო მოგზაურობა, ის, რომლის ნათლად დანახვაც ახლა კიდევ ერთხელ უნდა ვცადო, იმისთვის, რომ გაკვეთილად გამომადგეს, და რომლიდანაც აჯობებდა, არ დავბრუნებულყავი. მაგრამ მეუფლება შეგრძნება, რომ იძულებული ვიქნები, კიდევ ერთხელ გავეშურო. ჰოდა ისევ დავინყე ადგომა და ჩემს ოთახში ერთი-ორი ნაბიჯის გადადგმა, ისე, რომ თან სანოლის მოაჯირებს ვეჭიდები. სინამდვილეში ათლეტიზმმა დამლუპა. ამდენი რომ ვიხტუნე და ვირბინე სიყმანვილეში, ამდენი მუშტი-კრივი და დაკა-დაკა ახალგაზრდობაში, და მის მიღმაც გარკვეულ საკითხებში, მანქანა დროზე ადრე გადავწვი. ჩემი მეოთხემეტე წელი გაფრენილიყო და მე ჯერ კიდევ ჭოკით ვხტუნავდი.

ხელმოცარულობა 3: შორს ერთი ჩიტი

იავარქმნილი მინა, მან მთელი ღამე იარა, მე დავნებდი, ღობეებს ვეხახუნე, გზასა და თხრილს შორის, გაქეტილ ბალახზე, პატარა წელი ნაბიჯები, მთელი ღამე უხმოდ, ხშირ-ხშირი გაჩერებებით, ყოველ მათე ნაბიჯზე ან ასე, მომცრო მფრთხალი ნაბიჯები, სუნთქვის მოსაკრებად, მერე ყური უგდე, იავარქმნილი მინა, სანამ დავიბადებოდი მანამ დავნებდი, სხვანაირად შეუძლებელია, მაგრამ დაბადება უნდა მომხდარიყო, ის კაცი იყო, მე შიგნით ვიყავი, ახლა ისევ გაჩერდა, მეასედ ამაღამ, ან ასე, ასე მიიღება განვლილი მანძილი, ეს ბოლოა, ის მოკაკუული თავის ხელჯოხზე, მე შიგნით ვარ, ეს მან იკვნესა, მან იხილა დღის სინათლე, მე არ დამიკვნესია, მე არ მიხილავს დღის სინათლე, ხელები, ერთი მეორეზე გადადებული, ხელჯოხს აწვევებთან, შუბლი აწვევა ხელებს, მან სული მოითქვა, ახლა შეუძლია, ყური დაუგდოს, ტანი ჰორიზონტალურად, ფეხები გაშლართული, მუხლები ჩაზნექილი, იგივე ძველი ქურთუკი, უკნიდან გამოშვარილი გაქევაებული ბოლო, დღე იწურება, საკმარისია თვალები აწიოს, გაახილოს, აწიოს თვალები, ის ღობეს ერწყმის, შორს ერთი ჩიტი, ერთი წამი მის შესამჩნევად და მიფრინავს, ეს მან იცხოვრა, მე არ ვიცხოვრე, ავად ვიცხოვრე, ჩემს გამო, შეუძლებელია, ცნობიერება მქონდეს და მაქვს, ვილაც სხვა განმჭვრეტს, ჩვენ განგვჭვრეტს, აი, სადამდე მივიდა, საბოლოოდ აქამდე მივიდა, მე მას წარმოვიდგენ, როგორ განგვჭვრეტს, ორი ხელი და ერთი თავი პატარა გროვას გვაძლევს, საათები გადიან, ის არ იწმრევა, ის ხმას ეძებს ჩემთვის, შეუძლებელია, მე ხმა მქონდეს და არ მაქვს, ის ხმას მიპოვის, ხმას რომელიც არ მომიხდება, რომელიც თავის საქმეს იზამს, თავისას, მაგრამ გვეყოფა მასზე, ეს სახე, ხელებისა და თავის პატარა გროვა, ტანი ჰორიზონტალურად, იდაყვები აქეთ-იქით გაშვებული, თვალები დახუჭული და სახე გახევებული, მოსმენისგან, თვალები დამალული და მთელი სახე დამალული, დრო მასში არაფერს ცვლის, ეს სურათი და მეტი არაფერი, იავარქმნილი მინა, ღამე უკან იხევს, ის გაიქცა, მე შიგნით ვარ, თავს მოკლავს, ჩემს გამო, მე ამას ვიცხოვრებ, ვიცხოვრებ მის სიკვდილს, მისი სიცოცხლის დასასრული და მერე მისი სიკვდილი, თანდათანობით, ანმყოში, როგორ მოახერხებს ამას, შეუძლებელია ეგრე რომ ვიცოდე, მეცოდინება, თანდათანობით, ეს ის მოკვდება, მე არ მოკვკვდება, ძვლების გარდა მისგან აღარაფერი დარჩება, მე შიგნით ვიქნები, აღარაფერი დარჩება გარდა ქვიშისა, მე შიგნით ვიქნები, სხვანაირად არაა შესაძლებელი, იავარქმნილი მინა, ის ღობეში გაძევა, ის აღარ ჩერდება, ის აღარასდროს იტყვის მე, ჩემს გამო, ის არავის დაელაპარაკება, არავინ დაელაპარაკება მას, თავის თავს არ დაუნყებს ლაპარაკს, აღარაფერი დარჩა მის თავში, მე მივანვდი იმას რაც დასჭირდება, დასამთავრებლად, რომ აღარ თქვას მე, პირი რომ აღარ გააღოს, გაბნეული მოგონებები და სინანუ-

ლები, დაბნეულობა, რომ ვილაცხას ეყვარები, შეუძლებელი ახალგაზრდობის დაბნეულობა, წინგადახრილი და ხელჯოხმომარჯვებული, ის მიმორძიკობს მინდვრების გადაღმა, ცხოვრება, ჩემი საკუთარი, ცვადა, არ გამოვიდა, ყოველთვის მხოლოდ მისი, ცუდი, ჩემს გამო, ის ამბობდა რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ იყო, იყო, არის ჯერაც, იგივე მე ჯერაც შიგნით ვარ, იგივე, მე სახეებით გავფარებ მის თავს, სახელებით, ადგილებით, ერთად დავდევთ ამ ყველაფერს, მას მოსამთავრებლად, ჩრდილებს გასაქცევად, უკანასკნელ ჩრდილებს, რათა გაექცე და გაეკიდო, მას დედამისი აერევა ამ სივრცეში, მამამისი ეგონება მელიანდაგე სახელად ბალფი, მე მას მივუჩინებ ბებერ, ქეცთან, სწულ მანანალა ძალს, რათა კიდევ შეიყვაროს, კიდევ დაკარგოს, იავარქმნილი მინა, ციციქნა გადარეული ნაბიჯები.

ხელმოცარულობა 5

დახურული ადგილი. ყველაფერი, რისი ცოდნაც საჭიროა სათქმელად, ცნობილია. მხოლოდ ის არის, რაც ითქმის. გარდა იმისა, რაც ითქმის, არაფერია. რაც არენაზე ხდება არ ითქმის. საჭირო რომ ყოფილიყო ცოდნა, გვეცოდინებოდა. არ აღძრავს ცნობისწადილს. ნუ წარმოიდგენ. დრო მინის მხარჯველი დრო სახარჯი დასანანად. ადგილი შემდგარი არენისა და თხრილისგან. ორს შორის უკანასკნელის გაყოლებაზე ბილიკია. თხრილი იქით აღარაფერი. ეს ცნობილია, რადგან უნდა ითქვას. ბნელი ვრცელი არენა. მილიონები დაეტყვოდნენ. მოხეტიალე და უმოძრაო. არც ესმით ვერც ხელავენ ვერასდროს ერთმანეთს. არასდროს ერთმანეთს არ ეხებიან. დანარჩენი უცნობია. თხრილის სიღრმე. კიდიდან მოჩან ყველა სხეული გაწვავებული მის ფსკერზე. მილიონები ჯერაც იქ არიან. ბუნებრივზე ექვსჯერ პატარები ჩანან. ფსკერი ზონებად დანაწევრებული. ზონები ბნელი და ნათელი. მთელ სივანეს იკავებენ. ჯერაც ნათელი ზონები ოთხკუთხედებია. ოთხკუთხედებს გვანან საშუალო სხეული მასში ძლივს ეტევა. დიაგონალურად განოლილი. უფრო მოზრდილი უნდა მოიკუნტოს. ამრიგად ცნობილია თხრილის ზომა. უმაგისოდაც ცნობილი იქნებოდა. ბნელი ზონების შეჯამება. ნათელი ზონები. პირველთა რიცხვი დოდად აღემატება. ადგილი უკვე ძველია. თხრილი ძველია. თავიდან მხოლოდ სინათლე იყო. მხოლოდ ნათელი ზონები. თითქმის ეხებოდნენ. ჩრდილისგან ოდნავ გამიჯნული. თხრილი თითქმის სწორი ხაზია. მერე ხელახლა ჩნდება უკვე ნანახი სხეული. საქმე გვაქვს, შესაბამისად, დახურულ მრულთან. ნათელი ზონების მეტისმეტად მანათობელი სიკაშკაშე. სიბნელეს ის არ ხელშეწყობს. სიბნელეები გაუფალია. თანაბრად მკვრივი კიდებზე და შუამი. სამაგიეროდ სინათლე ვერტიკალურად ვრცელდება. არენის დონეზე ბევრად მაღლა. ისევე მაღლა როგორც მინაყრილია ღრმა. ბნელ ჰაერში მკრთალი შუქის კოშკები იმართებიან. რამდენიც ნათელი ზონა იმდენი კოშკი. იმდენი ხილული სხე-

ული ფსკერზე. ბილიკი მიწყაიროს გასდევს მთელ სიგრძეზე. მთელ გარშემონერეილობაზე. ის არენაზე მალაა ამონვერილი. ერთი საფეხურით, არენის დონიდან. ის გამხმარი ფოთლებისგანაა დამზადებული. ბებერი ბუნების მოგონებად. გამომშრალი ფოთლები. მშრალი ჰაერი და სიცხე. გამხმარი მაგრამ არა გახრწნილი. სავარაუდოდ გაცამტვერდებიან. ბილიკი სიგანეში მხოლოდ ერთი სხეულის სამყოფი. მასზე არასდროს ორი არ ხედება.

ხელმოცარულობა 6


ძველი მინა, გვეყო ტყუილები, მე ის ვნახე, ეს მე ვიყავი, ჩემი სხვისი ხარბი თვალებით, მეტისმეტად გვიან იყო. ის ქალი იქნება ჩემზე ზემოდან, ის იქნება, მე ვიქნები, ვიქნებით ჩვენ, არასდროს ყოფილა ჩვენ. უკვე მალე იქნება, შეიძლება არა ხვალ, არც მომდევნო დღეს, მაგრამ მეტისმეტად გვიან იქნება. უკვე მალე, როგორ ვუყურებ, და რა უარყოფაა, როგორც ის უარყოფს, ის ასეთი უარყოფილი. ღრაჭების ნელინადია, მომდევნო ნელს მეტი აღარ იქნება, არც მის მომდევნო, დააკვირდი და დამახსოვრე. მე ღამეს ვუბრუნდები, ისინი ფრთებს შლიან, სწყდებიან ჩემს პატარა მუხას და, გამომძღრები, ღანდებში ქრებიან. Tristi fummo

nel'aere dolce. მე ვბრუნდები, ხელებს ვწვავ, ზოტ ხელს ვავლებ, წამოვიწევი და სახლში ვბრუნდები. სამი ნელინადი მინაში, ისინი ვინც თხუნელებს უსხლტებიან, მერე სანსვლა, სანსვლა ათი დღის მანძილზე, მთელი კვირა, და ყოველდღე გაფრენა. ვიდრე მდინარემდე, ალბათ, ისინი მდინარისკენ მიემართებიან. შუქს ვანთებ, ვაქრობ, შერცხვენილი, ფეხზე მდგარი ვერჭობი ფანჯარასთან, მივდივარ ერთიდან მეორე ფანჯრისკენ, გზად ავეჯს ვეყრდნობი. წამიერად ცას ვხედავ, სხვადასხვა ცებს, მერე სახეებად იქცევიან, აგონიებად, სხვადასხვა სიყვარულებად, ბედნიერებებადაც კი, ეგეთიც იყო, საუბედუროდ. მომენტები ცხოვრებიდან, ჩემიდანაც, სხვათამორის, კი, წამდვილად, ბოლოსდაბოლოს. ბედნიერებები, და მერე როგორი, ბედნიერები, რა სიკვდილები, რა სიყვარულები, წამით ვიცოდი, მეტისმეტად გვიანი იყო. აჰ, გიყვარდეს მომაკვდავს და უყურო სიკვდილს, უმალ ძვირფასი არსებები, და სიბედნიერე, და რისთვის აჰ, არაა საჭირო. არა მაგრამ ახლა, ახლა, უბრალოდ გაშემდე, ზეზე ფანჯრის წინ, ცალი ხელი კედელს მიყრდნობილი, მეორე პერანგს ჩავლებული, და ხედავდე ცას, ოდნავ დიდხანს, მაგრამ არა, სლოკინი და სპაზმები, ბავშვობის ზღვა, სხვა ცები, სხვა სხეული.



მალხაზ ხარბედია

პეტრონიუსი, „ტრიმალქიონის ნადიმი“



აქ სათაურში პეტრონიუსის „სატირიკონიც“ შეიძლება გამომეტანა, მაგრამ რადგან წერილი კონკრეტულად ერთ დიდ სცენას ეძღვნება პეტრონიუსის წიგნიდან, ამიტომ, გადავწყვიტე ამ განუვლილი პურისჭამის შესახებ დამენერა მხოლოდ. სათაური ასევე შეიძლება ითარგმნოს, როგორც ტრიმალქიონის სადილი (Cena Trimalchionis).


ბევრს გასმენიათ გაიუს პეტრონიუს არბიტრის შესახებ, ნერონის კარზე რომ გასცემდა მითითებებს. *Arbiter elegantiarum*, ასე უხმოზდნენ მაშინ მის თანამდებობას - ელეგანტურობის, დახვეწილობის მსაჯული და კანონმდებელი, გემოვნების მესაიდუმლე, მწერალი ბუნდოვანი ბიოგრაფიით, თხრობის შესანიშნავი ნიჭით, ვისი წიგნიც სასვება მახვილი ალუზიებით, პაროდოებითა და კვიმატი ციტატებით. ბევრისთვის ეს ავტორი, მისი ტექსტი, თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი წყაროა. თანამედროვეში კი აქ ავტორთა უზარმაზარი წრე შეგვიძლია ვიგულისხმოთ.

ცხადია შეუძლებელი იყო „წიგნის ნადიმების“ ნიშანქვეშ გვერდი აგვეარა ამ მხიარული ტექსტისთვის. ესაა სატირულ-ეროტიული, სათავგადასავლო რომანი პოეტური ჩანარებით, ტექსტში ჩასმული ამბებით, მოზრდილი სცენებითა და ენობრივი თამაშებით. მთავარი გმირი სამია - ენკოლპიუსი, გიტონი და ასკილტოსი და მათი თავგადასავალია ძირითადი ხაზი, ჩარჩო-ნარატივი, სადაც ბევ-

რი სხვა სცენა თუ ამბავია ჩართული. ყველაზე დარღულებული და მოცულობითაც დიდი „ტრიმალქიონის ნადიმი“, სადაც მთავარ გმირებს მდიდარი ტრიმალქიონი მასპინძლობს.

ტრიმალქიონი ძალიან ჰგავს ჩვენებურ (თუ სხვა ქვეყნის) ოლიგარქებს, განსაკუთრებით რუსეთში მაცხოვრებელ ქართველ მილიონერებს, სიკვდილი რომ ძალიან ეშინიათ, მოქროვილი ბიბლიების ფურცვლა რომ უყვართ მოქროვილ სავარძლებში გადანოლილებს, ძვირფას ხალათებში გამოწყობილები რომ დააბიჯებენ დარბაზიდან - დარბაზში, ხელზე დიდი ბეჭდებით, უძძიმესი ოქროს სამაჯურებით, რომლის გამოსაჩენადაც პერანგის მკლავები იდაყვებს ზემოთ აქეთ აკეცილი, საკინძი კი მღიღივს აქეთ ჩახსნილი, ასევე ოქროს ჯაჭვების თვის, მათი ელვარებისთვის. ვისაც შედარება გინდათ, გადაიკითხეთ „სატირიკონის“ 32-ე, მოკლეთავე და ადვილად იპოვით მსგავსებას.

ისინი ეკლესიებს აშენებენ, ყველაზე ძვირფასი ბიზილასს მიირთმევენ ოქროს კოვზით და საქართველოდან სპეციალური შეკვეთით ჩატანილ უძვივათეს ღვინოს ნრუპავენ, თავად რომ „ნამდვილ უსახელაურს“ ან „ნაღდ ხვანჭკარას“ უწოდებენ გურული ტრიმალქიონები ჩხავერისკენ იქაჩებიან, მეგრელები ოჯახისკენ, კახელები კი რომელიმე ღაცა შეთხზული ლეგენდებით დაყენებული საფურავისკენ. დააძრობენ 100 წლის ქართულ ბრენდს,



თავად რომ კონიაკს უწოდებენ, ან 40 წლის ღვინოს, რომელიმე ყოფილი რაიკომის მდივნის ნაჩუქარს ან მის სახელობაზე ჩამოსხმულს და იწყებენ სიბრძნეების ფრქვევას. კითხულობენ უცნაურ ნივნებს და ისრუტავენ ყველაფერ სისულელეს. არ დაგვავიწყდეს, რომ ყოფილი მონა ტრიმალქიონი ჩვენც ხომ ვიცნობთ ასეთ ყოფილ მონებს და მოურავებს, რომლებიც უცებ გამდიდრდნენ ძველი ბატონის დამსახურებით ან თავიანთივე მონდომებისა თუ მხიერხებულობის ხარჯზე.

მოკლედ, აი ასეთი კაცია ეს ტრიმალქიონი, ყველა დროში გამოხული და ყველა ეპოქისთვის კარგად ნაცნობი პერსონა, ნილაბი, რომელიც უზარმაზარ ნადიმებს მართავს, ლექსებს ციტირებს, თავის სიბრძნეებსაც ამბობს და სხვებისასაც, სიმდიდრეს აფრქვევს, ღვინო და კერძი თავზე გადასდის. კომენტატორები მის სახელსაც უძებნიან გასაღებს. მართალია, ზოგი ამბობს, რომ მალქიონი სემიტური მელეხიდან მოდის, რაც მეფეს ნიშნავს (შესაბამისად, სამეზის მეფეს), მაგრამ სხვა ახსნებიც არსებობს, სადაც მალქიო საძაგელია (შესაბამისად, სამეზის საძაგელი) და არაერთი ფრაგმენტი მოჰყავთ იმ დროის რომაული ტექსტებიდან ამის დასადასტურებლად.

სანამ თავად სუფრის აღწერაზე გადავიდოდეთ, ცოტა დრო უნდა დავუთმოთ რომაული პურ-მარილის თავისებურებებს. ასეთი სადილები, რომელიც პეტრონიუსს აქვს აღწერილი, დღის 2-3 საათზე იმართებოდა, რადგან რომში სამუშაო დღე 1 საათზე მთავრდებოდა. შემდეგ აბანოს დრო დგებოდა და იქიდან პირდაპირ სუფრასთან გამოდიოდნენ. სუფრას ტრიკლინიუმს უწოდებდნენ (*triclinium*), რომლის გარშემოც სამი მხრიდან გაიმოტებოდნენ ხოლმე მონადიმები, როგორც წესი, 9-ნი. ცენტრში მოთავსებული იყო დიდი ოთხკუთხედი მაგიდა, სამ მხარეს იყო სარეცლები, სადაც წამოწოლა შეეძლოთ სუფრის წვერებს. ერთი მხარე ღია რჩებოდა, რათა მსახურებს კერძები და ღვინო შემოეტანათ. სარეცლები ხის ან ქვის იყო და მასზე ბალიშები, მუთაქები და სხვა რბილ-რბილი დასაფენი იყო გაშლილი. სპეციალურად იყო გამოყოფილი საკონსულო ადგილი (თუ კონსული არ იყო, მაგ. კოლონიებში, პრეტორის ადგილს უწოდებდნენ მას), მასპინძლის ადგილი და სხვ. ამ სამიდან თითოეულ სარეცელს (რომელზეც თავის მხრივ სამი ადამიანი იკავებოდა ადგილს), თავისი სახელები ჰქონდათ, ზედა, საშუალო და ქვედა.

უკვე ვთქვით, მონადიმეთა კლასიკური რაოდენობა 9 არის-მეთქი, მაგრამ ხშირად გაცილებით მეტნიც იკრიბებოდნენ, რადგან იყვნენ შემთხვევითი სტუმრებიც. მაგალითად, ზოგს თავისთან ერთად „აჩრდილიც“ მოჰყავდა, თავისი მეგობარი, ან ნათესავი, ჩვენთან რომ ჩანგალისტს უწოდებდნენ თავის დროზე. ასეთი ჩანგალისტ-პარასიტონი, მამა-პაპურად რომ ვთქვათ, პარაზიტი, ძალზე ბევრი ვიცი თუ კლასიკური ლიტერატურიდან. გარდა ამისა, შეიძლება ერთ დიდ დარბაზში რამდენიმე ტრიკლინიუმიც გაეშალათ. ჭამდნენ და სვამდნენ ძალიან ბევრს და დანაყრებულები, როცა არც კერძი და აღარც ღვინო ჩასდიოდათ, გულს ირევ-

დნენ და ახალი ენერგიით ერთვებოდნენ ძლიერ დაღვსულ სულში.

თავად „სატირიკონიცი“ არაერთი ასეთი ჩვევა თუ სუფრის ეტიკეტა შემორჩენილი. მაგ. ხელებს გამდნარი და მერე ისევ ჩაცივებული თოვლით იბანენ. თუმცა, როგორც ვნახავთ, ღვინოშიც ხშირად აჭყუმპალავებენ თითებს. ტრიმალქიონი კი ვერცხლის საჩხრეკს იყენებს კბილებისთვის.

ქრონოლოგიურად სუფრა სამ ნაწილად იყოფოდა: თავიდან იყო *promulsis* (ან *gustatio*) - რაც ნიშნავს ხემსს, ცივ საუზმეს. შემდეგ მთავარი ნაწილის დრო დგებოდა, ანუ *coena* და ბოლოს *commisatio* - ნადიმის გაგრძელება, ღამის ნადიმი, დაახლოებით ისე, ჩვენ რომ ვაგრძელებთ ხოლმე გვიანამდე, ბოლო სიმღერამდე და ბოლო ზარხოშიან სიბრძნეებამდე. როცა ყველა სავალდებულო სადღეგრძელო უკვე შესმულია, თამადაც გადაღლილია ან გადამთვრალი და სუფრას შერჩენილი მოქიფებები წარსულს, მომავალს, პოეზიას, პოლიტიკას, სიყვარულსა და სხვა თემებს უღრმავებოდა. კიდევ ერთხელ იხსენებენ მიცვალებულებს, დარდიანობენ, ანდა იცინიან, ხარხარებენ, ერთმანეთის თრეფასაც არ თაკილობენ, ან პირიქით, ხვევნა-კოცნის მორევში იძირებიან.

ნადიმის დაწყებამდე ენკოლპიუსი ირონიით *Libera Coena*-ს უწოდებს ამ ნადიმს, თავისუფალ ნადიმს. ასე უწოდებდნენ ერთგვარ სიკვდილისწინა ტრაპეზას ძველ რომში, რომლითაც გლადიატორებს უმასპინძლებოდნენ არენაზე გასვლამდე.

ქეიფი კი ასე დაიწყო. ჯერ, რა თქმა უნდა ხემსი შემოვიდა. მაგიდის შუაგულში მთხრობელი ხედავს კორინთული ბრინჯაოს ვირს, რომელიც ზურგზე ხურჯინებმოკიდებული დგას, ხურჯინები კი სავსეა თეთრი და შავი ზეთისხილით. ხედავს ორი ვერცხლის თასს შემწვარი ძილგუდებით (პატარა მღრღნელია), თაფლნაპკურებს და ზედ მოყრილი ყაყაჩოს თესლით. იქვე მინოლილიყვნენ შიშხინა ძხვები, ვერცხლის ლანგარზე კი სირიული ქლივლები და ბრონეულის მარცვლები იყო დახვავებული.

პირველი კერძი კალათით შემოიტანეს, კალათში ფრთებჩამოშვებული ხის კრუხი იჯდა, თითქოს კვერცხებზე ზისო. მონებმა მართლაც კვერცხების ამოღება დაიწყეს კალათიდან და აღმოჩნდა, რომ ფარშევანგის კვერცხები იყო, რომლებიც სტუმრებს დაურიგეს. ტრიმალქიონმა, ემანდ ნინილების გამოჩეკვის დრო არ იყოსო და სტუმრებს თხოვა გაეტეხათ თავიანთი კვერცხები. გატეხეს და რას ხედავენ, შიგნით ბალის მსუქანი ასპუჭაჰაა (პატარა ჩიტია, ლათ. *ficedula*) მოთავსებული, კვერცხის გულისა და პილპილის სანებლით მომზადებული.

ასეთი დასაწყისის შემდეგ მთავარი კერძებისთვის დაიწყეს მზადება, ამისთვის კი პირველ რიგში ხელების დაბანა იყო აუცილებელი. გადაიბანეს თუ არა ღვინით და რას ხედავენ! ისევ ღვინო მიართვეს, ამჯერად, რა თქმა უნდა, დასალევად, მინის ამფორებში ჩამოსხმული, თავზე კი ამფორებს მაშინდელი ეტიკეტი (*pittacia*) ჰქონდა დაკრული, ფურცელი, პერგამენტისა, წარწერით - *Falernum Opimianum annorum centum* (ოპიმინესელი ფალერნური, ას-



ნლოვანი), რაც ნიშნავს, რომ ოპიმიუსის კონსულო-ბის დროს იყო ჩამოსხმული ეს ღვინო. ეს ძალზე საინტერესო მონაკვეთია, რადგან კომენტატორების აზრით, პეტრონიუსი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტრიმალქიონის, როგორც ყალბი და ტრაბახა ადამიანის ხასიათს. საკმე ისაა, რომ ოპიმიუსის დროს ჯერ კიდევ არ აკრავდნენ ღვინის ამფორებს ეტიკეტს და ფალერნულიც პირველად კატულუსთანაა ნახსენებო, შესაბამისად, ტრიმალქიონი რაღაცას მაიმუნობსო, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე და-შაქრული ღვინის ავტორზე.

ფალერნულს არაერთხელ ახსენებენ ტექსტში. ერთი საინტერესო მომენტი, როცა აღმოჩნდება, რომ ტრიმალქიონის მსახურებიც კი (მაგ. მასაფის-ტები) ფალერნულს სვამენ. მეტიც, არამხოლოდ სვამენ, არამედ აქცევენ კიდევ, რაც ტრიმალქიონის სიმდიდრის კიდევ ერთ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.

დავუბრუნდეთ ასწლოვან ღვინოს (თუმცა რომანში აღწერილი პერიოდისთვის ეს ღვინო გაცილებით მეტის, 170-180 წლის მაინც უნდა ყოფილიყო). მის შემოსვლას ტრიმალქიონის ძალიან არტისტული რეაქცია მოჰყვება. იგი ამბობს, ვაი რომ ღვინო უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე ადამიანები, ამიტომაც მოდი, დავლიოთ, რადგან ცხოვრება ღვინოაო (*vita vinum est*), რის შემდეგაც მონა გამოჩნდება, ხელში ვერცხლის ჩონჩხით, - რომლის კიდურები, ძვლები და ხერხემალი თავისუფლად მოძრაობდა, ისე იყო ერთმანეთზე გადაბმული, - და ეს ჩონჩხი რამდენიმეჯერ მოისროლა სუფრაზე. ნარმავალობის ეს ვერცხლის სიმბოლო ყოველ ჯერზე სხვადასხვა პოზას იღებდა დავარდნისას, პარალელურად კი ტრიმალქიონი უცნაური საზომით დაწერილ ლექსებს დეკლამირებდა და იყო ერთი ამბავი და მასპინძლის ქება-დიდება, რომელიც მალევე შეცვალა აღტაცებამ, ახალი კერძით გამონეულმა.

ახალი კერძი დიდ ლანგარზე წრიულად იყო განლაგებული. ლანგარზე ზოდიაცოს 12 ნიშანი იყო ამოტვიფრული და თითოეულზე კონკრეტული კერძი იდო. ვერძზე - მუხუდო (*cicer arietinum*, ცხვრის ბარდა), კუროზე - საქონლის ხორცის ნაჭრები, ტყუპებზე - თირკმლები და ყვერები, კირჩხიბზე - გვირგვინი, ლომზე - აფრიკული ლეღვი, ქალწულ-

ზე - უშობელა ღორის საშვილოსნო, სასწორზე - ნამდვილი სასწორი იდო, ერთ პინაზე ცხელი კვერით, მეორეზე კი ღვეზელით, ღრიანკალზე - ზღვეთევი, მშვილდოსანზე - ოკლოპეტუსი (ზღვის უღვინობი ცხოველია, ალბათ კიბოსნაირი), თხის რქაზე - ზღვის კიბორჩხალა, მერწყულზე - ბატის ხორცი და თევზებზე - ორი ხონთქარი (ბარაბული). ლანგარის შუაში ლამაზად გაკრეჭილი მწვანე ჯეჯილი ბიბინებდა, სადაც თავლის მოზრდილი ფიჭა იდგას დასვენებული.

მოგვიანებით კიდევ ერთი დიდი ლანგარი მოაქვთ, რომელზეც ფრინველი, ღორის ცურვი და კურდღელია მოთავსებული, თან კურდღელი სუბუმბულითაა შემოსილი და პეგასს ჰგავს. ლანგაროთხკუთხედია და ოთხივე კუთხეში მარსიასის ფიგურებია დადგმული. მარსიასებს ხელში ტიკებს უჭირავთ, ტიკებიდან კი ცხარე სანებელი მონთვის და პირდაპირ თევზებს შორის ჟონავს, რომლებიც ამ კომპოზიციის გარშემო მოწყობილ არსებებს „დაცურავენ“.

დადგა უზარმაზარ ტახის ჯერიც, რომელსაც თავზე ქუდი ეხურა და პირში პალმის რტოებისგან გაკეთებული ორი კალათა ეჭირა - ერთში სირიულ ფინიკები იყო, მეორეში კი თევზური. ტახის გარშემო ცომისგან მოხელილი და გამომცხვარი გოჭებს შემოკრებილიყვნენ, რომლებიც თითქოს ძუძუს ნორს დნენ.

დაიწყეს ტახის დაჭრა, სუფრაზე მოსართმევად ატაკეს დიდი სანადირო დანა ფერდში და უცებ იქიდან შაშვები გამოფრინდნენ, აფრთხილდნენ და ტრიკლინიუმის თავზე დაიწყეს ტრიალი, მაგრამ მანამდე დაიჭირეს მსახურებმა და სტუმრებს დაურთვეს საჩუქრად.

ეს ტახი მოგონებებისთვის განაწყოებს სტუმრებს და იწყება სხვა ასეთივე კერძების გახსენებებიც. მაგ. ერთი ვინმე გაბინა აღწერს სუფრას, სადაც ძეხვეულით მორთულ-მოკაზმული მთლიან ღორი შემოიტანეს, გარშემო კუჭმაჭითა და ტუბოლი პიურეთი შემონყობილი. სახლში გამომცხვარი შავი პური (რომელიც გაბინას თეთრს ურჩევნია) ცივი ღვეზელითა და ცხელ თაფლთან შეზავებულ საუცხოო ესპანური ღვინით. გარნირად ბარდათხილ-ნიგოზი, ვაშლი და ხანჭკოლა მოწყობილია.



ლოს დათვის ხორცი შემოუტანიათ და მთხრობელი ამბობს, ტახისასა ჰგავდა ძალიანო. მოკლედ, წავაწამოვა, ისევე ამ ქუდიან ტახთან მიდის გაბინა, თან დათვის ჭამას შემდეგნაირად ამართლებს: დათვი ადამიანებს ჭამს, ადამიანები კი ვალდებული ვართ დათვი ვჭამოთო. კიდევ ყოფილა ახალ ღვინოში ჩაბუჭებული ჭყინტი ყველი, ლოკოკინები, მცირე პორციებად დაყოფილი ღვიძლი (ჩვენთან რომ კანაპეებს უწოდებენ), გულსართიანი კვერცხი, დაკეპილი შიგანურები, თალგამი, მდოგვი, თხლად დაჭრილი ხორცი, ზეთისხილის მწნილი.

ღორის თემა ამით არ სრულდება, რადგან სამ თეთრ ღორს შემოლაღავენ ტრიკლინიუმთან, 2 წლისას, 3 წლისას და 6 წლისას და ტრიმალქიონი კითხულობს, რომელი გინდათ დაეკლაო?! ნადიმი ძალაში შედის, მასპინძლებში არტისტიზმი მატულობს, სტუმრებში კი აღფრთოვანება. დროა კიდევ ერთი სცენა გაითამაშონ - მთლიანად შემწვარ ღორს შემოაბრძანებენ და ტრიმალქიონი აყვირდება, როგორ გაბედეთ, გამოუშინავი ღორი როგორ შეწვითო. დაუძახებს მზარეულს, გააფატრინებს ღორს და გადმოიყრება განასერიდან ძეხვეული - სისხლიანი თუ შებოლილი და შემწვარი.

ქუდიანი ტახი ხომ გვყავდა უკვე? ახლა დროა მუზარადიანი მოხარული ხბოც შემოვიდეს, რომელსაც ტროას გმირი, აიასი მოყვება ხელში ხმლით, თავს იგიჟიანებს, როგორც მითშია და ასე შლეგური დანის ტრიალით ჭრის და აქუცმაცებს ხბოს, თანაც მუსიკის თანხლებით. შემდეგ ცოტა მშვიდდება და ნაჭრებს სტუმრებს ურიგებს.

შლეგ აიასს კიდევ ერთი გასტრო-თეატრალური სცენა მოსდევს. ჭერიდან დიდი რგოლი ჩამოდის, ზედ მოკონწიალე სხვადასხვა ნივით, მაგიდაზე კი ამ დროს ნამცხვრები შემოდის, ცენტრში ცომისგან მოზელილი და გამომცხვარი პრიაპოსის (ფალოსს რომ უწმობენ) გამოსახულებით, რომელსაც ვაშლით, ყურძნით და სხვ. რამეებით სავსე კალათა უჭირავს. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ყველა ნაყოფი ზაფრანის წვენითაა გაჟღენთილი და ხელს

შეახებენ თუარა სტუმრები, მაშინვე ნაყოფები და სტუმრებს სახეში ესხმებათ შიგთავსი.

ასე განუწული სტუმრები უკვე დასკვნითი კერძებისთვისაც არიან მზად, ნიგვზითა და ქიშმიშით დატენილი შაშვებისთვის, ნემსებიანი სიდონიური ვაშლებისთვის (ვითომ ზღარბები არიან). და უცებ მოდის მონსტრი. რალაცა ისეთი შემოდის, რაზეც სუფრის წევრები ცუდად ხდებიან. ერთი შეხედვით კერძი თითქოს მსუქან ბატს ჰგავს, თევზითა და სხვადასხვა ფრინველით გარშემორტყმულს, ტრიმალქიონი კი ამბობს, ეს ყველაფერი ღორის ხორცისგანაა დამზადებულიო. კაცს (ქალსაც) თანამედროვე მოლექულური გასტრონომია გეგონება, ისეა გადათამაშებული ყველაფერი. ღორის საშოსგან თევზს შექმნიან, ღორის ქონისგან მტრედს, ბარკლიდან გვრიტის ბარტყს ან წინილას. ყველაფერ ამას ტრიმალქიონის მზარეული ამზადებს, რომელსაც იგი დედალოსს უწოდებს სახელად და მას საუკეთესო დანებით ანებივრებს, საუკეთესოდ კი მაშინ ნორიული დანები (Noricum) მიიჩნეოდა.

მოკლედ, ასე მიმდინარეობდა ტრიმალქიონის ნადიმი, მთვრალებს თავზე გვირგვინები ედგათ, ცოლებს ან საყვარლებს ეყრდნობოდნენ, აღარც ჭამის თავი ჰქონდათ ალბათ და აღარც სმის და მუსიკობის.

ტექსტში არაერთ ფრთიან გამონათქვამს შეხედვით, რომელიც ღვინოსა და სამზარეულოს შეეხება. ამ მხრივ „სატირიკონი“ ნამდვილი საგანძურია. მაგალითად ასეთი სიტყვებიც გვხვდება: *Post asellum diarium non sumo*, რაც ნიშნავს, რომ ძვირფასი თევზის შემდეგ უბრალოს, ყოველდღიურ კერძებს არა ვჭამო.

Lacte gallinaceum - მამლის რძე. ჩვენებური ჩიტის რძის ზუსტი შესატყვისია. მამლის რძე არ აღადა სუფრასო, ასე იტყვოდნენ.


თუმცა მე ყველაზე მეტად ეს მომწონს: *Aquam foras, vinum intro!*

წყალი გაძევდეს, ღვინო გამოიტათ!



ჯაბა ზარქუა

ერთი იატაკი ასკრონიანები



ბოქომილ პრაბალი, ემსახურებოდი ინგლისის მეფეს, ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიგულაშვილმა, თბ. „დიოგენე“, 2014.

ყურადღებით მისმინეთ, აი, რას ვიამბობთ. ამდენი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, როდესაც ჩემმა დალაქმა დაავიანა. ცოტა უცნაურად მეჩვენა ეს ამბავი მისგან, ადამიანისგან, რომელიც ჩანერით იღებდა კლიენტებს და ცოცხალი თავით არ აძვირებდა მომსახურების საფასურს - 5 ლარს ფეხს არ უცვლიდა წლების მანძილზე. მგონი, ერთადერთი, ჩემი დალაქის მომსახურების ფასი არის ჩვენს ქვეყანაში სტაბილური. ისე კი არ იფიქროთ, თითქოს პრეტენზიული კლიენტი ვიყო და ძალიან ვწუხებდი 10 წუთით დავიანების გამო, არავითარ შემთხვევაში. იქნება და რა უჭირს ადამიანს, იქნება და სადღაც ჭამა გაუგრძელდა ან რომელიმე პრეტენზიულ კლიენტს გადაჰყვამ თან, ან სულაც იმ ბავშვის ბრალი იყო ყველაფერი, რომელიც სკამზე იჯდა და მიგადაშიგ უკმაყოფილოდ წამოიკნავლებდა. ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ ახლა ამ მიზეზების ჩხრეკა ჩვენი საქმე არაა, რადგან უფრო მნიშვნელოვან რამეზე მინდა გელაპარაკოთ. კერძოდ კი კაცზე, რომელიც კა-

ცად ვერ შედგა, თუმცა კი ეთიოპიის იმპერატორ ემსახურებოდა. ემსახურებოდა რა ახლა, სულ ერთხელ მოემსახურა, რაც არასდროს დაავიწყდება. საოცარი სცენა იყო - ეთიოპიელი მზარეულები სამზარეულოში ფუსფუსებდნენ და ფრიად უცნაურ კერძს ამზადებდნენ. კერძს, რომლის გემოც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის წარმოუდგენელი იქნება. აბა სცადეთ წარმოდგენა - ჯერ იყო და აქლემი დაკლეს, რაც უკვე უცნაურია. დარწმუნებული ვარ, უმეტესობა თქვენგანი ცხოვრებაში არ გაისინჯავს აქლემის ხორცს, ან კი რა გასასინჯის მაგრამ ჯერ სად ხართ. დაკლულ აქლემში კობჭად ჩააწყვეს ორი ცალი ანტილოპა (ცხადია - ესენი) დაკლულები, ალბათ გაპუტულებიც, ანტილოპებში გოჭები, გოჭებში ინდაურები, ინდაურებში თევზები და ცარიელი ადგილებში კი, რომლებიც ხორცსა და ხორცს შორის აუცილებლად დარჩებოდა მაგრად მოხარული კვერცხები ჩაალაგეს. სწორედ ეს კერძი მითარგვს ეთიოპიის იმპერატორს და სხვა სტუმრებს და სწორედ ამ დროს მოემსახურა ჩვენი წიგნის მთავარი გმირი მის უდიდებულესობას, რაც ცხოვრების ბოლომდე არ დაავიწყდება, რადგან ამ სამსახურის დასაფასებლად მიიღო ბაფთა, რომელიც თვით იმპერატორმა უბოძა. თუმცა ბაფთა იქით იყოს და დასაწყისებთან მინდა დავბრუნდე მცირე ხნით და იქიდან განვაგრძოთ თხრობა.

ცხოვრება ასეა მონყობილი - პირველად ქალგაჟიმავე და მერე ყველაფერი ირევა თავში. პანდიტეს შემთხვევაშიც ასე მოხდა, თუმცა „პან“ იმ დროს ნამდვილად არ ეთქმოდა ერთ რიგით პიკოლიკს, ხელის ბიჭუნას. პანობამდე ბევრი უკლავდა თუმცა თავისი ცხოვრების მიზნად სწორად ეს დასახსნა - გამხდარიყო დამსახურებული, შემდგომ პატივცემული და საზოგადოებაში გათქვეფილი კაცი, ნამდვილი კაცი. მის მიზანსწრაფულობას მისი ფიზიკური ნაკლიც უწყობდა ხელს - ძალიან დაბალი იყო და მოგესხენებათ, დაბალ ხალხს უფრო მეტი შრომა უწევს, ვიდრე მაღალს, თუმცა შრომას ჩვენი პიკოლიკი არასდროს უშინდებოდა. ერთი რამ მინდა სწორად გაიგოთ, ეს არ იყო იმ ტიპის ადამიანი, რომელიც რაღაცის მოსახვეჭად აკეთებს ყველაფერს. არც ქალები იყო მისი თვითმიზანი საბოლოო ჯამში, არც მდიდრულ საცხოვრებელი და არც საკუთარი ბიზნესი. ყველაფერი მხოლოდ საშუალებად ესახებოდა. ნამდვილი კაცებში გათქვეფის საშუალებად, თორემ განა ფულს გამო აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა? ნურას უკაცრავად. ასე რომ, განავადებო გონებიდან ახლა ყველა ის ახალგაზრდა კარიერისტი, რომლებიც მრავლად გინახავთ სამთავრობო სტრუქტურებში თუ სულაც პარლამენტში და განაგრძეთ კითხვა, სხვა შემთხვევაზე გესა-

უბრებით, არა ბანალურზე.


სასტუმროდან სასტუმროში გადაბარგებისას თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა ჩენი პატარა ბიჭუნა. ერთხელაც ერთ-ერთ სასტუმროში უცნაური მსუქანი კლიენტი შეხვდა, ერთი ვაჭარი ვინმე, რომელსაც ძალიან მოაწონდა თავი და რომლის ნომერშიც ისეთ სცენას შეესწრო, რაც მის შემდგომ ცხოვრებას თან გაჰყვა - ასკრონიანები იატაკზე ჰქონდა გადაშლილი ვაჭარს და დიდი სიამოვნებით თვლიდა და აწყობდა. მიხვდა პიკოლიკი, რომ ოდესღაც თავადაც ასე უნდა ყოფილიყო, ეს იყო მისი სულიერი მდგომარეობა, სწორედ ასე უნდოდა ფულს მოპყრობოდა. „ერთი იატაკი ასკრონიანები“ - ფული ასე დიდებულად არავის აღუწერია მგონი. სწორედ ამ ერთი იატაკი ასკრონიანების შეგროვებისთვის დაიგემა პიკოლიკი და განაგრძო გზა.

თავიდან ცოტა დაბნეული ვიყავი მისი ცხოვრების შემყურე. ახლა, როცა სადალაქოში ვდგავარ და ჩემს რიგს ველი, ჩანანერებს ვათვალისწინებ მობილურში, რომელსაც კითხვის დროს ვაკეთებდი და ერთგან მიწერია: „მაგარი თხრობის სტილი აქვს, დამაბნეველი, სწრაფი, მკაფიო“. ჰო, თან დამაბნეველი და თან მკაფიო, სწორედ ასე წერს ბოქსში ჰობაბალი და მისი ეს ნაწერი ნამდვილად არ არის განკუთვნილი ზედაპირული და შემდგარი ადამიანებისთვის, პირიქით - თავის თავში დაკარგულები, ვერგარკვეულები და თავმოუბმელები თუ შეძლებენ ბოლომდე მიყვნიენ ამ იდეალურ ბოდვას, რომელიც ბოდვის კვალობაზე საკმაოდ მკაფიო და დამაჯერებელია. კიდევ ერთი სტილისტური უცნაურობა, რომელმაც კარგა ნახევარი წიგნის განმავლობაში დიდი კითხვები გამიჩინა, იყო ავტორის დამოკიდებულება დროსთან - ვერაფრით მივხვდი, რა ეპოქაში ვითარდებოდა მოქმედება. ეს სასტუმროები, რომლებიც მოწყვეტილები იყვნენ რეალობისგან, თითქოს იზოლირებულად, ცალკე სამყაროში არსებობდნენ და მხოლოდ იმისთვის იყვნენ საჭირონი, რომ პიკოლიკის ცხოვრების გზა დაემშვენებინათ, სხვა არაფერი, არანაირ ობიექტურ და თვითმყოფად რეალობას ისინი არ გამოხატავდნენ. ერთი პირობა იმასაც კი ფიქრობდი, მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თუ ვითარდება-მეთქი, მერე აზრი შემეცვლებოდა და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გადმოვვარდებოდი, ბოლოს კი ჩემს მარჩიელობას ბოლო მოელო, გავიგე რა, რომ მოქმედება მეორე მსოფლიო ომამდე, ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდს აღწერდა. ყველა ეპოქაზე მივიტანე ეჭვი ამის გარდა, ესეც საგულისხმოა. მეორე მსოფლიო ომზე როცა წერენ ხოლმე, ძირითადად ასე პირდაპირ, მოურიდებლად და ნაჯახივით გაჯახებენ ცხვირში ეპოქას და დროს, მთელი თავისი ზიგ ჰაილებითა და ამბებით. საბედნიეროდ, ასე არ ხდება ამ წიგნში. ავტორი მკითხველზე აშკარად დიდი წარმოდგენისაა, აკი გითხარით, რომ შემდგარი თავდაჯერებულები ტყუილად ნუ დაეჭიდებით ამ წიგნს, არაა თქვენთვის-მეთქი! რამე სხვა იკითხეთ დროის მოსაკ-

ლავად ან ფილმებს უყურეთ, მაგალითად „დღის სილა“ გაქეთ ნანახი?

ჰო, დაფუბრუნდეთ ისევე პიკოლიკს, რომელიც ისევე პიკოლიკი იყო ჯერ კიდევ და პანობისგან შორს იდგა. ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა, თუმცა უეცრად თხრობაში ღიზა შემოეხება, გერმანელი ქალი, რომელსაც ქუჩაში ამცირებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ჩეხები. ამ გერმანელმა ქალმა პიკოლიკის ცხოვრება მთლიანად გადაიყვანა ჩვეული რელსებიდან. რას ვგულისხმობ იცით? აი ასეთი პერსონაჟისგან ყველაზე ნაკლებ წარმომედგინა რომ სიყვარულის გამო თავს დაკარგავდა და ერთი იატაკი ასკრონიანები დაავინყდებოდა. განა ჩაგრული გერმანელი ქალის გამოსარჩლებით საზოგადოებაში დამკვიდრებას და პატივისცემას დაიმსახურებდა? ცხადია, ვერა. მაშ რატომ გააკეთა ეს? რატომ დაიცვა ღიზა, რომელსაც ჩეხები ჩაგრავდნენ? ამის გამო თანამშრომლებისგან სახეში ფურთხებაც კი დაიმსახურა. რა ძალა ერჩოდა? დატყულები იმ თავის ტყავში და განვითარებულიყო ნელ-ნელა, ყველაფერი კარგად მიდიოდა თან. მართალი გითხრათ, ამ უცაბედი შემოტრიალებით მაგრად დავიბენი, ცოტა არ იყოს, და გავავარძელე კითხვა. ერთი ლოგიკური ახსნა ის რჩებოდა, რომ ამ ქალის შემწეობით აპირებდა ნამდვილ კაცად გახდომას მომავლის საზოგადოებაში. აჰ, ნუთუ გული უგრძობდა რომ გერმანელები მალე მთელს მსოფლიოს მოედებდნენ და დააფასებდნენ მას, როგორც ვაჟაკ ჩეხ ადამიანს, რომელმაც ჩაგრული გერმანელი ქალი აგრესიისგან დაიცვა და თავის თავზე იწვინა აგრესია? ვინ იცის, შეიძლება გულის სიღრმეში ეს განზრახვაც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ღიზაზე დაქორწინდა და შვილიც კი გაუჩნდათ. თავიდან რომ მეგონა მაგრად უყვარს ეს ღიზა-მეთქი, მერე სხვანაირად ვუყურებდი მათ ურთიერთობას. მას შემდეგ რაც გერმანელები მთელს სამყაროს მოედვნენ და ღიზას უკვე ვერავინ ჩაგრავდა, არამედ პირიქითაც კი იყო, პიკოლიკი მაინც პიკოლიკად რჩებოდა. არავინ შეეგება მას ხელგაშლილი, რადგან მაინც ჩეხი იყო, თან დაბალი ჩეხი, დაბალი ჩეხი კი ტანადი არილებისთვის აბა როგორი ასატანი იქნებოდა? იმას ვერ ეღიროს, რომ ხელი ჩამოერთვათ მისთვის, თუნდაც ქორწილში. ძალად არ აგდებდნენ. ოპერაცია „ღიზა“ კრახით დასრულდა, შეიძლება ასეც შევაფასოთ, თუმცა ქალმა მის კაცად შედგომაში მაინც ითამაშა დიდი როლი, რადგან ფრონტიდან დაბრუნებულმა დახოცილი ებრაელებისთვის წართმეული მარკებით სავსე მთელი ჩემოდანი ჩამოუტანა. ძალიან ძვირფასი მარკები იყო, ერთი კი არა, კარგა ასი იატაკი ასკრონიანების საფასური იქნებოდა. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ამ ჩემოდანს ჰერ დიტე და ასე ნელ-ნელა მათი სიყვარულიც ყველაფერს დაემსგავსა, გარდა სიყვარულისა.

სხვათა შორის, ეს საკითხი ძალიან კარგად არის აღწერილი ამ წიგნში, ვგულისხმობ სიყვარულისა და ტოტალიტარული სისტემის დამოკიდებულე-



ბას ერთმანეთთან. ხედავ, თუ როგორ იწყება ორი ადამიანის ურთიერთობა დიდი ვნებითა და თავგანწირვით და შემდეგ როგორ შთანთქავს ძალაუფლება ამ ურთიერთობას. ჰო, ჰერ დიტესა და ლიზას სიყვარულმა ვერ გაუძლო მესამე რაიხის ზენოლას და მალე ჰერ დიტე ერთი გულანთებული შეყვარებულიდან რაიხის გამრავლების საშუალებად იქცა. როდესაც გერმანელ ექიმებთან შარვალჩახდილი იდგა და ისინი ამომებდნენ მის მამაკაცურ ღირსებას და სთხოვდნენ სპერმის ჩაბრუნებას, რათა გადაენწყვიტათ, ჰქონდა თუ არა უფლება ამ დაბადე ჩეხს გერმანელი ერის გამრავლებისა, სწორედ ამ დამამკვირებელ დროს დაფიქრდა თავის თანამემამულეებზე, რომლებსაც ამ ექიმების თანამემამულეები ამ წუთებში დიდი ალბათობით უმონყალოდ ექცეოდნენ, თავად კი იდგა და ანძრევდა, რათა სპერმა ჩაებარებინა და მიეღო საკუთარი ცოლის განაყოფიერების უფლება. ერთით ნული სისტემის სასარგებლოდ სიყვარულის წინააღმდეგ. არადა, რამხელა შანსი ჰქონდა პიკოლიკს რომ მართლა კაცად ქცეულიყო და მიუხედავად იმისა, რომ სამშობლო გაეყიდა, ნამდვილ სიყვარულში დაკარგულიყო და შემდგარიყო, თუმცა სისტემამ ძლიერი ალიყური მისცა და მინაზე დააბრუნა. არანაირი სიყვარული, არანაირი მაღალი გრძნობები, ამ საზოგადოებაში ის ვერასდროს შედგებოდა კაცად და ამიტომაც დაიწყო სისტემის ნგრევის ლოდინი მორჩილად. გულში ისევ თავის თანამემამულეებზე დარდობდა და იმედი ჰქონდა, რომ ერთ დღესაც ჩეხეთში დაბრუნდებოდა და დაეხსნებოდა წყეულ გერმანელებს... და აი, დადგა ის ნანატრი დღეც, როცა ლიზას ბომბმა თავი ნააცალა, რაც დიდად გულთან ახლოს არ მიუტანია. არც შვილი უდარდა, ერთადერთი რაზეც ფიქრობდა - ებრაელებისთვის წართმეული მარკებით გაძეპვილი ჩემოდნის ამოიღლიალება და სამშობლოში დაბრუნება იყო.

ომის შემდგომ ჩეხეთში პიკოლიკი, როგორც იქნა, იქცა პან დიტედ. თავისი სასტუმრო ააშენა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მდიდრებში. ყველაფერი თავის გემოზე მოაწყო და ნელ-ნელა გამოჩნდა ნარჩევი საზოგადოების რუკაზე, თუმცა ბედნიერება დიდხანს არ დასცალდა - ექსპროზორიაცია! ჰო, ხელისუფლებამ დაუარა მილიონერებს და ყველაფერი ჩამოართვა და რამდენი მილიონიც ჰქონდათ ნაშთები, იმდენი წელი მიუსაჯა. რა საშინელებაა! არა, ნამდვილად არასწორად გაუგეთ ახლა თქვენ პან დიტეს. საშინელება ის კი არ იყო, რომ მილიონერები დააპატიმრეს და ძველი მონასტრის შენობაში გამოკეტეს, არამედ ის, რომ ამ მილიონერებში პან დიტე არ მოხვდა! ეს კი ნამდვილად საშინელება იყო. აბა, განა რად უნდოდა ან ის ორი მილიონი, რომელიც დაგროვილი ჰქონდა, ან ის სასტუმრო, რომელიც კარგად გაემართა, თუ ის ხალხი, რომლისკენაც ისწრაფვოდა, მის გვერდით არ იქნებოდა? ადგა და დიდი ხვეწნა-მუდარით ჩააბარა თავისი ქონება სახელმწიფოს, რომელსაც მილიონერთა სიიდან გამორჩენოდა პიკოლიკი და ამიტომაც არ შეხებია ნაციონალიზა-

ცია. ჩააბარა ქონება და ჩაჯდა თავის თანამომხრებთან ერთად, რომლებიც, მიუხედავად წარსულ წარმატებისა, მაინც პიკოლიკად აღიქვამდნენ და დიდად არც სცნობდნენ. ძალიან ტრაგიკული იყო ეს ფაქტი.

ისე ამ მონასტერზე და ნაციონალიზაციას მინდა ცოტა ხნით თქვენი ყურადღება გავამახვილო. ბოჰუმელ ჰრაბალი ძალიან მაღალი ოსტატობით დასცინის სისტემას, როცა მილიონერების ყოფას აღწერს ციხე-მონასტერში. კი, ვითომ მდიდრებს წაართვეს და ღარიბებს მისცეს, ვითომ სახელმწიფომ იზრუნა თავის ხალხზე, მაგრამ სინამდვილეში ამ მილიონერების ციხე-მონასტერში ყოფას თუ დააკვირდებოდით, არაფერი დასჯილების მათ არ ეტყობოდათ. ნაირ-ნაირ კერძებს მიირთმევდნენ, რისთვისაც ფული გამოჰქონდათ რაღაც მანქანებით და მათი მცველი სახელმწიფო პოლიციაც არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან ქვიფის თანამონაწილეები ისინიც იყვნენ. კერძებს იქით იყოს და არც ქალბები და მუსიკას იკლებდნენ მოკლედ, ერთ განცხრობაში იყვნენ და თითქოს მოსწონდათ კიდევ იქ ყოფნა, რადგან ფულის მოყვანის დროს თავისი თავისთვის ვერ იცლიდნენ და იქი უსაქმოდ ყოფნისას, „დაკავებულებმა“, პირველად შეიგრძნეს თითქოს ამა ქვეყნის სიტკბოება. სახელმწიფოსა და კაპიტალის ასეთი მახინჯი დტრაგიკომიკური გადაბმა ერთმანეთზე, ბარე ორგან არ მექნება ნაკითხული.


ამ გახსენებაზე, არ შემოძლია, ერთი პერსონაჟიც არ ვახსენო, რომლის მეშვეობითაც ჰრაბალ გროსმაისტერის სიზუსტით აღწერს დროს, რომელიც მიდის - მიდის უაზროდ, უკვალოდ, ბუზღუნით. ეს ცოტა უფრო ადრე იყო - სასტუმრო „ტროხოტას“ პირველი სტუმარი მყავს მხედველობაში მოხუცი გენერალი, რომელიც გემრიელ საქმელს გეახლებოდათ, სვამდა, ჟიმაობდა ნაირ-ნაირ ქალებთან, არაფერს იკლებდა და მაინც ყველაფერი უკმაყოფილო იყო. რითი უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო? ალბათ იმით, რომ მოხუცდა და მიდის კი მაგრამ, ასეთ სიბერეს ხომ ბარე ორი ინატრები და? კი ინატრებდა, მაგრამ ზუსტად ეგაა ამ პერსონაჟის მთავარი არსი, რომ მიუხედავად ყველაფერისა, მაინც უკმაყოფილო იყო, წასვლის გარდაუვალი შესაძლებლობით უკმაყოფილო, ალბათ.

არ აქნყო პიკოლიკის ცხოვრება საბოლოო ჯამში. ბოლოს ის ერთ ქოხმახში ცხოვრობს ცხენთან, თხასთან და კატასთან ერთად. სრულიად მარტო. არც ერთი იატაკი ასკრონიანები არ აქვს და ვერც პან დიტე გახდა, როგორც წარმოედგინა. თუმცა ერთი, რაც არის, ის შემორჩა რომ-სარკის წინ დგას, ოფიციალტის ძველი ფრაკი აქვია და მკერდზე ეთიოპიის იმპერატორის ნაჩუქარი ბაფთა უკეთია. მაგრამ ეს ეთიოპიის იმპერატორი იყო მაინც და არა ინგლისის მეფე. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ინგლისის მეფის მსახურების მაინც ვერ შეძლო.

მე კი სადალაქოდან გამოსულს ერთი კითხვა მანუხებს ამასობაში - ნეტავ რაში დაეხარჯავდ ერთ იატაკ ასლარიანებს?

გიორგი შალიკაშვილი

ცოტა რამ სახვითობის პრობლემის შესახებ



რა არის სახვითობა? რასთან აქვს კავშირი სახვითობას? როცა ადამიანი გამოსახავს, გამოდის, რომ მას რაღაც ვიზუალური უკავშირდება?...

შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება, როგორც ასეთი, აუცილებლად არის ის, რაც ადამიანს უკავშირდება, რადგან, თავისთავად, ისედაც არსებობს ხატულობები სამყაროში, თუნდაც, ცხოველების მოხატულობა, თევზების, ფრინველების, ქვების, ხეების, წელინადის დროების შეფერილობა და ა. შ. თავისთავად, სამყარო შეფერილია და ფორმადქმნილი.

მაგრამ, რა ხდება, როცა ადამიანი ქმნის ახალ შეფერილობას, ახალ ფორმას? შემდეგ კი - თავის კონტექსტს და კონცეპტსაც? რატომ ჩნდება ადამიანში გამოხატვის სურვილი?

წარმოდგენილი, პრეზენტირებული სამყარო არის ერთგვარი მოცემულობა. ეს მოცემულობა რაღაცას მალავს. მალავს არარსებობას. ესე იგი, ჩვენ არ ვიცით, არარსებული რა არის. მაგრამ რთულია წარმოიდგინო, რომ არაფერი არ არსებობდა, რადგან რასაც ვქმნით, რაღაც არსებულებიდან ვქმნით. თავისთავად, არაფრიდან მატერიის შექმნა შეუძლებელია.

ამიტომ, ალბათ, თავის ბოლო შესაძლებლობაში, ხელოვნება არის თამაში ფორმებით, ფერებით, ბგერებით და ა. შ. (მაგრამ როგორ ი თამაში?!).

ერთადერთი, ადამიანი რასაც უსხეულოდ ქმნის, ეს მისი აზრია. ცნობიერებას არ აქვს არანაირი საგნობრიობა, თუმცა, ცნობიერება საგნების გამოცდილებიდან არსებობს. აზროვნებით თამაში ხდება ხელოვნება, და ეს აუცილებლად ჩნდება ფორმაში, ინერება, გამოითქმება და ა. შ. სიტყვაც ხომ მატერიაა, ბგერების და ტალღების ერთობლიობა. თუმცა, ადამიანი ხელოვნებას იყენებს თავისი პრობლემების გამოსახატავადაც. ანთროპომორფულ სამყაროში ადამიანის ძალაუფლება უზენაესია. მან ხელოვნება თავისი გამოხატვის სივრცედ გაიხადა. სამყაროსგან “ნასწავლი” რეპრეზენტულობა ადამიანმა თავისი პრობლემების განსახილველ სივრცედაც აქცია.

ესე იგი, ხელოვნება ადამიანისთვის ზოგჯერ არის “თამაში” და ზოგჯერ - საფუძველი პრობლემაზე ფიქრისთვის. თუმცა, ორივეს გადათამაშებაც შესაძლებელია. ხელოვნებით გამოხატული პრობლემები შეიძლება იყოს ყველანაირი სახის და კონტექსტის, განსაკუთრებით ფილოსოფიური, სოციალური და მრავალი სხვ.

უდარდულობის დისკურსი, რომელიც ხელოვნებამ შეითვისა, მხიარულია და ადამიანი ხარობს იმ ჰარმონიისა და კანონზომიერებების აღმოჩენით, რომლებიც ფორმებს, ფერებს, ბგერებს აქვს და ა. შ. მხატვარი კმაყოფილია, რომ მას აქვს საღებავი, მას აქვს ტილო, მას აქვს ფუნჯი, მას

ჰყავს ნატურა და ის იწყებს ფერის "გარდაქმნას" ქალად და ქალისა - ფერად. ის ცდილობს იგრძნოს ქალი და ექსტაზურად "ჩაიძიროს" ყოფიერებაში, მიმესისით, ბაძვით გადმოაქვს ტილოზე თავისი კონსტრუირებული რეალობა. თითქოს პრობლემა არ არსებობს, მაგრამ კულტურის ტერიტორია ამ ნამუშევარს უამრავ პრობლემას შეუქმნის...

თავისთავად, არც ერთ ნამუშევარში არანაირი პრობლემა არ არსებობს. პრობლემა ჩნდება მაშინ, როცა ის კულტურაში იწყებს ავტორიზაციას და ეს ავტორიზაცია წამიერად ხდება, როცა ჩვენს ნამუშევარს შევხედავთ. აქ ხდება ნაკითხვა კულტურულ კონტექსტში, და იმის გამოკვევაც, თუ რომელი ვიზუალური სამეტყველო ენის განმეორებაა ეს ნამუშევარი, როგორია ის თვისობრივად და რამდენადაა პირველადი ან მეორადი ტექსტი, ვინაა ავტორი და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ხელოვნება, როგორც ასეთი, ამ სახით არ არსებობდა უნინ და არც ასეთი ჰერმეტიული იყო ვიზუალურ ენებს შორის სივრცეები. პირველადი ხელოვნება უფრო რიტუალური შინაარსიდან იქმნებოდა და ამიტომ არ არსებობდა "ხელოვნება ხელოვნებისთვის". რენესანსის დროიდან დაიწყო ხელოვნების, როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული ენების სიმრავლის ავტორიზაცია. მხატვრობაში სხვადასხვა მიმართულებები, სტილები გაჩნდა. იყო სხვადასხვა ოსტატი და სხვადასხვა შედეგი. თუმცა ეპისტემე მაინც ერთი იყო.

ადამიანმა ხელოვნებაშიც ის გაიმეორა, რაც ენასთან მიმართებაში მოხდა. ყველა სხვადასხვა ენაზე "ალაპარაკდა"...

ხელოვნებას მოშორდა ის ნორმა, რასაც ესა თუ ის რელიგია და დიქტატი აწესებდა. თავად რელიგიას სჭირდებოდა გამოსახულება იმისთვის, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო რელიგიური ტექსტები. ფაქტობრივად, რაღაც პერიოდი ხელოვნება ტექსტებისა და წინასწარმეტყველებების, მითების სტრუქტურაზე იდგა.

დღეს კი ადამიანი თავისთავად მარტოა, რასაც უნდა იმას გააკეთებს, მაგრამ აქ უკვე ვიზუალური ენები იწყებენ დიქტატს და სრულიად გაუცნობიერებლად ასიმილირდებიან ადამიანის თავისუფალი გამოხატვის ნებაში.

ამიტომ, დღეს, შესაძლოა, მითები უფრო თავისუფალი სივრცე იყოს ინსპირაციისთვის, ვიდრე - რომელიმე ვიზუალური ენით გართობა.

მაგრამ, ხელოვნანის პრობლემა არ უნდა იყოს ის, თუ რა გამოსახოს და როგორ გამოსახოს.

პრობლემა არის ის, რომ ხელოვნანმა განასხვაოს თავისი ენა სხვათა ენისგან, რადგან, როცა ის თვითონ სხვის ენაზე ამეტყველდება, ეს მეთყველება კულტურისთვის სიჩუმე იქნება, იმიტომ, რომ ამ ენაზე უკვე სხვა მეთყველებს. ესე იგი, ეს სივრცე მკაცრად ძალაუფლებრივია, თუმ-

ცა ხელოვნანს შეუძლია იმეტყველოს სხვის ენაზე, მაგრამ ეს მაინც თავის თავთან დააკავშიროს; რაღაც ისეთი კონტექსტი შექმნას, რომელშიც ის მიიპყრობს ყურადღებას და, შესაბამისად, ერთგვარი პლაგიატი გაჩნდება, რომელიც მსგავსების გამო რაღაც ტერიტორიებს წაართმევს თენტურ ენას. თუმცა რადგან ორი სხვადასხვა ხელოვანი მეთყველებს ერთ ენაზე, ეს სხვადასხვაობა მაინც განსხვავებულს ხდის ამ ორ მსგავსებას. კულტურულ კონტექსტში ეს მაინც ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, ოღონდ - არა ჰეტეროგენული შინაარსით, არამედ - ჰომოგენურით.

თუმცა, სანამ ხელოვანი ამ ყველაფერზე დაფიქრდება, მან უნდა ნაიკითხოს ის ვიზუალური ენები, რაც არსებობს, კოდი უნდა ჰქონდეს ნაკითხვისთვის, და როცა ის ამ კოდს ფლობს, მისთვის აღარ არსებობს შეკითხვა, თუ როგორ გამოსახოს, რადგან გამოსახვის როგორობა გულისხმობს უკვე არსებულ გამოხატვის ფორმებში არჩევანის გაკეთებას, რაც ხელოვნანის თავისუფალი ნებისთვის არ არის იმანენტური.

და რა არის ხელოვნანის თავისუფალი ნება ისევ და ისევ თამაში?

ეს თამაში არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ამ სიტყვის კონოტაცია გვატყუებს. ამ ჰერმეტიულ სივრცეებში სათამაშოდ ცელქობა დიდ შინაგან საყრდენს მოითხოვს. საიდანღაც უნდა მოვიტანოთ ახალი სივრცე თამაშის დასაწყებად სივრცე კი გარეთ არსად არის. ყველა გზა ამოქოლილია...

როცა გამოქვაბულში ადამიანი პირველად ხატავდა, მას არ ჰქონდა ამის მაგალითი, და ეს პირველი ნახატი იყო თავად ადამიანის შესაძლებლობების აღმოჩენა ადამიანისთვის. ამ პირველად სანყისს თუ ავირჩევთ, როგორც ნათელ მაგალითს, მაშინ ასე უნდა ვიფიქროთ: თამაშისთვის სივრცე რომ გვქონდეს, როგორღაც მდგომარეობაში უნდა აღმოვჩნდეთ, რომელიმე პირველი მხატვარი იყო. ამისთვის ჩვენ მარტოვად შეგვიძლია გავაუქმოთ ცნობიერებაში ყველა ის ენა და ვიზუალური კოდი, რომელიც არსებობს, და დავინყოთ არსებობა სრულიად სტერეოლურ სივრცეში.

თუმცა, ამ სივრცეში სრულიად მარტო მოვინვეს ყოფნა და ჩვენს სხვადასხვა ენაზე "ნამეტყველებ" გონებასაც უკიდურესად გაუჭირდება, პირველად შეხება ჰქონდეს თავისსავე ენასთან, უკიდურესად გაგვიჭირდება საკუთარ ენის შექმნა. თუმცა უფრო მეტად გაგვიჭირდება საკუთარის მოძიება იქ, სადაც სხვისი "ნაგაოცრია. ის, რაც მე არ მჭირდება (თუნდაც სხვისთვის საჭირო იყოს), ჩემთვის ზედმეტია და უნდა მოვიშორო, მე აუცილებლად მჭირდება სტერეოლური სივრცე, რათა ვარსებობდე...

ალბათ, კულტურის პირველად სტენოგრაფიულ დასუფთავების აქტი შეიძლება მივიჩნიოთ. პირ-

ველყოფილი ადამიანი სწორედ ნაგვის გატანის შემდეგ გახდებოდა კულტურული არსება. გამოქვაბულში, სადაც ბევრი ნარჩენი დაგროვდებოდა, დიდ დროში ფიზიკური არსებობის პრობლემა შეიქმნებოდა და იქ მყოფი ადამიანებისთვის ნაგვის გატანა სრულიად მატერიალური, სივრცობრივი და საგნობრივი მიზეზის გამო მოხდებოდა. ამ ამოცანებზე სივრცეში პირველმა ადამიანმა არჩევანი გააკეთა, თვითონ გასულიყო გამოქვაბულიდან თუ ზედმეტი ნარჩენი გაეტანა, და ამით მან პირველი ნაბიჯი გადადგა კულტურის გზაზე...

შემდეგ, ადამიანი მიხვდა, რომ მას თავისი პირადი სივრცეც სჭირდება და სხვა ადამიანებმაც შეიძინეს "ზედმეტის" "შეფერილობა".

პირველი შესტი ნაგვის გატანისა იყო პირველი კულტურული შესტიც - ასე გამოდის. ამიტომ, მთელი კულტურის სტენოგრამა, შეიძლება ითქვას, ალებისა და გადაადების, დალაგების, სტერილიზაციის აქტია.

არსებობს არა სისუფთავის იდეა, არამედ - ამის ქორეოგრაფია, ალებისა და გადაადების აქტი. ბავშვს ნაგვისგან სუფთა ქალაქის იდეა კი არ ნარმოუდგება, როცა დედას ბაძავს ნაგვის გადაადგების დროს, მას ალებისა და ურნაში გადაადგების ეს მოძრაობა მოსწონს, ეს მისთვის თამაშია. ყოველ შემთხვევაში, თუ ყველა ბავშვისთვის არა, შეიძლება არსებობდეს ბავშვი, ვისთვისაც ეს ზუსტად ასე იქნებოდა.

გამოდის, რომ თუ პირველყოფილ ადამიანს ფიზიკური მუშაობა დასჭირდა სტერილიზაციისთვის, თანამედროვე ხელოვანი ამას მენტალურად მოახერხებს. პირველყოფილისთვის ამ სტერილიზაციის შედეგი იქნებოდა ის თამაშები, რომლებსაც ის მოიფიქრებდა ნაცრისგან გასუფთავებულ ახალ გამოქვაბულში ცეცხლის ალების წინ. იქვე დახატავდა თამაშ-თამაშით და, ვინ იცის, კიდევ რა განწყობილება იქნებოდა. მაგრამ თანამედროვე ადამიანს ბევრად უფრო რთულად აქვს საქმე, სტერილიზაციის შემდეგ მან შეიძლება ვერაფერი გააკეთოს იმიტომ, რომ ენა და გამოხატვის ფორმა, რომელიც თავში მოუვა, შეიძლება ძალიან ჰგავდეს სხვისას, და აღარ გამოსახოს. ან გამოსახოს ძალიან ცოტა, ყველაფერი, რაც თავისი იქნება. ჩვენში ხომ დასუფთავებული კულტურის ტერიტორია არ ნიშნავს რეალობაში ამ კულტურული ენების გაქრობას.

იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ კულტურის ტერიტორია უსასრულოდ ნაგვიანდება სხვადასხვა ენით, კოდით და ამას არასოდეს არაფერი არ ეშველება, რადგან კულტურა ყველაფერს იმახსოვრებს. ხელოვანს კი სულ უფრო და უფრო მცირე ადგილი რჩება გამოხატვისთვის, ინჟერება ფორმებისა და კომბინაციების რაოდენობა, ან ძალიან ემსგავსება ისინი ერთმანეთს.

და ამ მცირედის განსხვავებულობა არადაამაჯრებელია...

აქ მივადებით მეორე გზას თამაშისთვის: გზას, რომელიც გულისხმობს ყველაფრის ისე დატოვებას, როგორც არის. მთელი კულტურის "ნაგავი" ხდება საშენი მასალა ხელოვანისთვის, და იგი დაკავებულია მუდმივი ციტირებებით. არაფერს არ ეძებს, ყველაფერი აქვს, უბრალოდ პოულობს ახალ-ახალ კავშირებს. შეიძლება ითქვას, ამ მიდგომით მთელი კულტურა ისევე აღიქმება მოცემულობად, როგორც - თავისთავადი მატერია და სამყარო. ანუ კულტურამ აზრი დაკარგა და იგი ისეთივე მოცემულობა გახდა ადამიანისთვის, როგორც - რომელიმე პეიზაჟი ტიბეტის ზეგანზე.

მაშასადამე, ძალაუფლებრივი სისტემა ამავე ძალაუფლებამ ჩამოაქცია და გაანეიტრალა. ყველაფერი დასაშვები გახდა და არავინ არაა პასუხის მომთხოვნი. როგორც პირველი მხატვარი გამოქვაბულში, იმავე მდგომარეობაშია ხელოვანი დღეს. თუმცა ხელოვანი პასუხს თავის თავს სთხოვს. მას უნდა, რომ დაიჯეროს თავისი ავთენტურობა და ნამდვილობა იმიტომ, რომ გამოხატულ ახალ ენებს ძალაუფლებრივი უნარები შეუსუსტდა. ამიტომ ხელოვანი ცდილობს ძალაუფლება სხვა გზებით მოიპოვოს და სხვანაირად გახდეს სხვა ხელოვანებისგან გამორჩეული. თანამედროვე ხელოვნება აღარაა ხელოვნების და პირისპირება ნიშნობრივ დონეზე. დღესაა ხელოვანთა "დაპირისპირება" ერთმანეთთან, პოპულარულობის მიზეზით. დღეს ხელოვანის ტიტულები და მისი პორტფოლიო უმნიშვნელოვანესი გახდა...

და ფსონიც პოპულარულზე კეთდება, კარგად აღარავინ აკვირდება, რას ხატავს მხატვარი, მთავარი საზომი პოპულარულობაა.

ასე რომ, გზა ისევ ორია, მარკეტინგის და პირის - ტრანსცედენციის.

ტრანსცედენციის გზა გულისხმობს სტერილიზაციას, თუმცა ენერჯისა და მრავალფეროვნების გამოსხმობა ტრანსცენდენციიდან მოგვინევს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ ორი გზის სხვადასხვაგვარი კომბინაცია, მაგრამ საწყისები ასე ჩანს.

აქ შეიძლება დავსვათ კითხვა, ზოგადად ან კონკრეტულად რა არის ის განსხვავებული ბიძგი, რაც ხელოვანს აწყებინებს რეპრეზენტაციას. შესაძლებელია, დღეს ეს იყოს, უბრალოდ, რაღაც ძალაუფლების სისტემაში შემოსვლა: რომ აქ მოიპოვოს ადგილი და ხელოვანად ყოფნას არ ჰქონდეს რაღაც სხვა გარდაუვალი მიზეზი. მართალია, შეიძლება ითქვას, რომ ძალაუფლებასთან ურთიერთობა მაინც გარდაუვალია, მაგრამ რა არის თავად სახვითობის პირველადი მიზეზი, რაც თვით ადამიანი წყდება და არა - გარეთ, სადაც მერე ეს ნიშანი გადის ძალაუფლებრივ სისტემაში?

უნდა ითქვას, რომ ყველაზე პოპულარული ხელოვანი მაინც თავის ნამუშევრებზე დგას, მა-

ინც ეს, თავისი პროდუქტია ის რაღაც, საჩვენებელი, რაღაც, რაც შეფასდება...

ამიტომ, ყველაზე ნამდვილი და სიღრმისეული პრობლემა უნდა იდგეს ხელოვანსა და მის ნამუშევარს შორის.

ამ პრობლემების შედეგი, შეიძლება, სწორედ ნამუშევრებში იკითხებოდეს.

თუკი სამყარო მალავს რაღაცას, ესე იგი, ხელოვანი, რომელიც ცდილობს აბსოლუტურად ყველაფერი ჩართოს თამაშში და ეძებს განსხვავებულ ფორმებსა და კონტექსტებს, რაღაც მიჯნაზე აღმოჩნდება. მიჯნაზე, რომლის იქითაც შესაძლებლობები ქრება.

ეს არ არის ფსიქოდედია, უბრალოდ, არსებობს X ჩვენს აღქმასა და საგანს შორის. ჩვენი ცნებები და საგნები სცდებიან ერთმანეთს, ჩვენი აღქმა რეალურად კონსტრუირებული ჩვენი სამყაროა. რისი მიმესისიც კეთდება, იმას ჯერ ჩვენი გონება ასტრუქტურებს ჩვენივე ხასიათისა და გამოცდილების მიხედვით. ხოლო თავად რეალობა სადღაც განყენდება, როგორც უცხო.

მხატვარი, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ მას აქვს საღებავი, ყველაფერი აქვს, რომ დახატოს (და ისიც იწყებს ხატვას), უბრალოდ იმ პოზის კულტურულ დაგემოვნებას ახდენს, რომელსაც მხატვრობა ჰქვია, იგი კულტურის კონსტრუქციას იღებს და ამას ერგება, აქ ერთობა, კმაყოფილება თავისი ვიწრო გაქანებითა და მიზნებით, რომლებიც არასდროს არ ცდილობს რეალობის აღმოჩენას.

მხატვარი, რომელიც განყენდება თავისი "პალიტრიდან" და დაუშვებს, რომ არსებობს X, უკვე ნამდვილ თამაშში ებმება. ნამდვილია ეს თამაში იმ გაგებით, რომ მხატვარს აქვს გამოწვევა რაღაც უცნობის, რაც რამენაირად უნდა ჩართოს თამაშში. ხოლო თამაში აუცილებლად გულისხმობს სანახაობას, რადგან ნებისმიერი თამაში იმითაა საინტერესო, რომ წინასწარ არ არსებობს ცოდნა ამ თამაშის შედეგზე, თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ის ამიტომ არის პრინციპულად სანახაობრივი თავის არსში...

ხოლო თამაში ვიზუალურ ხელოვნებაში გულისხმობს ორმაგ გამოწვევას, მხატვრისთვისაც და მაყურებლისთვისაც. მაშასადამე, სანახაობა (ნახვადობა) უსასრულოდ პარალელურად მიჰყვება ვიზუალურ ხატს და - მის უცვლელობას დროის ნაკადში... თითქოს, უსასრულოდ მეორდება, ბრუნდება თამაში და ზუსტად ერთი და იგივე ხდება, მაგრამ არასდროს მთავრდება და, შესაბამისად, ვერ ვხედავთ შედეგს. აქ X პრინციპულად, ონტოლოგიურ დონეზეა მყარი. ესე იგი, თამაში უზრუნველყოფს ვიზუალის სანახაობრიობას და, ამავე დროს, მის მარადიულ დაბრუნებასაც. გამოდის, რომ სახვითი ხელოვნების ნი-

მუშები "დაუმთავრებელი" ონტოლოგიური საგნებია... "დაუმთავრებელი" - სწორედ თამაშის მიზეზით და არა - ონტოლოგიურის ცნებისმილი მიერი გაუგებრობით. ონტოლოგიური აქ მხოლოდ სიმყარეა რაც X-ის ჩაუნაცვლებლობას პრინციპულად უზრუნველყოფს (და ამავე დროს გამოცდილებას სხვაგვარ შესაძლებლობას).

პირველი მხატვრის უკან, ალბათ, არაფერი არ იყო. არ ვიცით, რა იყო პირველი ხელოვნების გაჩენის საწყისი, აღვნიშნოთ ესეც X-ით.

მაშასადამე: რომ არ ყოფილიყო X, არც ხელოვნება იქნებოდა. რომ არ ყოფილიყო X, არც სამყარო იქნებოდა ასეთი. აუცილებლად შეიქცევიდა ჩვენი აღქმა, რომ ვიცოდეთ ყველა მიზეზის მიზეზის მიზეზი. სავარაუდოდ, სამყარო ზუსტად ასეთი სანახაობრივი იმიტომია, რომ იმ რაღაცას მალავს. იგი სრულიად ცარიელია, მიუხედავად იმისა, რომ საესეა. მეცნიერული და ადამიანური მოიაზრებს, რომ ოდესღაც არაფერი იყო, არც სივრცე და არც დრო, და შემდეგ ყველაფერი გაჩნდა, ისეთი დასრულებული და უნივერსალური, როგორც დღეს არის.

ასეთი სამყარო კარგი სიუჟეტია ადამიანის დასაინტრიგებლად და ყველაფერზე მისი თვლის გასაშტერებლად, და, ამავე დროს, მისი სურვილად თამაშში გამოსაწვევად... ესეთიკური ობიექტები ხომ X ნიშანს ტოტალურად ატარებენ...

ადამიანმა კარგად მოარგო თავის ეგოს ხელოვნება, და ადამიანის ეგოსაც მოსწონს, როგორც მისი ნამუშევარი მოსწონთ (ოღონდ ეგოს სამყაროსეულ თამაშთან არ აქვს კავშირი). თუმცა ასე რომ არ იყოს, ყველა დიდი ხელოვანი იმ თამაშში იქმნის, სადაც X სახვითობაში იმალება, ეს გამოხატულება და X ხდება გაცილებით უფრო ლოკალური და უცხო, ვიდრე თავად სამყაროა ნაწილი ადამიანისთვის. ამიტომ მას მაყურებელი თვალვალარ სწყვეტს...

ყოველი სურათი, რომელიც X-ს არ ჩაირთავს რაიმე გზით, დგას სახვითობის პრობლემის წინაშე.

მთელი ადამიანის გენია, ალბათ, იმაში გლորდება, რომ მას შეუძლია აღმოაჩინოს X, ჯერ და უშვას მისი არსებობა და მერე ეურთიერთოს მას მხატვარი, რომელიც ხედავს მხოლოდ საღებავს, მოცემულობას (ნატურას), ტილოს და ამ გარემომცველი სამყაროთი კმაყოფილება (ან კულტურაში არსებული ენებით ერთობა და ა. შ.), ვერასდროს დახატავს ისეთ საინტერესო სურათს, რომელიც კულტურის ტერიტორიისგან განყენებულ თვალს მოხიბლავს...

ის ვერასოდეს დახატავს ქალს, რომელიც მის წინ დგას შიშველი და რომელსაც ხატავს. მაშკონია, რომ იქ ნამდვილად დგას ქალი. ქალი რომ დახატო, ქალი უნდა გაქრეს...

ნა პერიკლაბე ყოფილიყო თქვანი რაჰლაბე



10/86

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

